ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 082 (12 457) 8 აპრილი სამშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



კაცები ბრუნდებიან!

» 5

ვენგერი გაშიფრულია. გრანტმა იცის, როგორ მოიგოს

ჩემპიონთა ლიგა » 8





## იქნებ, ფინალისტებიც გამოვლინდნენ

» 3

დღეს და ხვალ პირველი სათასო ნახევარფინალებია



## ასე გააგრძელე, დავით!

» 11

ინტერვიუ ევროპის ჩემპიონ დავით მოძმანაშვილთან

# თუ ფული აქვთ, ლიპის დაელაპარაკონ



ინტერვიუ კახა კალაძესთან

» 2

ბიზნესის პრეზენტაცია მილანში

» 16



## რეალურია თუ არა ვან გაალისა და არველაძის ტანდემი



# პასარელამ შემოთვალა: საქართველოსთვის მზად ვარ!

სამწვრთნელო სპეკულაციები » 2

ეროვნული ნაკრები

# ვან გაალის პასუხი არველაძეს

## რა შესთავაზა ქართველმა ჰოლანდიელს

საქართველოს ნაკრებისთვის მთავარი მწვრთნელის ძიება გრძელდება. ჩვენთვის ცნობილი გახდა ფაქტი, რომლიდანაც ჩანს, რომ ცნობილი ჰოლანდიელი მწვრთნელის **ლუის ვან გაალის** ჩამოყვანა ზღაპარი არაა.

ჰოლანდიის ნაკრებში, "აიაქსში", "ბარსელონასა" და "ალკმაარში" ნამუშევარ 56 წლის ვან გაალს **შოთა არველაძე** ესაუბრა.

მათი მოლაპარაკების დეტალებიც შევიტყვეთ: შოთა რისი შოთა იქნებოდა, დიპლომატია და საუბარი შეშლოდა? არველაძემ ჰოლანდიელ სპეციალისტს შორიდან დაუწყო საუბარი და ვან გაალს სთხოვა, საქართველოს ნაკრებიდან **კლაუს ტოპმიოლერი** წავიდა და კარგი სპეციალისტის მოძებნაში დაგვეხმარეო.

ჰოლანდიელმა კი დაუფიქრებლად უთხრა, "ალკმაართან" კონტრაქტი მიმთავრდებაო. შოთასთვის ასეთი პასუხი მოულოდნელი გამოდგა, მიუხედავად იმისა, რომ ვან გაალის "ბაღში" კენჭი სწორედ ასეთ პასუხზე გათვლით ისროლა.

არველაძემ სასურველი თანხმობა მიიღო. თუმცა, სხვა საქმეა, ამის შემდეგ მოლაპარაკება თუ დაიწყება და მხარეები ერთმანეთს რა პირობებს წამოუყენებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ვან გაალი-არველაძის ტანდემი საეჭვოა

## პასარელამ საკუთარი კანდიდატურა შემოგვთავაზა

*"მართალი გითხრათ, ეს ვარიანტი ამ ეტაპზე არც კი განიხილება. ამიტომ ვერაფერს გეტყვით. ვნახოთ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ ერთს კი ალალად გეტყვით, ამჯერად ამ ვარიანტს განხილვის სტატუსიც კი არ აქვს"*, - ვან გაალი-არველაძის ტანდემის ნაკრებში შესაძლო მოსვლასთან დაკავშირებით უთხრა "ლელოს" ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **რევაზ არველაძემ.**

რაც შეეხება თავად შოთას, მისი კომენტარიც უფროსი ძმის მსგავსია:

*"ვინ თქვა რომ ეს ვარიანტი განიხილება? ვერაფერს გეტყვით. ვან გაალს ჯერაც მოქმედი კონტრაქტი აქვს "ალკმაართან". შესაბამისად, მასზე ფსონის დადება ჯერჯერობით ნაადრევად მეჩვენება".*

მწვრთნელთა ძიების პროცესში ისეც ხდება ხოლმე, რომ თავად მწვრთნელები სთავაზობენ სამსახურს. ფეხბურთის ფედერაციაში ფაქსი მოვიდა, რომლის თანახმადაც ირკვევა, რომ არგენტინელი მწვრთნელი **დანიელ პასარელა** ქართულ მხარეს ეროვნული ნაკრების თავკაცის პოსტზე, აგენტის მეშვეობით საკუთარ კანდიდატურას სთავაზობს.

ფედერაციამ კანდიდატურა მიიღო, მაგრამ ძნელია იმისი თქმა, რომ გაცხრილულ სიაში დანიელ პასარელას გვარი ისევ იქნება თუ არა.

**დავით ცაბაძე**



ინტერვიუ კახა კალაძესთან

# თუ ფული აქვთ, მაშინ ლიპის დაელაპარაკონ

## დინამო რომ ასეთ დღეშია, რაღაზეა ლაპარაკი



**ფოლკერ ფინკე, ჰენრი კასპერჩაკი, ლუის ვან გაალი, მორტენ ოლსენი, ბრანკო ივანკოვიჩი...** ოფიციალურად თუ არაოფიციალურად უკვე დასახელდა რამდენიმე მწვრთნელი, რომელზეც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სერიოზულად დაფიქრდა - საქართველოს ნაკრები ჯერაც უმწვრთნელოდაა.

მწვრთნელთა ჩამონათვალში არც ერთი არ არის იტალიელი, ცხადია, არ არის აუცილებელი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელების ერთ-ერთი კანდიდატი იტალიელი იყოს, თუმცა მაინც უცნაურად გვეჩვენა, რომ ფეხბურთის ფედერაცია აპენინებისკენ არ იყურება.

ისიცაა, რომ იტალიელ მწვრთნელებს მაინცდამაინც არ უყვართ აქეთ-იქით ხეტიალი. ზოგადად, ასეთი პათოსი უცხოა მათთვის, ისინი არ მიდიან აფრიკაში, საუდის არაბეთში, ირანში, ყატარსა და აღმოსავლეთ ევროპაში.

კახა კალაძეს მეტწილად სანაკრებო თემაზე ვესაუბრეთ და ნაკრების კაპიტანმაც რამდენიმე საყურადღებო რამ გვითხრა.

**- ფეხბურთის ფედერაცია ნაკრებისთვის მწვრთნელს ეძებს და ჯერ არ მოიაზრება იტალიელი სპეციალისტი. როგორ ფიქრობ, იტალიაში არ მოიძებნება ისეთი მწვრთნელი, საქართველოს ნაკრებისთვის რომ იყოს ზედგამოჭრილი?**

- იტალიაში ბევრი მაღალი რანგის სპეციალისტია, მაგრამ ჩემი გადასაწყვეტი არ არის, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი იტალიელი იქნება თუ გერმანელი.

**- ეგ არც გვითქვამს, რომ ფეხბურთელმა უნდა გადაწყვიტოს, ვინ იქნება მწვრთნელი. უბრალოდ, შენი აზრი გვაინტერესებდა - იტალიელ მწვრთნელებს განსაკუთრებული ხელწერა აქვთ და ასეთი სპეციალისტი როგორ გამოადგებოდა საქართველოს ნაკრებს?**

- ძალიან ძნელია იმის განჭვრეტა, თუ საქართველოს ნაკრების მწვრთნელად ვინ უფრო აჯობებს. ხშირად მომხდარა, მაღალი დონის სპეციალისტი მოსულა გუნდში და ვერანაირი მნიშვნელოვანი წარმატებისთვის ვერ მიუღწევია, უბრალოდ, არ გაუმართლა.

**- დავუშვათ, ფეხბურთის ფედერაციამ საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელად მარჩელო ლიპი მოისურვა...**

- არა მგონია, ლიპი ასეთ წინადადებას დათანხმდეს, თანაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ალბათ ვერ მოიძიებს იმ თანხას, რაც ლიპის ხელფასისთვის იქნება საჭირო.

**- ფედერაციაში გვითხრეს, რომ ფული პრობლემა არ იქნება - სახელმწიფოს გარდა დახმარება კერძო პირებისგანაც წამოვაო...**

- მაშინ უნდა დაელაპარაკონ ლიპის, თუმცა მაინც მგონია, რომ ლიპი საქართველოში არ წამოვა.

**- იმიტომ, რომ საქართველოს ნაკრები არ არის ის დონე, სადაც ლიპიმ უნდა იმუშაოს?**

- კი, ალბათ უფრო ამ ფაქტის გამო არ იმუშავებს ლიპი საქართველოს ნაკრებში.

**- ანუ საქართველოს ნაკრები ჯერ არ არის მზად ლიპისთვის - ასე დგას საკითხი?**

- არ არის აუცილებელი, გინდა თუ არა ლიპი იყოს ჩვენი მწვრთნელი. მაგრამ, რაც უფრო მაღალი დონის სპეციალისტს მოიწვევ, მით უფრო კარგი იქნება ეს გუნდისთვის და პრესტიჟისთვის.

**- ისე გამოდის, ამ დროისთვის საქართველოს ნაკრების უმთავრესი პრობლემა ფეხბურთელთა კონტინგენტია...**

- რაც ვართ, ეგა ვართ, არა მგონია, უკეთესი ფეხბურთელები გვყავდეს და ისინი ნაკრებში ვერ ხვდებოდნენ. დიდი არჩევანი ნამდვილად არ გვაქვს. რამდენიმე წლის წინათ საქართველოს ნაკრებში, ერთ ადგილზე ასე თუ ისე თანაბარი ძალის 3-4 ფეხბურთელი მოდიოდა, ახლა კი ასე აღარ არის და ეს დიდი პრობლემაა ჩვენთვის. დახეთ, რა ხდება ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში. თბილისის "დინამო" რომ ასეთ დღეში იქნება, რაზეა ლაპარაკი. მე აქ მხოლოდ შარშან "დინამოს" ევროტურნირზე გამოსვლას არ ვგულისხმობ, არამედ, საერთოდ გუნდის მდგომარეობას.

**- საქართველოს ნაკრებში იცვლებიან მწვრთნელები, ფეხბურთელები, იცვლება ფედერაციის ხელმძღვანელობაც, მაგრამ ეროვნული ნაკრების საქმე დაღმა მიდის. მწვრთნელებს არ აქვთ დროის კრედიტი თუ სხვა მიზეზი აქვს ყოველივე ამას? რატომ გახდა შეუძლებელი საქართველოს ნაკრების წარმატება? ბევრ ნაკრებს არ ჰყავს ჩვენზე უკეთესი ფეხბურთელები, მაგრამ ჩვენზე უკეთესი შედეგი აქვთ...**

- შეუძლებელი არაფერია, მათ შორის ჩვენი ნაკრების წარმატებაც. რაც შეეხება მწვრთნელებს, ჩვენი ნაკრების ყველა მწვრთნელის უდიდესი პრობლემა გუნდის არასწორად ჩამოყალიბებაა - საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა არ იციან, ტაქტიკურად როგორ იმოქმედონ. მწვრთნელი რაღაცას რომ დაგავალებს, ის როგორ უნდა შეასრულო, არ არსებობს გუნდის ტაქტიკური კონცეფცია. ბევრს ჰგონია, დაცვაში კალაძე გვყავს და მეტოქემ გოლი როგორ უნდა გაგვიტანოს; ნახევარდაცვაში კობიაშვილი გვყავს და მოედნის ცენტრში სხვამ როგორ უნდა გვაჯობოს; თავდასხმაში არველაძე გვყავს და გასატანს ყოველთვის გაიტანს. თანამედროვე ფეხბურთში ასე აღარ ხდება, სულ სხვა ნიუანსებია.

**- მაისის ბოლოს საქართველოს ნაკრებს ორი ამხანაგური მატჩი აქვს, შესაძლოა, ივნისის დასაწყისში კიდევ მოუწიოს ამხანაგრი თამაში. კულუარებში ითქვა, ნაკრების ფეხბურთელები უკმაყოფილონი არიან, ბევრი ამხანაგური მატჩებიაო. თანაც მაისის ბოლო და ივნისის დასაწყისი საშვებულობა პერიოდია...**

- ამხანაგური მატჩების გამართვა ყოველთვის კარგია. სეზონის დასრულების შემდეგ მართლაც ძნელია თამაში, ეს დამღლელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ნაკრებში თამაში ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნოა. საქართველოს ნაკრებში არცთუ ცოტა ისეთი ფეხბურთელიცაა, მწირი სათამაშო პრაქტიკა რომ აქვს და ეს ამხანაგური მატჩები მათთვის ძალიან კარგი იქნება.

**- "მილანზეც" გკითხავ. სერია A-ში მეხუთე ადგილზე ხართ და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად მეოთხე ადგილი გაძლევთ ხელს, ამისთვის მინიმუმ ჯერ "ფიორენტინას" უნდა გადაასწროთ, რომელიც ქულით გასწრებთ - როგორ შეაფასებდი საამისო შანსებს?**

- ჩემპიონატის დასრულებამდე ექვსი ტური დარჩა, რაც ცოტა არ არის. მომდევნო ტურში ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვს - ტურინში "იუვენტუსს" ვხვდებით. მე და ნესტა დისკვალიფიკაციის გამო ვერ ვითამაშებთ, ფავალი კი ტრავმირებულია. ეს თამაში ბევრ რამეს გადაწყვეტს და იმედია, "მილანი" წარმატებას მიაღწევს.

**დავით თავართქილაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ზაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10³ (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალების და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი. ნახევარფინალი. პირველი მატჩები

# დინამო-ზესტაფონისთვის ინგლისელი ემზადება

დღეს, საქართველოს თასის ნახევარფინალში, თბილისის "დინამო" "ზესტაფონს" უმასპინძლებს.

ეს ის მატჩია, რომელმაც ეროვნულ სტადიონზე მრავალი მაყურებელი უნდა შეკრიბოს. თბილისელები ეროვნულ ჩემპიონატში ლიდერობენ, მაგრამ ოქროს მედლები გარანტირებული არ აქვთ - "ვიტ ჯორჯია" და "ზესტაფონი" ერთ ჩავარდნასაც არ აპატიებენ.

ასეც რომ იყოს, "დინამო" ამბიციური კლუბია, ხელმძღვანელები, მწვრთნელი და ფეხბურთელებიც ამბიციური ჰყავს და დუბლს უმიზნებს. გამომდინარე აქედან, "დინამოს" ინტერესში არაა მხოლოდ ჩემპიონობა.

"ზესტაფონი" არანაკლებ ამბიციურია და სათასო გუნდადაც კი ყალიბდება. იმერლებს ჩემპიონობის შანსი მცირე აქვთ და მთელ იმედებს თასს უკავშირებენ.

მატჩისთვის სერიოზულად ემზადებიან გუნდებიც და "სპორტ მედია პროდაქშენი", რომელიც საქართველოს ჩემპიონატზე ტელესააგენტო "კოლხიდას" დაკვეთით მუშაობს. კომპანია საქართველოსთვის აქამდე არნახულ რეპორტაჟს გვპირდება.

"სპორტ მედია პროდაქშენის" აღმასრულებელი დირექტორი, **სერგო ბუიღლიშვილი** საინტერესო დეტალებზე გვესაუბრება.

"შეხვედრის რეპორტაჟი მაღალ დონეზე გადაიცემა - 12 კამერით და ორი მოძრავი სატელევიზიო სადგურის დახმარებით. ასეთი რეპორტაჟი ძალიან საინტერესო და ეფექტური სანახავი გახდება.

საგანგებოდ მატჩისთვის ინგლისელი რეჟისორი **კერტ უილიამსი** ჩამოდის, რომელიც ორიოდე დღის წინათ ინგლისის ასოციაციის თასის ნახევარფინალზე მუშაობდა. სხვათა შორის, ის საქართველოს თასის შარშანდელი ფინალის რეჟისორი გახლდათ და ყველას ემახსოვრება, რომ ის რეპორტაჟი უმაღლესი დონისა იყო.



ეროვნულზე დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი

"დინამო"-ზესტაფონის" რეპორტაჟი მომავალი ფინალის სამზადისი იქნება, რომელიც მაყურებელს ძალიან მაღალი დონით უნდა დაამახსოვრდეს" - გვითხრა ბუიღლიშვილმა.

თბილისშია "სპორტ მედია პროდაქშენის" პრეზიდენტი, ინგლისელი **რასელ აიზეკიც**, რომელიც დარწმუნებულია, რომ ნელ-ნელა, ჩვენი ჩემპიონატისა და თასის შეხვედრების რეპორტაჟი და მთლიანად ქართული ფეხბურთის მეურნეობა რენტაბელური გახდება.

21-ე საუკუნეს ეკუთვნის ფრაზა - ტელევიზიაში ჯოხი ოცჯერ რომ აჩვენონ, ისიც პოპულარული გახდება. იმ დროს, როდესც კვიპროსში, მალაიზიაში, ინდონეზიაში, სირიაში, ტაილანდში და მსგავს ქვეყნებში სტადიონები ივსება და ტელერეპორტაჟები მომგებიანია, ქართული ფეხბურთის მცირედი პროგრესი მიუღწეველ მიზანი ნამდვილად არაა.

**მერაბ მამულაშვილი**

# იქნებ ფინალისტიც გამოჩნდეს...

დღეს და ხვალ სეზონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მატჩებია. შესაძლოა, მოვლენები იმგვარად განვითარდეს, რომ საქართველოს თასის ერთი ან ორივე ფინალისტი გამოიკვეთოს. არც ისაა გამორიცხული, გამარჯვებულთა საკითხი გადაიდოს და ყველაფერი ერთი თვის შემდეგ გადაწყდეს. მოკლედ, დღეს და ხვალ "ეროვნულსა" და "ამერზე" ქომაგი არ მოიწყენს. წესით, უშელავათო დაპირისპირებების მომსწრენი უნდა გავხდეთ. "დინამო"-"ზესტაფონი" საქართველოში ყოველთვის გამორჩეული მოვლენაა. "ამერისა" და "ბორჯომის" ბრძოლაც დიდ ინტერესს იწვევს, თანაც, თასის გათამაშება ამ გუნდებისთვის ევროასპარეზზე გასვლის ერთადერთი გზაა. წყვილებს გამოკვეთილი ფავორიტები არ ჰყავს, ორი მატჩის ჯამში ნებისმიერი შედეგია მოსალოდნელი. ორივე მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს ტელეკომპანია "მზის" ეთერით იხილავთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**დინამო-ზესტაფონი**

8 აპრილი. თბილისი. ეროვნული. 16:00

**სავარაუდო შემადგენლობები**

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი, კრშკო, გველესიანი, ხმალაძე, დიღმელაშვილი, ოდიკაძე, გ. მერებაშვილი, ხუციშვილი, ვაწაძე

ზესტაფონი: ჭანტურია, ს. თოდუა, საჯაია, ლობჟანიძე, აკუასაგა, რ. ონიანი, ნ. კვასხვაძე, კესანი, ვიეირა, ბ. გოცირიძე, ბიტოო

არბიტრი: ლ. სილაგავა

**ამერი-ბორჯომი**

9 აპრილი. თბილისი. ამერი. 16:00

**სავარაუდო შემადგენლობები**

ამერი: ნადირაშვილი, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, შალამბერიძე, დიდავა, დობროვოლსკი, დეკანოსიძე, დავითაშვილი, რ. გოცირიძე

ბორჯომი: სეფიაშვილი, ქარქოზაშვილი, გურული, თედიაშვილი, გივი ჩხეტიანი, გუგავა, გოგიჩაიშვილი, ფეიქრიშვილი, ჩირიკაშვილი, ვ. ბოლქვაძე, ჯიუსტი

დისკვალიფიკაცია: კაკუბავა, ქავთარაძე

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

**გზა ნახევარფინალამდე**

| | **დინამო** | |
|---|---|---|
| | **ჯგუფური ეტაპი** | |
| შ | მალაროელი | 2:0 |
| შ | ვიტ ჯორჯია | 3:2 |
| ს | ლოკომოტივი | 2:1 |
| ს | მალაროელი | 0:0 |
| ს | ვიტ ჯორჯია | 2:3 |
| შ | ლოკომოტივი | 7:2 |
| | **მეოთხედფინალი** | |
| ს | სპარტაკი | 0:0 |
| შ | სპარტაკი | 2:1 |
| | **ზესტაფონი** | |
| | **ჯგუფური ეტაპი** | |
| შ | კახეთი | 4:0 |
| შ | მგლები | 6:3 |
| ს | დილა | 1:1 |
| ს | კახეთი | 2:0 |
| ს | მგლები | 0:2 |
| შ | დილა | 3:0 |
| | **მეოთხედფინალი** | |
| ს | ოლიმპი | 1:0 |
| შ | ოლიმპი | 1:0 |

**გზა ნახევარფინალამდე**

| | **ამერი** | |
|---|---|---|
| | **ჯგუფური ეტაპი** | |
| შ | ტორპედო | 6:1 |
| შ | მესხეთი | 4:0 |
| ს | სპარტაკი | 1:2 |
| ს | ტორპედო | 3:0 |
| ს | მესხეთი | 2:1 |
| შ | სპარტაკი | 2:0 |
| | **მეოთხედფინალი** | |
| ს | მალაროელი | 2:1 |
| შ | მალაროელი | 4:0 |
| | **ბორჯომი** | |
| | **ჯგუფური ეტაპი** | |
| შ | ბათუმი | 2:0 |
| ს | ოლიმპი | 1:3 |
| შ | მერანი | 1:0 |
| ს | ბათუმი | 1:2 |
| შ | ოლიმპი | 2:1 |
| ს | მერანი | 2:1 |
| | **მეოთხედფინალი** | |
| ს | დილა | 2:3 |
| შ | დილა | 3:1 |

# ფერი დასაცინი არაა

## საქართველოში BLACK MAN-ს მეძახიან

**ერთი წელიც არ არის, რაც გაბონის ეროვნული ნაკრების მცველი ერნესტ აკუასაგა საქართველოში გადმობარგდა, თუმცა უკვე ორ ქართულ გუნდში მოასწრო თამაში. ზამთრის შესვენებისას აფრიკელმა ლეგიონერმა რუსთავის „ოლიმპიდან" „ზესტაფონს" მიაშურა და იმერული გუნდის ძირითადში მალევე დაიმკვიდრა ადგილი. საქართველოში ჩამოსვლამდე აკუასაგა გაბონის „მანგასპორტში", ფრანგულ „აჟენსა" და „ლე ავრში" ასპარეზობდა. აკუასაგას „დინამოსთან" მატჩის წინ შევხვდით. აფრიკელი ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა და ბევრ საინტერესო თემაზე გვესაუბრა.**

**- თასის ნახევარფინალში „დინამოს" ხვდებით, როგორ ფიქრობთ, შეძლებთ თბილისური კლუბის ბარიერის გადალახვას?**

- „ზესტაფონი" ახლა საკმაოდ კარგ ფორმაშია, რაც ბოლო ტურებშიც გამოჩნდა. რთული მეტოქე გვყავს, მაგრამ ყველანაირად ვეცდებით რომ ეს ბარიერი გადავლახოთ. როგორც მითხრეს „ზესტაფონი" ზედიზედ სამჯერ გასულა თასის ფინალში და ვეცდებით ეს მეოთხედაც გავიმეოროთ. ჩემს თანამემამულეებთან, დიდიე ოვონოსა და ჯორჯ აკირემთან მომიწევს დაპირისპირება, თუმცა „ზესტაფონში" უფრო მეტი გაბონელი ვართ და გამარჯვება ჩვენ უნდა დაგვრჩეს.

**- უკვე საკმაო ხანია საქართველოში თამაშობ და საინტერესოა, როგორია შენი თვალით დანახული ქართული ფეხბურთი?**

- საქართველოში ძალიან ცოტა შეძლებული გუნდია და ჩემპიონატის დონეც მოიკოჭლებს, მაგრამ პერსპექტივა არის, ნიჭიერი ფეხბურთელები გყავთ,



ერნესტ აკუასაგა

სათანადო დაფინანსების შემთხვევაში უკეთესი გუნდები გეყოლებათ და ჩემპიონატის დონეც ამაღლდება.

**გაბონისა და საქართველოს ჩემპიონატებს როგორ შეადარებდით?**

- თითქმის თანაბარი დონის ჩემპიონატებია. ქართული პირველობა ოდნავ უკეთესია, თუმცა სხვაობა დიდი არ არის.

**- თუ საქართველოს ჩემპიონატის დონე არ გაკმაყოფილებს აქ სათამაშოდ ჩამოსვლა რამ გაიძულა?**

- ფეხბურთელის კარიერა ისეთია, არ იცი ბედი სად გადაგისვრის. საქართველოში თამაშით უკმაყოფილო სულაც არა ვარ. „ზესტაფონი" კარგი გუნდია, ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს და აქ თავს კარგად ვგრძნობ. მოხარული ვარ, რომ მწვრთნელი მენდო და გუნდის ძირითადში დავიმკვიდრე ადგილი.

**- პირველ წრეში რუსთავის „ოლიმპში" თამაშობდით. ყოფილ და ახლანდელ კლუბებს როგორ შედარებდი?**

- „ოლიმპი" არ არის ურიგო გუნდი, მაგრამ დღესდღეობით „ზესტაფონი" უკეთ გამოიყურება. „ზესტაფონს" ჩემპიონთა ლიგაზე ან უეფას თასზე მოხვედრის კარგი შანსი აქვს, ამიტომ ამ გუნდში გადმოსვლა ვარჩიე. თანაც, „ზესტაფონში" ორი ჩემი თანამემამულე პოლ კესანი და ეტიენ ბიტოო თამაშობს, რუსთავში კი თავს მარტო ვგრძნობდი. ახლა სამივე ერთად ვცხოვრობთ და ყველაფერი უფრო გვიადვილდება.

**- როგორც ვიცით, სამივე გაბონის ნაკრების წევრები ხართ...**

- დიახ, ასეა. ეროვნულ გუნდში 20 მატჩი მაქვს ჩატარებული. საქართველოს ნაკრები ჩრდ. ირლანდიასთან რომ დამარცხდა, იმ დღეს ჩვენ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას 0:0 ვეთამაშეთ. მე და პოლ კესანიმ 90 წუთი ვითამაშეთ, ბიტოო კი სათადარიგო იყო.

**- კარგა ხანია საქართველოში ხარ და ქართულ სიტყვებსაც ისწავლიდი...**

- ქართული ძალიან რთული სასწავლია. სულ რამდენიმე სიტყვა ვიცი: გამარჯობა, ჭამე, რომელი ჰარ...

**- აქაურ ხალხს როგორ შეეგუე?**

- რაც საქართველოში ვარ ბევრი კარგი ადამიანი შემხვედრია, თუმცა იყვნენ ისეთებიც რომლებთანაც პრობლემები მქონდა. კანის ფერის გამო მათი დაცინვის ობიექტი ვხდებოდი. არ მსიამოვნებს, როცა დამცინავად Black Man-ს მეძახიან.

**დავით კოხრეიძე**
**ზესტაფონიდან**

# როგორ გავხადოთ კლუბები მომგებიანი

გუშინ, ფეხბურთის ფედერაციისა და პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელები უმაღლესი ლიგის კლუბების ხელმძღვანელებს შეხვდნენ. შეხვედრას, რომელმაც საათზე მეტხანს გასტანა, საქმიანად ჩაიარა. თავყრილობაში **ზურაბ ფოცხვერია** (ამერი), **ილია კოკაია** (ზესტაფონი), **ლექსო თოფურია** (ლოკომოტივი) და სხვა კლუბების პრეზიდენტები მონაწილეობდნენ. მართალია, ისინი კლუბებში, და საერთოდ, ქართულ ფეხბურთში ფულს დებენ, მაგრამ მათი ქმედება დღეისათვის, საერთო ჯამში ქველმოქმედებაა და არა ბიზნესი. სჯა-ბაასი გაიმართა იმაზე, რომ კლუბების თავკაცთა ეს ნაბიჯი, ინვესტირება, კეთილი ნებიდან ბიზნესად იქცეს. როგორც ირკვევა ფეხბურთის ფედერაცია და სახელმწიფო საამისოდ, შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერს გააკეთებენ. გარდა ამისა, ბრიტანული კომპანია FMMI ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის ილვწის და მისი პროექტის ქვაკუთხედი სწორედ კლუბების საქმიანობის მომგებიანად გადაქცევა გახლავთ.

დაბოლოს, გადაწყდა, რომ მსგავსი შეხვედრები რეგულარულ ხასიათს მიიღებს. ფედერაციის, პროფლიგისა და კლუბების თავკაცთა მომდევნო შეხვედრა 14 აპრილს შედგება. როგორც შევიტყვეთ, კლუბები უახლოეს მომავალში თავიანთი განვითარების გეგმას წარმოადგენენ. ამ გეგმაში კი ის პრობლემები იქნება ასახული, რომელიც ქართულ კლუბებს აქვთ.

**დავით ცაბაძე**

# კაკუბავა ბორჯომში დარჩა, მაგრამ...

გუშინ ვწერდით, "ბორჯომიდან" შესაძლოა მცველი **ლევან კაკუბავა** გაუშვანო. თბილისის "დინამოდან" "ბორჯომში" განათხოვრებულმა ფეხბურთელმა ბორჯომელები 3 მატჩში ორჯერ დაალალატა - "ამერთან" და "მესხეთთან" გასვლით მატჩებში გააძევეს. ორივე შემთხვევაში კაკუბავას გაძევების მიზეზი ერთი და იგივე იყო - მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფა. ამას კი შემდეგი რეზონანსი მოჰყვა - "ბორჯომის" მთავარმა მწვრთნელმა გუნდში ლევან კაკუბავას თამაში ეჭვქვეშ დააყენა.

გუშინ შევძელით **ვლადიმერ ხაჩიძესთან** დაკავშირება. როგორც ირკვევა კაკუბავას ასეთი ქმედების გამო ხაჩიძე გულნატკენია და ეს მის კომენტარშიც აშკარად იგრძნობა.

"ლევან კაკუბავა პერსპექტიული ფეხბურთელია და ჩვენ ყველანაირად მხარში ვუდგავართ. მისი ასეთი ქმედება, მოკლე პერიოდში გუნდის ორჯერ დალალატება, თავად მას არ წაადგება. ჩვენს მიერ ავანსად გაცემული იმედები ამ ეტაპზე ვერ გაამართლა. ვფიქრობ, მომავალში ასე აღარ მოიქცევა", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა "ბორჯომის" მთავარმა მწვრთნელმა.

**დავით ცაბაძე**

### მიხეილ ყაველაშვილი:

# პოლიტიკაში არ ნავსულვარ

გუშინ, ოპერაში **გიორგი თარგამაძის** ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო პრეზენტაცია გაიმართა. ბუნებრივია, სპორტული გაზეთი ამ ფაქტით არ დაინტერესდებოდა, რომ არა ერთი საინტერესო დეტალი: ტელევიზიებში გასულ სიუჟეტებში გამოჩნდა, რომ დარბაზში საქართველოს ნაკრების ყოფილი ფორვარდი **მიხეილ ყაველაშვილი, გოჩა ჯამარაული** და **ლევან ყიფიანი** იმყოფებოდნენ.

მიხეილ ყაველაშვილი და მისი გუნდი ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას აპირებენ, თუკი რიგგარეშე არჩევნები გაიმართება.

13 მაისის შემდეგ, ამა თუ იმ კანდიდატის პოლიტიკოსების გვერდით გამოჩენა ვის უკვირს, დღეს ძალიან ბევრი ეძებს გავლენიან მფარველებს.

თუმცა ქრისტიან-დემოკრატებში, ანუ პოლიტიკაში მიხეილ ყაველაშვილის გამოჩენა უცნაურად მოგვეჩვენა. მან ორი დღის წინათ "ლელოსთან" ინტერვიუში დაადასტურა, რომ ფეხბურთის პოლიტიზაციას ეწინააღმდეგება.

გუშინ კი ტელევიზიით გასულ სიუჟეტებში კომენტარებიც გააკეთა და ეს ყოველივე ისეთი კონტექსტით გამოჩნდა, თითქოს "ჩვენი ფეხბურთის" დამფუძნებელი სამეული ქრისტიან-დემოკრატებთან გაერთიანდნენ.

ეს ერთგვარი გაუგებრობა აღმოჩნდა, რაც ყაველაშვილთან უშუალო საუბრიდან გავარკვიეთ.

**- ქრისტიან-დემოკრატების ყრილობაზე თქვენი გამოჩენა დიდი მოულოდნელობა იყო. ფეხბურთის პოლიტიზაციის მოწინააღმდეგე, პარტიაში თავად გაწევრიანდით?!**

- არა, პარტიაში გაწევრიანება საიდან მოიტანეთ?

**- დღეს ტელევიზიები ქრისტიან-დემოკრატებთან გაჩვენებდნენ.**

- დიახ, ვიყავი, რადგან ჩემი მეგობარი გიორგი გულიაშვილი ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წევრია. ჩვენ ბავშვობაში ერთად ვთამაშობდით, დავმეგობრდით და პრეზენტაციაზეც მისვლა რა პრობლემა იყო. ეს არის და ეს.

**- თქვენი კომენტარიც მოვისმინეთ, რომ მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას ემხრობით და რომ ქრისტიან-დემოკრატების იდეები მოგწონს.**

- აქედან გამომდინარე იფიქრეთ, რომ პარტიაში გავწევრიანდი?

**- რა თქმა უნდა. სხვა რა უნდა გვეფიქრა.**

- ასე ნამდვილად არაა. ჩემი მისვლა და კომენტარები პოლიტიკასთან არაფერ შუაშია. ეს არის ქრისტიან-დემოკრატებისგან წამოსული მესიჯი, რომელიც ჩემთვის და ვფიქრობ, მთელი საქართველოსთვის მისაღები უნდა იყოს. ჩვენი ქვეყანა მართლმადიდებლობაზე დგას და სახელმწიფო რელიგია უნდა გახდეს. აქ პარტიულობა არაფერ შუაშია. დარბაზში მიუსვლელადაც იმავეს ვამბობდი. ეს ჟურნალისტებსაც ვუთხარი. ეგაა, ჩემი სიტყვები კონტექსტიდან ამოვარდნილი იყო.

**- ანუ პოლიტიკაში ჩართვას არ აპირებთ?**

- სურვილიც არ მაქვს. ეს ძირშივე მცდარი ნაბიჯი იქნებოდა. სურვილი რომ მქონდეს, ამაში დასამალი რა იქნებოდა? მეგობრის თხოვნით რომ მივედი, ესეც ბუნებრივია. ჯერ ერთი, თავად არ მსურს პოლიტიკაში გადართვა და ქრისტიან-დემოკრატებსაც არაფერი შემოუთავაზებიათ, რადგან ჩემი განწყობა მშვენივრად იციან.

**მერაბ მამულაშვილი**

---

### პირველი ლიგა. XXI ტური

# მაღაროელი მეტოქის მოლოდინშია

პირველი ლიგა გადამწყვეტ ფაზაში შედის. დასავლეთ ზონაში ჭიათურის "მაღაროელმა" კარგა ხნის წინათ დაიბევა პირველობა და დარჩენილ მატჩებს ფლეი ოფისთვის მოსამზადებლად იყენებს. შეგახსენებთ, ფლეი ოფში ერთმანეთს ზონების გამარჯვებულები შეხვდებიან. ვინც აქ მოიგებს, უმაღლესი ლიგის საგზურს მიიღებს. შანსი დამარცხებულსაც მიეცემა, რომელიც ბოლო საგზურისთვის უმაღლესი ლიგის მეთერთმეტეადგილოსანს შეერკინება. მოკლედ, ფლეი ოფებამდე მთელი ყურადღება აღმოსავლეთ ზონას უნდა მივაპყროთ.

აქ სეზონის მეორე ნახევარს ძალიან უსახურად ატარებს "გაგრა". ამ გუნდმა უცხოური შეკრება გაიარა, მაგრამ შედეგებით თავს ვერ მოიწონებს. 2008 წლის პირველი ოფიციალური გამარჯვება მუხრანელებმა ამ ტურშილა მოიპოვეს. წინა ტურში "გაგრა" აგარაში უშუალო კონკურენტ "მეშაქრესთან" დამარცხდა და სატურნირო მდგომარეობა გაიუარესა. "მეშაქრემ" ლიდერობა ხელთ იგდო. უფრო სწორად, აგარელები მეორე ადგილზე არიან, მაგრამ რაკი სატურნირო ცხრილს ფარმკლუბი ლიდერობს, დღესდღეობით, საფლეიოფო პოზიციაზე "მეშაქრეა".

თუმცა მთავარი ბრძოლები წინაა. როგორც ხედავთ, "მეშაქრესა" და "გაგრას" შორის სხვაობა მხოლოდ ერთ ქულას შეადგენს და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სტაბილურად ვერც ერთი მათგანი ასპარეზობს, პროგნოზების გაკეთება რთული იქნება. მხოლოდ იმას დავძენთ, რომ ამ სეზონში ეს გუნდები ერთმანეთს აღარ შეხვდებიან. იმასაც შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ "გაგრა" სპორტულმა დირექტორმა **გია გეგუჩაძემ** დატოვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

**აღმოსავლეთი ზონა**

| | |
|---|---|
| ამერი 2-მეშაქრე | 0:0 |
| ოლიმპი 2-ვიტ ჯორჯია 2 | 0:0 |
| დინამო 2-ჩიხურა | 3:1 |
| გაგრა-ნ. დინამო/მერანი 2 | 4:0 |
| ოლიმპიკი-კახეთი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო 2 | 21 | 12 | 6 | 3 | 32-15 | 42 |
| 2. მეშაქრე | 21 | 11 | 6 | 4 | 30-18 | 39 |
| 3. ვიტ ჯორჯია 2 | 21 | 11 | 5 | 5 | 32-15 | 38 |
| 4. გაგრა | 21 | 11 | 5 | 5 | 43-32 | 38 |
| 5. ჩიხურა | 21 | 9 | 6 | 6 | 33-29 | 33 |
| 6. ოლიმპი 2 | 21 | 8 | 6 | 7 | 27-23 | 30 |
| 7. კახეთი | 21 | 7 | 4 | 10 | 30-33 | 25 |
| 8. ამერი 2 | 21 | 7 | 2 | 12 | 30-35 | 23 |
| 9. ოლიმპიკი | 21 | 4 | 4 | 13 | 26-43 | 16 |
| 10. ნ. დინ/მერ. 2 | 21 | 0 | 6 | 15 | 17-57 | 6 |

**დასავლეთი ზონა**

| | |
|---|---|
| ტორპედო-კოლხეთი ხ. | 1:1 |
| ფაზისი-მეშახტე | 0:3 ტექნ. |
| მერანი მარტვ.-მაღაროელი | 0:1 |
| სამტრედია-ზესტაფონი 2 | 2:1 |
| კოლხეთი ფ.-უნივერსიტეტი ქ. | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაღაროელი | 21 | 18 | 2 | 1 | 45-13 | 56 |
| 2. მეშახტე | 21 | 12 | 1 | 8 | 34-29 | 37 |
| 3. ზესტაფონი 2 | 21 | 11 | 2 | 8 | 33-20 | 35 |
| 4. მერანი მ. | 21 | 10 | 4 | 7 | 26-18 | 34 |
| 5. კოლხეთი ფ. | 21 | 8 | 6 | 7 | 26-25 | 30 |
| 6. ტორპედო | 21 | 8 | 6 | 7 | 29-26 | 30 |
| 7. კოლხეთი ხ. | 21 | 7 | 6 | 8 | 27-25 | 27 |
| 8. უნივერსიტეტი | 21 | 6 | 3 | 12 | 16-22 | 21 |
| 9. სამტრედია | 21 | 5 | 4 | 12 | 24-44 | 19 |
| 10. ფაზისი* | 21 | 2 | 2 | 17 | 17-55 | 8 |

*ფაზისი მოხსნილია გათამაშებიდან

---

### ინტერვიუ ჟილვენ ვიეირასთან

# დინამოს უნდა გავუტანო



**ბრაზილიელი ჟილვენ ვიეირა „ზესტაფონის" თილისმად იქცა. იმერული გუნდი ამ ფეხბურთელის გარეშე დღეს უკვე წარმოუდგენელია. სამხრეთამერიკელმა ლეგიონერმა ბოლო ხანს სულ მთლად "აიწყვიტა" და მოედანს უგოლოდ აღარ ტოვებს. ბოლო ოთხ შეხვედრაში მეტოქეთა კარი შვიდჯერ დალაშქრა და ბომბარდირთა დავაში 10 გოლით მესამე ადგილზე ამოჰყო თავი. თუკი ბრაზილიელმა გოლების გატანა ასეთი ტემპით გააგრძელა, მისგან საუკეთესო ბომბარდირობაც აღარ უნდა გაგვიკვირდეს...**

**ვიეირას ზესტაფონში, „სიონთან" მატჩის შემდეგ, შევხვდით და გავესაუბრეთ. ბრაზილიელს ქართული საკმაოდ კარგად ესმის, საუბარი ცოტა უჭირს, თუმცა მასთან სასაუბროდ უცხო ენის მოშველიება არ დაგვჭირვებია, ვიეირამ კითხვებზე ქართულად გვიპასუხა...**

**- ქართული საკმაოდ კარგად აგითვისებია. ქართულ ენის კურსებს გადიოდი თუ ადამიანებთან ურთიერთობაში მოახერხე სიტყვების შესწავლა?**

- ქართულის მასწავლებელი ნამდვილად არ დამიქირავებია. როგორც ჩანს, უცხო ენების ათვისების ნიჭი მაქვს, პორტუგალიურის გარდა, ინგლისურად და ესპანურად საუბარიც შემიძლია, ახლა კი ცოტ-ცოტას ქართულადაც ვლაპარაკობ. რთული ენაა, მაგრამ თანაგუნდელებთან ურთიერთობისას ავითვისე. ბიჭებს უკვე ქართულად ველაპარაკები.

**- ბოლო დროს ძალიან შედეგიანად თამაშობ, ზედიზედ ოთხ შეხვედრაში 7 გოლი გაიტანე და 10 გოლით ბომბარდირთა დავაში მესამე ხარ, რაც მარცხენა ნახევარმცველისთვის ბრწყინვალე მაჩვენებელია. რას მივაწეროთ შენი ესოდენ ნაყოფიერი თამაში?**

- თემურ მახარაძე შეტევებში ხშირად ჩართვას მთხოვს და მის დავალებას სიამოვნებით ვასრულებ. პარტნიორებიც კარგად მიგებენ და ჩემს შედეგიანობას ესეც განაპირობებს. მარჯვენა ფლანგიდან კვასხვაძე ხშირად მამარაგებს ზუსტი პასებით. რამდენიმე გოლი სწორედ ჩვენს ფლანგურ შეტევებს მოჰყვა. მის გარდა უსიტყვოდ ვუგებ ბიტოოსა და იონანიძეს. ჩემი შედეგიანი თამაში თანაგუნდელების დიდი დამსახურებაცაა.

**- ახლა ფორმის პიკში იმყოფები თუ შენგან მეტსაც უნდა ველოდოთ?**

- უკეთაც შემიძლია თამაში, ადრე ბრაზილიაში რომ ვთამაშობდი, გაცილებით მაღალ დონეზეც მიასპარეზია. იმედი მაქვს, რომ ზესტაფონელ ქომაგს კიდევ არაერთხელ გავახარებ გატანილი გოლებით.

**- ბომბარდირობას უმიზნებ?**

- უარს არ ვიტყოდი, მაგრამ პირად წარმატებაზე მეტად კლუბის წარმატება გამიხარდება.

**- გოლის ალღო ნამდვილად არ დაგეწუნება, ადრე თავდამსხმელადაც ხომ არ თამაშობდი?**

- არა, ყოველთვის ნახევარმცველი ვიყავი. მაგრამ ბრაზილიაში შემტევ ფეხბურთს თამაშობენ და თავდასხმაში ხშირად მიწევდა ჩართვა.

**- საქართველოში ჩამოსვლისას ცოტა ხანი თბილისის „დინამოში" იყავი, თუმცა დედაქალაქურ კლუბში ფეხი ვერ მოიკიდე. შენი აზრით, რა იყო ამის მიზეზი?**

- „დინამოში" სამი თვე იჯარით ვირიცხებოდი. პირველი ხანი საკმაოდ კარგადაც ვთამაშობდი, მაგრამ შემდეგ პირადი პრობლემების გამო ფეხბურთზე კონცენტრაციას ველარ ვახდენდი და ძირითად შემადგენლობაში ადგილი დავკარგე. სათადარიგოთა სკამზე ჯდომას კი ვერ შევეგუე და „დინამო" მალე დავტოვე.

**- სანაცვლოდ „ზესტაფონს" კარგად შეეწყვე და გუნდის ერთ-ერთი ლიდერიც გახდი...**

- "ზესტაფონში" ყველა გვერდით დამიდგა. აქ ბევრი მეგობარი გავიჩინე, თემურ მახარაძემ ნდობა გამომიცხადა და ყველაფერმა ამან თამაში უფრო გამიადვილა.

**- „ზესტაფონი" და „დინამო" ერთმანეთს თასის ნახევარფინალში გადაეყარნენ, შენი ყოფილი კლუბის წინააღმდეგ ყოველთვის ორმაგად მოტივირებული იყავი და ალბათ, გამონაკლისი ამჯერადაც არ იქნება. როგორ ფიქრობ, გადალახავთ „დინამოს" ბარიერს?**

- „დინამო" რთული მეტოქეა, მაგრამ ჩვენც არ გვყავს ცუდი გუნდი. წინასწარ პროგნოზს ვერ გავაკეთებ, თუმცა პირადად ვეცდები, რომ პირველივე შეხვედრაში დავლაშქრო თბილისელთა კარი. ეროვნულზე მართლაც მაგარი თამაში იქნება.

**- საქართველოს ჩემპიონატზე რას იტყვი?**

- საინტერესო პირველობაა, თუმცა ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი, რომ დონე ამაღლდეს. საქართველოში ძალიან ცოტა, მაქსიმუმ 4 კარგი საფეხბურთო მოედანია, რაც ბევრ პრობლემას ქმნის. თუმცა, როცა აქ ჩამოვედი, გაცილებით მეტი პრობლემა იყო. ვითარება თანდათან უმჯობესდება და ვფიქრობ, 2-3 წლის შემდეგ უკეთესი დონის ჩემპიონატი იქნება. საერთოდაც საქართველოში პირველად რომ ჩამოვედი, აქეთ-იქეთ გაოცებული ვიხედებოდი, ეს სად მოვხვდი მეთქი, მას შემდეგ ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა, თბილისს ველარ იცნობ. ალბათ, ფეხბურთშიც წინ წავა საქმე.

**- „ზესტაფონმა" ჩემპიონატში საკმაოდ გაირთულა საქმე, როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ჩემპიონობის მოპოვებას?**

- დიდი შანსი გვაქვს და ყველანაირად ვეცდებით, რომ გამოვიყენოთ. ვფიქრობ, ყველაფერს „ვიტჯორჯია" - „დინამოსა" და „ზესტაფონი" - „დინამოს" შეხვედრები გადაწყვეტს.

**- „ზესტაფონში" რამდენი ხნით ითამაშებ?**

- ექვსი თვე კიდევ „ზესტაფონის" საკუთრება ვარ, მერე ვნახოთ, რა იქნება. წინასწარ რაიმეს თქმა არ შემიძლია. ოჯახიდან მოშორებით ყოფნა რთულია. ბრაზილაში მეუღლე მყავს და ორივე გაგიჟებულები ვართ ისე გვენატრება ერთმანეთი.

**- სახელოვანი ბრაზილიელი ფეხბურთელებისგან პირადად თუ იცნობ ვინმეს?**

- ძირითადად ჩემი ყოფილი კლუბის „ატლეტიკო მინეიროს" ფეხბურთელებთან მაქვს ურთიერთობა. არ ვიცი საქართველოში რამდენად ცნობილები არიან, მაგრამ ბრაზილიაში პოპულარულები არიან ამარაუ, ფაბრი და სხვა ჩემი ყოფილი თანაგუნდელები. მათთან დღესაც კარგი ურთიერთობა მაქვს.

**- რამდენიმე ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში ნატურალიზებული ბრაზილიელები წარმატებით ასპარეზობენ. საინტერესოა, საქართველოს ნაკრებში რომ შემოგთავაზონ თამაში, დათანხმდები?**

- ამაზე საუბარი არც ყოფილა და ჩემი მხრიდან უხერხულია რაიმეს თქმა. თუმცა, შემოთავაზება რომ იყოს, საქართველოს ნაკრებში თამაშზე უარს არ ვიტყოდი. ბრაზილიაში არცერთ ასაკობრივ ნაკრებში არა მაქვს ნათამაშები და ამ მხრივ პრობლემა არ მექნება.

**- როგორც ვიცი, ქართული სამზარეულო ძალიან მოგწონს მაინც რას გამოარჩევდი?**

- ღორის მწვადები მაგრად მიყვარს. ასევე სიამოვნებით მივირთმევ ხაჭაპურს და ლობიოს.

**- ქართველების რა თავისებურებებზე გაამახვილებდი ყურადღებას?**

- კარგი და ცუდი ყველგან არის, მაგრამ ქართველების უმრავლესობა კარგი გულისაა, ამით თქვენი ხალხი ბრაზილიელებს გვგავხართ. კარგი მეგობრობა იცით.

**დავით კოხრეიძე**
**ზესტაფონიდან**

საქართველოს ჩემპიონატი. XX ტური. მიმოხილვა

# ლამაზ გოლები და... ულამაზო გაუგებრობა

## არ გვინდა მშვიდობა!



ვიტ ჯორჯიამ ზედიზედ მეთოთხმეტედ მოიგო

ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ჩვენი ჩემპიონატი მაღალი დონითა და გულშემატკივრების სიმრავლით თუ ვერ დაიკვეხნის, სხვა მხრივ არის გამორჩეული. გნებავთ, უკომპრომისობა დაარქვით, გნებავთ - სხვა, ფაქტი ის არის, რომ განვლილ ტურში არცერთი მატჩი ფრედ არ დასრულებულა! თუმცა მეორეს მხრივ, XX ტურში ვერცერთ შეხვედრაზე ვერ ვიტყვით, მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდაო - ვისაც უნდა მოეგო, ყველამ მოიგო. ერთადერთი, შესაძლოა, "ლოკომოტივის" საშინაო მარცხი იყო ზოგისთვის ცოტა მოულოდნელი - **გიორგი კიკნაძის** გუნდი ხომ მეორე წრეში საგრძნობლად გაძლიერდა და ამასთან, სატურნირო მდგომარეობაც გასათვალისწინებელი იყო. მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, რომ "ლოკომოტივმა" წინა სეზონის გამარჯვებულთან წააგო. თანაც, ეს იყო **ხვიჩა ქასრაშვილის** პირველი გამარჯვება "ოლიმპის" მთავარი მწვრთნელის რანგში. "ლოკომოტივი"-"ოლიმპის" შეხვედრას ქვემოთ კვლავაც დავუბრუნდებით და ისევ განვლილ ტურზე ვისაუბრებთ. არ დავმალავთ და ვერ ვიხსენებთ სხვა შემთხვევას, ერთ ტურში ამდენი ერთი-მეორეზე ლამაზი გოლი რომ გასულიყო. რა თქმა უნდა, თითოეული ჩვენთაგანი კონკრეტული მატჩის გაშუქებისას დეტალურად აღვწერთ პერიპეტიებს; მაგრამ, წაკითხულს ყოველთვის საკუთარი თვალით ნანახი სჯობია და ამ მხრივ ტელეპროექტ "კოლხიდას" "საფეხბურთო მიმოხილვა", მართლაც, მშვენიერი საჩუქარი გამოდგა.

რომელი ერთი გამოვყოთ - **მიხეილ ხუციშვილის** ლამაზი "თავური" თუ შორეული დარტყმა? ახლა, **დენის დობროვოლსკის** გოლი-შედევრიც ვახსენოთ - "ამერის" საყრდენმა ნახევარმცველმა ყველაფერი ისე შეასრულა, მაღალი დონის ოსტატებს რომ ხელეწიფებათ; **ზურაბ იონანიძის** ეფექტური გოლიც არ დაგვავიწყდეს და ასე შემდეგ. მართალია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ კვლავაც ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა **რატი ალექსიძემ** - ამ უნიჭიერეს ფეხბურთელს ცოტაც "ვაცადოთ" და მერე უკვე სხვა მოთხოვნები წავუყენოთ. ისე, ალბათ, თვითონაც უნდა ჰქონდეს მაღალ დონეზე თამაშის პრეტენზია. და კიდევ ერთ მომენტზეც - სასიამოვნოა, რომ გოლის გემო კვლავ გაიხსენა **მიხეილ ხუციშვილმა**; თანაც, ამდენხნიანი უქმობის მერე ერთდროულად "დუბლით" გამოირჩა და კვლავაც დაწინაურდა ბომბარდირთა დავაში. ხუციშვილმა პირველი წრე, მართლაც, შთამბეჭდავად ჩაატარა. იმასაც შევახსენებთ, რომ "ლელომ" პირველი წრის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელა, თუმცა მეორე წრის სტარტზე აშკარად ვერ ყოჩაღობდა (ალბათ, ობიექტურ მიზეზთა გამო), მაგრამ ამ ორი გოლის მერე იმედი დავიტოვოთ, რომ ისევ "ძველ" ხუციშვილს ვიხილავთ. თანაც, "დინამოსთვის" მთავარი თამაშები ხომ ახლა იწყება...

..."ვიტ ჯორჯიამ" რომ ზედიზედ მეთოთხმეტე მატჩი მოიგო, ალარაფერს ვიტყვით; ისევე როგორც იმ უკვე შეჩვეულ ფაქტზეც, როცა **ნესტორ მუმლაძე** ილბლიან შეცვლებს აკეთებს!

### ტექნიკური შეცდომა, გაუგებრობა თუ?...

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ "ლოკომოტივ"-"ოლიმპის" შეხვედრაზე ცალკე ვისაუბრებდით. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი მატჩი იყო და შეხვედრაც უექსცესოდ დასრულდა. რა თქმა უნდა, უფრო მეტი მოტივაცია მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ მეტოქის გამოცდილი მცველები და მეკარე **ბექა შეყრილაძე** იმ დღეს უშეცდომოდ თამაშობდნენ. ეგ კი არა, მატჩის ბოლო წამებზე სტუმრებმა მეორე გოლის გატანის, ძალიან კარგი შანსიც ვერ გამოიყენეს. მაგრამ მთავარი ის იყო, რომ "ოლიმპმა" გაიმარჯვა. ჰო, გაიმარჯვა... აქ, თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე; აი, "სხვაგან" კი "ლოკომოტივი"-"ოლიმპის" შეხვედრა არ დასრულდა! ანუ, შეწყდა, ჩაიშალა და ასე შემდეგ! "სხვაგან", რომ ვამბობთ, ცნობილ ინტერნეტსაიტებს ვგულისხმობთ: "ლაივსკორმაც" და "სოკერსტენდმა" მხოლოდ ორი დღის მერე გამოასწორა "უნებლიე" შეცდომა. შეგახსენებთ, რომ მსგავსი რამ ჩვენთან პირველად არ ხდება. შარშან, ბოლნისის "სიონისა" და "ბათუმის" მატჩი სტუმრების გამარჯვებით (2:1) დასრულდა. თუმცა, ზემოთხსენებულ ორივე ინტერნეტსაიტზე ორი დღის განმავლობაში... ბოლნისელთა გამარჯვება იყო დაფიქსირებული. ალარაფერს ვამბობთ ოთხი წლის წინანდელ ამბავზე, როცა "ინტერტოტოს თასზე" გორის "დილა" ბულგარეთის "მარეკს" ხვდებოდა. მაშინაც ამდაგვარ, "ტექნიკურ გაუგებრობასთან" გვქონდა საქმე და საქმე იქამდეც მივიდა, რომ ამ თამაშით ინტერპოლი დაინტერესდა...

**გია ტუხაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 20 | 18 | 0 | 2 | 51-11 | 54 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 20 | 17 | 1 | 2 | 40-10 | 52 |
| 3. ზესტაფონი | 20 | 15 | 3 | 2 | 43-11 | 48 |
| 4. ამერი | 20 | 12 | 2 | 6 | 36-21 | 38 |
| 5. ოლიმპი | 20 | 10 | 4 | 6 | 18-15 | 34 |
| 6. ბორჯომი | 20 | 8 | 4 | 8 | 24-24 | 28 |
| 7. მესხეთი | 20 | 8 | 4 | 8 | 19-23 | 28 |
| 8. მგლები | 20 | 8 | 3 | 9 | 21-20 | 27 |
| 9. სიონი | 20 | 6 | 5 | 9 | 22-27 | 23 |
| 10. მერანი | 20 | 5 | 1 | 14 | 11-35 | 16 |
| 11. სპარტაკი | 20 | 4 | 4 | 12 | 8-23 | 16 |
| 12. ლოკომოტივი | 20 | 3 | 5 | 12 | 11-27 | 14 |
| 13.ბათუმი | 20 | 3 | 3 | 14 | 10-37 | 12 |
| 14. დილა | 20 | 1 | 5 | 14 | 8-40 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ხუციშვილი (დინამო) | 13 |
| გ. მერებაშვილი (დინამო) | 12 |
| ვიეირა (ზესტაფონი) | 10 |
| ტატანაშვილი (ამერი) | 9 |
| იონანიძე (ზესტაფონი) | 9 |
| გელაშვილი (ვიტ ჯ./ზესტაფონი) | 8 |
| გ. ნოდ. ჭელიძე (ზესტაფონი/ბათუმი) | 8 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 8 |
| ჩასემი (სიონი) | 7 |

**XX ტურის სიმბოლური ნაკრები**




## კაცები ბრუნდებიან



... ხუთი წლის წინათ, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში **გიორგი ნემსაძე** დაბრუნდა. სულ მალე მის მაგალითს **გოჩა ჯამარაულმაც** მიბაძა და ერთი სიამოვნება იყო უცხოეთმოვლილი ორი ვეტერანის ხილვა ჩვენს სტადიონებზე. მანამდე, კონკრეტულად კი 2001 წლის დასაწყისში, თბილისის "ლოკომოტივში" **კახა ცხადაძე** და **მურთაზ შელია** გამოჩნდნენ და ახალგაზრდა პარტნიორებს უდიდეს გამოცდილებას უზიარებდნენ. და აი, ტენდენცია გრძელდება: მეორე წრეში "ლოკომოტივში" ჯერ **ვიტალი დარასელია** და **რატი ალექსიძე**, ახლა კი **ლევან ცქიტიშვილი** გამოჩნდა. ბევრს, ალბათ, ძალიან ბევრს უკვირდა, თუ რატომ იყო აქამდე უკლუბოდ ლევან ცქიტიშვილი, ფეხბურთელი, წლების განმავლობაში საქართველოს ნაკრების შეუცვლელი მოთამაშე რომ იყო. თანაც მნიშვნელობა არა ჰქონდა, ვინ იყო ნაკრების თავკაცი: **ალექსანდრე ჩივაძე** თუ **დავით ყიფიანი, ვლადიმერ გუცაევი** თუ **იოჰან ბოსკამპი, ივო შუშაკი** თუ **ალენ ჟირესი. კლაუს ტოპმიოლერის** დროსაც იგივე გაგრძელდა და სხვანაირად ვერც იქნებოდა - ცქიტიშვილისნაირი ფეხბურთელები ნებისმიერი მწვრთნელისათვის მისწრებაა. ხშირად გვისაუბრია "ცქიტოს" უნივერსალიზმზე. საქართველოს ნაკრებსა თუ ბუნდესლიგაში რომელ პოზიციაზე აღარ უთამაშია - დაცვის ცენტრში თუ მარცხენა ფლანგზე, საყრდენ ნახევარმცველად თუ მოიერიშედ, ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე თუ... მარჯვენა მცველად! ჰო, რატომ გიკვირთ? მკაფიოდ გამოხატულმა "ცაციამ" 2001 წლის შემოდგომაზე ამ პოზიციაზე ორი ჩინებული მატჩი ჩაატარა უნგრეთისა და ლიტვის ნაკრებების წინააღმდეგ. მაშინ, საქართველოს ნაკრების თავკაცი ალექსანდრე ჩივაძე იყო. მწვრთნელი, ვინც ცქიტიშვილს ჯერ კიდევ 18 წლის ასაკში ენდო და საქართველოს ნაკრებში უხმო. ისე, სადებიუტო მატჩსაც ხომ გააჩნია: 1995 წლის 7 ივნისს ჩვენებმა **გიო ქინქლაძის** ზღაპრული გოლით უელსს სტუმრად რომ მოუგეს. მაშინ, ჩვენ, მართლაც ნაკრები გვყავდა; მეტოქეთა შორის კი **იან რაში, მარკ ჰიუზი, ნევილ საუთჰოლი** და **ჯო ჰართსონი** თამაშობდნენ...

ლევან ცქიტიშვილმა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში სადებიუტო მატჩი 16 წლისამ ჩაატარა. სხვათა შორის, 1993-94 წლების ჩემპიონატში "დინამოს" მაშინდელი მწვრთნელი **გივი ნოდია** თამამად ენდობოდა 16-17 წლის ბიჭებს და ცქიტიშვილთან ერთად სწორედ მაშინ გამოჩნდნენ პირველად ძირითადში **ალექსანდრე იაშვილი, გიორგი კიკნაძე** და **კახა კალაძე**, ოდნავ მოგვიანებით კი - **გიორგი დემეტრაძეც**. ამ დროს "დინამოს" საშინაო ასპარეზზე კონკურენტი არ ჰყავდა. მეტოქეთა უმრავლესობას უდიდესი სხვაობით ამარცხებდა. ლევან ცქიტიშვილის ტიტულებიც ყოველ წელს მატულობდა და როგორც გუნდის ერთ-ერთ ლიდერს, დიდი წვლილი შეჰქონდა "დინამოს" გამარჯვებებში. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრების კაპიტანიც იყო, მერე კი უკვე მყარად დაიმკვიდრა ადგილი ეროვნულში და დღემდე მისი შეუცვლელი წევრია.

ცქიტიშვილი-ფეხბურთელი, რაღა თქმა უნდა, "ფრაიბურგში" უფრო მეტად წარმოჩინდა. სასიამოვნო იყო გერმანული კლუბის წარმატება-წარუმატებლობა ქართულ ტრიოზე (კობიაშვილი-ცქიტიშვილი-იაშვილი) რომ იყო დამოკიდებული.

...1998 წელს თბილისის "დინამო" ძალიან ახლოს იყო უდიდეს მიღწევასთან - ბილბაოს "ატლეტიკის" ბარიერი რომ დაგვეძლია, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვხვდებოდით. აქაურ მატჩში ერთი გოლი ლევან ცქიტიშვილმაც გაიტანა, მაგრამ საპასუხო შეხვედრაში მინიმალური ანგარიშით დავმარცხდით და მალე "დინამოდან" ყველა ლიდერი წავიდა - **კობიაშვილი**, ცქიტიშვილი, **მუჯირი**.

და აი, თითქმის ათწლიანი განშორების მერე ცქიტიშვილი ეროვნულ ჩემპიონატს დაუბრუნდა. საერთოდაც, კაცური საქციელია - საიდანაც მიდიხარ, იქ უნდა დაბრუნდე; მით უმეტეს, ფეხბურთი კაცების თამაშია და კაცებიც ყოველთვის უნდა ბრუნდებოდნენ!...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტოტენჰემი

# ფორლანი ბერბატოვის ნაცვლად

## კინგმა სეზონი დაასრულა, ნიუკასლმა მამლების სამ ფეხბურთელს დაადგა თვალი

"დეილი მეილის" ცნობით, "ტოტენჰემი" "ატლეტიკოს" თავდამსხმელ **დიეგო ფორლანით** დაინტერესდა. ტაბლოიდის ცნობით, "მამლებს" ურუგვაელი **დიმიტარ ბერბატოვის** შემცვლელად სჭირდებათ. ბერბატოვი, შეიძლება, "მანჩესტერ იუნაიტედში" გადავიდეს. მას ესპანური გრანდებიც აკვირდებიან. სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, "ტოტენჰემი" მზადაა, ბულგარელი თავდამსხმელი ტრანსფერზე დააყენოს. სანაცვლოდ კი "იუნაიტედის" ყოფილ ფორვარდს გაუფორმოს ხელშეკრულება.

"მამლებმა" კიდევ ერთ თავდამსხმელს დაადგეს თვალი. ესაა კატარული "ალ სადის" არგენტინელი ლეგიონერი **მაურო სარატე**. სარატე იჯარით "ბირმინგემში" ასპარეზობს. "ტოტენჰემის" გარდა, მას "მანჩესტერ სიტი" და "სანდერლენდი" ეპატიჟებიან. მაურო არგენტინის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელია. კატარელები მას 20 მილიონ გირვანქად აფასებენ.

სეზონის ბოლოს "ტოტენჰემიდან" აბარგებას უწინასწარმეტყველებენ მეკარე **პოლ რობინსონს**. მას "ასტონ ვილასა" და "მიდლსბროში" ელოდებიან. "მამლების" ერთბაშად სამ ფეხბურთელს - **მაიკლ დოსონს, პასკალ შიმბონდასა** და **აარონ ლენონს** კი "ნიუკასლი" ეპატიჟება.

"ტოტენჰემის" კაპიტანმა **ლედლი კინგმა** სეზონი ნაადრევად დაასრულა. ის პრემიერლიგის დარჩენილ ხუთ მატჩს გამოტოვებს. 27 წლის ფეხბურთელმა ამ სეზონში მხოლოდ ათი შეხვედრა ჩაატარა, მათ შორის, ლიგის თასის ფინალური მატჩი "ჩელსის" წინააღმდეგ (2:1). კინგს მუხლის ქრონიკული ტრავმა აწუხებს, თუმცა ფეხბურთელი ირწმუნება, რომ მდგომარეობა საგანგაშო არ არის და მის კარიერას საფრთხე არ ემუქრება: *"შემეძლო, დარჩენილ მატჩებშიც მეთამაშა, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობასთან მოთათბირების შემდეგ, გადავწყვიტეთ, რომ გარისკვა არ ღირდა. მკურნალობის კურსს ბოლომდე მივიყვან და ახალ სეზონს მზად შევხვდები."*



ნავა თუ არა დიმიტარ ბერბატოვი უაით ჰართ ლეინიდან?

ჩეხეთის ნაკრები

# ევროპაზე როსიცკის გარეშე

## დაბრუნდება თუ არა ნედვედი? ჩეხს მორიგი უსიამოვნება შეემთხვა

**ტომაშ როსიცკი** ევროპის ჩემპიონატზე, შეიძლება, ვერ გაემგზავროს. ეს ინფორმაცია ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციამ გაავრცელა. "არსენალის" ნახევარმცველს მუხლის ტრავმა აწუხებს. მას იანვრის შემდეგ არ უთამაშია. როსიცკი მარტის მიწურულს უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ პროგნოზის საწინააღმდეგოდ, ფეხი ვერ მოირჩინა. ახლა კი ირკვევა, რომ მან შეიძლება მომავალ სეზონამდე ვერ ითამაშოს. როსიცკის არყოფნაში, ჩეხების თავკაც **კარელ ბრიუკნერს** კვალიფიციური ფლეიმეიქერის მოძებნა მოუწევს. ადგილობრივი სპორტული გაზეთები არ გამორიცხავენ, ვეტერანმა მწვრთნელმა **პაველ ნედვედს** უხმოს. "იუვენტუსის" ვარსკვლავი ნაკრებს 2006 წლის მუნდიალის შემდეგ გამოეთხოვა. მას გუნდში დაბრუნებასთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

ჩეხებს კიდევ ერთი წამყვანი ფეხბურთელი ჰყავთ დაშავებული - მეკარე **პეტრ ჩეხი**. "ჩელსის" კარის დარაჯს თვეზე მეტია, არ უთამაშია. ის მარტის დასაწყისში დაშავდა. გოლკიპერმა კოჭი იტკინა და ინტენსიურად იმკურნალა. პეტრი გამოჯანმრთელდა და ვარჯიშიც დაიწყო, მაგრამ მორიგი უსიამოვნება შეემთხვა: ერთ-ერთი ვარჯიშისას ის თანაგუნდელს შეეჯახა და ტუჩი და ნიკაპი გაიხეთქა. ტრავმა იმდენად სერიოზული აღმოჩნდა, რომ ფეხბურთელი საავადმყოფოში გადაიყვანეს და ჭრილობა გაუკერეს. მისი დაბრუნების თარიღი უცნობია. გასული სეზონში ჩეხმა თავის უმძიმესი ტრავმა მიიღო და თითქმის ნახევარი წელი დაისვენა. მას ამჯერად ცხრა მატჩი აქვს გაცდენილი. პეტრი "ფენერბაჰჩესთან" განმეორებით მეოთხედფინალშიც არ იქნება. მის ადგილს ისევ **კარლო კუდიჩინი** დაიჭერს.



ტომაშ როსიცკი

ლივერპული

# პიიპია რჩება, კრაუჩი?

## პიტერი აღიარებს, რომ ფერნანდო ტორესთან შანსი არ აქვს

**სემი ჰიიპია** "ლივერპულში" რჩება. ფეხბურთელმა კლუბთან ახალი კონტრაქტის დეტალები შეათანხმა. ის "ენფილდ როუდზე" 2009 წლის ივნისამდე ითამაშებს. სეზონის დასაწყისში 34 წლის ფეხბურთელის პოზიციები შესუსტებული იყო. ძირითად შემადგენლობაში **ჯეიმი კარაგერსა** და **დანიელ აგერს** ადგილები გარანტირებული ჰქონდათ, მაგრამ დანიელმა მცველმა მძიმე ტრავმა მიიღო. მის არყოფნაში **რაფა ბენიტესმა** ფინელ ვეტერანს უხმო და მანაც იმედები არ გაუცრუა. შედეგმა არ დააყოვნა: ჰიიპიას კონტრაქტი ერთი წლით გაუგრძელეს. აგერის ტრავმა რომ არა, სემის "ლივერპულიდან" აბარგება მოუწევდა. მას მერსისაიდელთა შემადგენლობაში 440 მატჩი აქვს ჩატარებული. ის გუნდში 1999 წელს ჰოლანდიური "ტილბურგიდან" გადავიდა.

"ლივერპულში" დარჩენა ჯერ არ გადაუწყვეტია **პიტერ კრაუჩს**. **ფერნანდო ტორესის** ტრანსფერმა ინგლისელი თავდამსხმელი სათადარიგო ფეხბურთელად აქცია. ის იშვიათად თამაშობს. კრაუჩს ინგლისის ნაკრებში ასპარეზობა უნდა. მან იცის, რომ უთამაშებლობის შემთხვევაში, **ფაბიო კაპელო** არ გამოიძახებს. პიტერმა მიმდინარე სეზონში ძირითადში მხოლოდ შვიდჯერ იასპარეზა. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაში "არსენალთან" შაბათის მატჩი იყო (1:1). იმავე "არსენალთან" ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი მეოთხედფინალის გამო ბენიტესმა წამყვანი ფეხბურთელები დაასვენა, მათ შორის, ტორესიც. ესპანელმა კრაუჩი ძირითადში დააყენა და მან გოლი შეაგდო.

პიტერი აღიარებს, რომ საუცხოოდ მოთამაშე ფერნანდო ტორესთან ვერას გახდება. მას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემა შანსი, თუ ბენიტესი ორი სუფთა თავდამსხმელით ითამაშებს, მაგრამ "ლივერპულის" თავკაცი გამუდმებით ფრთხილ ტაქტიკას ირჩევს. მას წინ ერთადერთი ფეხბურთელი ჰყავს. ეს ერთი ფერნანდო ტორესია, რომელმაც სადებიუტო ინგლისურ სეზონში უკვე 28 გოლი მიითვალა.

ინგლისის ასოციაციის თასი. ნახევარფინალები

# უელსელები ინგლისის თასს მიუახლოვდნენ

## ინგლისელ მწვრთნელს მსოფლიოს უძველესი საფეხბურთო ტურნირი 1995 წლის შემდეგ არ მოუგია

ამ უქმეებზე ინგლისში ასოციაციის თასის ნახევარფინალები გაიმართა. პრემიერლიგაში გაჩაღებული საჩემპიონო მარათონმა ეს მატჩები ჩრდილში მოაქცია. 1987 წლის შემდეგ პირველად, ასოციაციის თასის ნახევარფინალში ინგლისის დიდი ოთხეულის ვერცერთმა წარმომადგენელმა ვერ გააღწია. ნახევარფინალში ოთხიდან სამი გუნდი პირველ დივიზიონს წარმოადგენდა. ამიტომაც იყო, რომ პრემიერლიგის ტური თითქმის სრულად ჩატარდა და მხოლოდ "პორტსმუთის" თამაში გადაიდო. 17 მაისს, ფინალში, "კარდიფი" და "პორტსმუთი" ითამაშებენ. "კარდიფმა" თასი პირველად და უკანასკნელად შორეულ 1927 წელს მოიგო, "პორტსმუთმა" - 1939 წელს. "კარდიფი", ამავე დროს, ერთადერთი არაინგლისური კლუბია, რომელმაც ასოციაციის თასის გათამაშებაში გაიმარჯვა.

უელსელებმა "ბარნსლის" **ჯო ლედლის** ერთადერთი გოლით სძლიეს ("ბარნსლი" ფინალში გასვლას 1912 წლის შემდეგ პირველად ცდილობდა). "პორტსმუთისა" და "ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" მატჩიც მინიმალური ანგარიშით დამთავრდა. გოლი **ნვანკვო კანუმ** გაიტანა. "პორტსმუთის" თავკაც **ჰარი რედნაპს** 13-წლიანი უჩვეულო სერიის დასრულება შეუძლია. საქმე ის გახლავთ, რომ ინგლისელ მწვრთნელს ასოციაციის თასი 1995 წლის შემდეგ არ მოუგია. ბოლო ინგლისელი "ევერტონის" თავკაცი **ჯო როილი** იყო.

"კარდიფის" შემთხვევის უნიკალურობის თაობაზე არაერთხელ დავწერეთ. გუნდის ფინალში გასვლის შემდეგ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ კიდევ ერთი განცხადება გააკეთა. ორგანიზაციამ უნდა გადაწყვიტოს, აძლევს თუ არა უელსურ კლუბს ევროტურნირებში თამაშის საშუალებას, თუ ის თასს დაეუფლება. ინგლისის საფეხბურთო კანონმდებლობა ამას არ ითვალისწინებს, მაგრამ "კარდიფისათვის" გამონაკლისის დაშვება შეიძლება. საქმეში აქტიურადაა ჩართული უეფას პრეზიდენტი **მიშელ პლატინი.** მან უეფას აღმასკომს მიმართა თხოვნით, გამარჯვების შემთხვევაში, "კარდიფს" უეფას თასზე სათამაშოდ "უაილდ ქარდი" მისცეს. ასეთ შემთხვევაში, ინგლისელებს საგანგებოდ უელსური კლუბისათვის წესდების შეცვლა აღარ დასჭირდებათ.

მანჩესტერ იუნაიტედი

# რიოს ახალი კონტრაქტი

## ფერდინანდს მინიმუმ ორი კვირა გაუცდება, ფერგი მაინც იმედიანადაა



რიო ფერდინანდი

"მანჩესტერ იუნაიტედი" **რიო ფერდინანდს** ახალ კონტრაქტს გაუფორმებს. **სერ ალექს ფერგიუსონის** ცნობით, შეთანხმება თითქმის მიღწეულია. ფერდინანდი დღეს მოქმედი ხელშეკრულებითაც კი ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. მას კვირაში 100 ათას გირვანქას უხდიან. ამ კონტრაქტს 2005 წლის ზაფხულში მოეწერა ხელი. შეთანხმება ხუთი წლის ვადით გაფორმდა. განვლილ სამ წელიწადში რიო "იუნაიტედის" კაპიტანი და შეუცვლელი ფეხბურთელი გახდა. მისი ხელფასი აუცილებლად გაიზრდებაო, წერს "სანი". ფერდინანდი "მანჩესტერში" 2003 წელს "ლიდს იუნაიტედთან" მცველისათვის სარეკორდო თანხად, 30 მილიონ გირვანქად გადავიდა. რიო მიმდინარე სეზონს საუცხოოდ ატარებს. მისი და **ნემანია ვიდიჩის** წყალობით, "ეშმაკებმა" პრემიერლიგაში მხოლოდ 15 გოლი მიიღეს.

ამჟამად "იუნაიტედის" ორივე ცენტრალური მცველი ტრავმირებულია. ვიდიჩი "რომასთან" ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალში დაშავდა, რიო - "მიდლსბროსთან" პრემიერლიგის ბოლო ტურში. იტალიელებთან განმეორებით მატჩში ვერც ერთი ითამაშებს და ვერც მეორე. ვიდიჩს სამი კვირა გაუცდება. ფერდინანდს კი, ბოლო ინფორმაციით, ორი კვირა. გამოკვლევამ ცხადყო, რომ ფეხბურთელის ტრავმა სერიოზული არ არის. მას მხოლოდ დასვენება სჭირდება. სერ ალექსი იმედიანადაა. მისი თქმით, გამოჯანმრთელდნენ **მიკაელ სილვესტრი** და **გარი ნევილი**. ამათ გარდა, "მანჩესტერს" **ჯონ ოში** და **ხერარდ პიკე** ჰყავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# BARCA SI, LAPORTA NO!

## პრეზიდენტის დასასრულის დასაწყისი

**"ბარსელონამ" გასულ კვირას მორიგი ფიასკო განიცადა. კატალონიურმა გრანდმა "ხეტაფესთან" საშინაო შეხვედრაში ორი ქულა დაკარგა. ბუნებრივია, "კამპ ნოუზე" გაფლანგული ნებისმიერი ქულა მტკივნეულია, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ბოლო წარუმატებლობა განსაკუთრებით მწვავედ შეფასდა. ერთი დღით ადრე "რეალმა" "მალიორკასთან" მატჩში ფრე იკმარა და ამით კატალონიურ გრანდს მასთან მიახლოების საშუალება მისცა.**



ჟოან ლაპორტას საქმე ჭაკადაა

გულშემატკივრები დარწმუნებულები იყვნენ, რომ **ფრანკ რაიკაარდის** ბიჭები ამჯერად მაინც გამოიჩენდნენ თავს და ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შანსს გაიუმჯობესებდნენ.

მაგრამ კვირას ინჩასებმა გულსაკლავი სანახაობა იხილეს. ერთმა შეხვედრამ "ბარსელონის" უამრავი პრობლემა გამოამჟღავნა. გასაგებია, რომ რაიკაარდს ტრავმების გამო რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა, მაგრამ უბედურების მიზეზი სულ სხვაგან უნდა ვეძიოთ. ტრავმას ვერცერთი გუნდი თუ მოთამაშე ვერ გაექცევა. მთავარია, როცა ჯანმრთელი ხარ, მაქსიმალურად მომზადებული იყო და შესაძლებლობები ბოლომდე გამოამჟღავნო. წლევანდელი "ბარსას" გადაუჭრელი პრობლემაც ეს არის. ფეხბურთელები სათანადოდ არ არიან მომზადებულები. აქაც მრავალი მიზეზი შეიძლება დასახელდეს, თუმცა ერთ-ერთ მთავარ გარემოებად ისევ და ისევ რაიკაარდის რბილი ხასიათი უნდა მივიჩნიოთ. ჰოლანდიელი სპეციალისტი შეგირდებს რატომღაც ვერ უბედავს იმის თქმას, რომ თანამედროვე ფეხბურთში წარმატების მისაღწევად მეტი მუშაობაა საჭირო. თავად განსაჯეთ, მთელი სეზონის განმავლობაში "ბარსას" ნორმირებული სამუშაო გრაფიკი ქონდა. რაიკაარდი დილით შეგირდებს 2 საათის განმავლობაში ავარჯიშებს ხოლმე. გუნდის ფიზიკურ მდგომარეობას თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ მოთამაშეთა აბსოლუტურ უმრავლესობას კონდიციების გაუმჯობესება ესაჭიროება. ფაქტია, ორი საათი ამისთვის საკმარისი არ არის, მაგრამ "ბარსას" დამრიგებელი, როგორც ჩანს, დიდად არ წუხს. ამ სეზონის განმავლობაში ცალკეულ მოთამაშეებთან ინდივიდუალურად მუშაობასაც მინიმალური ყურადღება ეთმობოდა. გასაგებია, რომ მწვრთნელი ერთია და ყველას ვერ გაწვდება, მაგრამ საქმეს კარგად გამართული სისტემა უნდა აკეთებდეს. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კატალონიურ გრანდს აქცენტი ვარსკვლავების ინდივიდუალიზმზე ჰქონდა გადატანილი. საქმისადმი ამგვარმა მიდგომამ წლების წინ ფანტასტიკური შედეგი გამოიღო. "ბარსამ" ფაქტობრივად ყველა ტიტული მოიპოვა, რისი მოპოვებაც შეიძლებოდა. ტრიუმფალური სეზონის შემდეგ შემადგენლობა პრაქტიკულად არ შეცვლილა. გუნდი მხოლოდ რამდენიმე კაცმა დატოვა. ბირთვი კი ხელუხლებელი დარჩა. ერთი შეხედვით, კატალონიელთა ლაღი სვლა კიდევ დიდხანს უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ აგერ უკვე ორი წელიწადია, "ბარსა" იმედგამაცრუებელ შედეგებს იმკის. იგივე ფეხბურთელები ახლა ძალიან უსახურად თამაშობენ. რაიკაარდს ასეთი კრიზისული მომენტისთვის ადეკვატური გეგმა არ აღმოაჩნდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ჰოლანდიელი სპეციალისტი ყოველ შეხვედრაში ცალკეული ვარსკვლავების აფეთქებას ელის და გამარჯვების მოპოვებას მათი ინდივიდუალიზმის წყალობით იმედოვნებს. სიმართლე ითქვას, ცოტა გულუბრყვილო ჩანაფიქრია. **ანდრეს ინიესტასა** და **ლიონელ მესის** თუ არ ჩავთვლით, მიმდინარე სეზონში კატალონიელთაგან შესაძლებლობების დიდი ნაწილი არავის გამოუმჟღავნებია. ასეთ პირობებში გულხელდაკრეფილი ჯდომა და ვარსკვლავების აფეთქების მოლოდინით ცხოვრება აბსურდია და სხვა არაფერი. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კატალონიელებს ტრავმებიც სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. **რონალდინიოს** მიკროტრავმებსა და მის უსახურ თამაშზე არაფერს ვამბობთ. ამჯერად სხვა ფეხბურთელების მნიშვნელობაზე გავამახვილებთ ყურადღებას. დაგვეთანხმებით, **დეკუსა** და **რაფა მარკესს** უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრებოდათ. პორტუგალიელი ყოველთვის ნახევარდაცვაში თამაშობდა, მარკესი კი ხან შუაში იყო, ხან დაცვას ამაგრებდა. არ გვინდა ცალკეული ფეხბურთელების ღვაწლი არაბუნებრივად გავაბუქოთ, მაგრამ ფეხბურთში კარგად გაცნობიერებული ადამიანი უსიტყვოდ დაგვეთანხმება, რომ "ბარსას" სტაბილურობა დიდწილად სწორედ დეკუსა და მარკესის შესანიშნავი თამაშით იყო განპირობებული.

ლეო მესის ტრავმაზე ახალი რა უნდა ვთქვათ? ახალგაზრდა არგენტინელი კლუბს სწორედ მაშინ გამოეცალა, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა. რა თქმა უნდა, ძალიან ბანალური იქნება ხაზგასმა, რომ ლეოს გენიალური დრიბლინგებისა და გარღვევების წინააღმდეგ ფაქტობრივად ყველა გუნდი უძლური იყო. საუკეთესო ფორმაში მყოფი მესის შეჩერება შეუძლებელი გახლდათ. გაიხსენეთ, რაოდენ შთამბეჭდავად დაიწყო სეზონი არგენტინელმა მეგავარსკვლავმა. გოლი გოლს მოსდევდა, მაგრამ შემდეგ მიკროტრავმებმა ფეხბურთელს სრულფასოვნად მომზადების საშუალება მოუსპო. ექიმები ვერ რისკავდნენ, რის გამოც მესის ბოლომდე არ ტვირთავდნენ. არასრულფასოვნად ჩატარებული ვარჯიშები კი თამაშის ხარისხზე პირდაპირპროპორციულად აისახებოდა. მიკროტრავმებს სერიოზული განსაცდელი მოჰყვა. მოგეხსენებათ, მესის ამ სეზონში ბარძაყის კუნთი ორჯერ გაუწყდა. ის ახლაც ლაზარეთში იმყოფება. სრული შთაბეჭდილების შესაქმნელად კიდევ ერთი მოთამაშის უიღბლობაზე უნდა ითქვას. მისი სახელი **სამუელ ეტოოა**. გენიალურმა აფრიკელმა ფორვარდმა ტრავმა სეზონის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე მიიღო და ოთხთვიან იძულებით შვებულებაში გავიდა. ბუნებრივია, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დაბრუნებულ სამუს ფორმის აღსადგენად საკმაო დრო დასჭირდა. როგორც კი ფორვარდი ოპტიმალურ კონდიციებს მიუახლოვდა, ქუდი დაიხურა და აფრიკის თასზე სათამაშოდ გაემგზავრა. ეტოო, "ბარსელონას" სანაკრებო თავგადასავლების გამო თითქმის ერთი თვის განმავლობაში ვერ ეხმარებოდა. როგორი საქმეა, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფორვარდს, ფაქტობრივად, ნახევარი სეზონის განმავლობაში რომ ვერ გამოიყენებ? განა საკამათოა, რომ სამუელს სეზონის დაწყებიდან სტაბილურად რომ ეთამაშა, "ბარსას"ახლა გაცილებით უკეთესი ყოფა ექნებოდა...

მესი, ეტოო, მარკესი, დეკუ... ეს უკვე ოთხი კაცია. ამას რონალდინიოს ტოტალურ გამოთაყვანებასაც თუ დავამატებთ, მიხვდებით, რომ "ბარსელონა" მიმდინარე სეზონში ნახევარი ძალითაც ვერ თამაშობდა. სხვაგვარად როგორ ავხსნათ, ხუთი ვარსკვლავი თითქმის მთელი გუნდია. ჩვენ თვითონვე ვამბობთ, რომ საკადრო პრობლემები კატასტროფული თამაშისა და არანაკლებ სამარცხვინო შედეგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო... მაგრამ მთავარ პასუხისმგებელ პირად ისევ და ისევ ფრანკ რაიკაარდი უნდა მივიჩნიოთ. მიმდინარე სეზონის დასრულებამდე სულ რაღაც შვიდი ტური დარჩა. რაც იმას ნიშნავს, რომ თითქმის მთელი ჩემპიონატი გაილია. რაიკაარდს კი პრობლემების მოგვარების მიზნით ალტერნატიული სტრატეგია ერთხელაც არ გამოუყენებია. ალბათ, არ ჰქონდა და იმიტომ. კატალონიელები ყოველთვის შაბლონური 4-3-3 ტაქტიკით ხელმძღვანელობდნენ. რაიკაარდს მრავალფეროვნება აკლდა, რის გარეშეც "ბარსა" დიადი კლუბი ვერასოდეს იქნება. ადრე ამ მრავალფეროვნებას ვარსკვლავების საოცარი თამაში განაპირობებდა, მაგრამ ვარსკვლავების ჩაქრობის შემდეგ "კამპ ნოუზე" წყვდიადმა დაისადგურა. კვირას "ხეტაფესთან" მატჩის მიწურულს გულშემატკივრებმა თეთრი ცხვირსახოცებიააფრიალეს. ეს ჟესტი ძალიან მრავლისმეტყველი იყო. უდავო გახლდათ, რომ საზოგადოების უკმაყოფილების გამოხატვა ამით არ დასრულდებოდა...

მართლაც, სტადიონიდან გარეთ გასული გულშემატკივრები ერთმანეთს ტკივილს უზიარებდნენ და გაცოფებისგან ადგილს ვერ პოულობდნენ. ინჩასებს უსუსურობის გრძნობა სტანჯავთ. თითქოს, მათ არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ, მაგრამ ამ დროს, სრულიად სპონტანურად, ყველაზე მეამბოხე სულის მქონე კატალონიელმა გულშემატკივარმა ხმამაღლა დაიღრიალა, სახლებში არ წავიდეთ, **ლაპორტას** მივაკითხოთო. იდეა ათასობით ადამიანმა მოიწონა და დემონსტრაცია პრეზიდენტის ადგილსამყოფელისკენ დაიძრა. ბუნებრივია, ინჩასები შენობაში არ შეუშვეს, მაგრამ ამით ბევრი არაფერი შეცვლილა. გულშემატკივრები ერთხმად სკანდირებდნენ - ლაპორტა, წადი! პრეზიდენტის სავარძელში მოკალათების შემდეგ სენიორ ჟოანს ასეთი რთული დღე არ ჰქონია. მის წინააღმდეგ მანიფესტაცია პირველად მოეწყო. ხალხმა მისი გადადგომაც პირველად მოითხოვა.

ერთი შეხედვით, ლაპორტას სამსახურიდან ვადამდე წასვლის საკითხის დაყენება დიდი უსამართლობაა. განა ეს ის კაცი არ არის, რომელმაც გასულ წლებში კატალონიურ გიგანტს ფენომენალური წარმატებები მოუტანა? წამყვანი ეკონომისტები წერდნენ, რომ ლაპორტა ჩინებული მენეჯერი იყო და საქმეს ფანტასტიკურად უძღვებოდა. ცხადია, გუნდის განვითარებისთვის ფული ჰაერივით საჭირო იყო. ჰოდა, ლაპორტამ და მისმა თანამშრომლებმა საერთო ძალისხმევით "ბარსელონა" პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე მომგებიან კლუბად აქციეს. მაგრამ ახლა ეს აღარავის ახსოვს. პრეზიდენტს ჩემპიონთა თასსა და პრიმერა დივიზიონში მიღწეული წარმატებებიც დაუვიწყეს... ასეა, "ბარსას" ქომაგები მეტისმეტად მომთხოვნები არიან. დღეს ისინი თამამად ყვირიან, რომ ყველაფერი სწორედ სენიორ ლაპორტას ბრალია.

პრეზიდენტის საწინააღმდეგო გამოსვლები ორშაბათსაც გაგრძელდა. გულშემატკივრებმა მრავალათასიანი საპროტესტო მსვლელობა მოაწყვეს. მათ თითქმის მთელი ბარსელონა შემოიარეს და გზა და გზა ხალხიც შემოიმატეს. ბოლოს უზარმაზარი დემონსტრაცია ისევ და ისევ პალორტას კაბინეტისკენ დაიძრა. სულისკვეთება უცვლელი დარჩა: შეიცვალა მხოლოდ ლოზუნგი, BARCA SI, LAPORTA NO. ხომ არ გგონიათ, რომ სენიორ ჟოანის გადადგომის მოთხოვნა ერთი ცალკეული ჯგუფის ახირებაა. ნურას უკაცრავად, წამყვანი გაზეთების გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ქომაგების 60-დან 75-პროცენტამდე სენიორ ლაპორტას სასწრაფოდ წასვლას მოითხოვს.

როგორც ჩანს, უკმაყოფილება დიდხანს გროვდებოდა. ზოგჯერ იმასაც ამბობდნენ, რომ ლაპორტას თანამდებობა თავში აუვარდა და ქვეყნის პრეზიდენტის როლის თამაში დაიწყოო. სხვათა შორის, ეს მოსაზრება ნამდვილად არ არის საფუძველსმოკლებული. უამრავი ისეთი შემთხვევის გახსენება შეიძლება, როცა ბატონი ჟოანი წმინდა საფეხბურთო ცხოვრებას სცილდებოდა და პოლიტიკურ დებატებში შედიოდა. თავად განსაჯეთ, ლაპორტა დაუღალავად იმეორებს, რომ კატალონია ესპანეთი არ არის, და რომ ესპანელებმა კატალონიელებს ოდითგანვე ჩაგრავდნენ... მოკლედ, ეს კაცი მართლაც პოლიტიკაში გადაეშვა და ფეხბურთისთვის ცოტა დრო რჩებოდა. შედეგიც სახეზეა, "ბარსელონა" საკუთარ თავს ვერ ცნობს. ფაქტია, ასე აღარ უნდა გაგრძელდეს. რაიმე უნდა შეცვალონ.

**ილია ნიკოლაიშვილი**

### დუნგა საავადმყოფოში

გასულ უქმეებზე ბრაზილიის ნაკრების თავკაცმა **კარლოს დუნგამ** ერთბაშად სამი ოპერაცია გაიკეთა - ორი ფეხზე და ერთიც თირკმელზე, საიდანაც კენჭი ამოაცალეს. ოპერაცია პორტუ ალეგრეს საავადმყოფოში ჩატარდა. არც ერთი მათგანი არ ყოფილა სასწრაფო და გადაუდებელი. პენტაკამპეონების თავკაცმა სწორედ ახლა გამონახა დრო იმისათვის, რომ დიდი ხნის პრობლემებისათვის მიეხედა. მას მარცხენა მუხლისა და ბარძაყის ოპერაციები გაუკეთეს. მომდევნო ერთი თვის განმავლობაში დუნგას თაბაშირი და ყავარჯნები დასჭირდება. სეუ კარლოსის სარეაბილიტაციო კურსს ბრაზილიის ნაკრების მთავარი ექიმი **ჟოზე ლუიშ რუნკო** გაუძღვება.

### კუპეს თვალი ამერიკისაკენ უჭირავს

საფრანგეთის ნაკრებისა და "ლიონის" მეკარე **გრეგორი კუპე** ამერიკაში გამგზავრებას აპირებს. მაგრამ ეს არც ამ ზაფხულს მოხდება და არც გაისად. კუპეს საფრანგეთის ჩემპიონებთან კონტრაქტი 2010 წელს უმთავრდება. იმ დროისათვის გრეგორი 38 წლისა იქნება. ეს კი, მოგეხსენებათ, საპენსიო ასაკია. კუპეს ევროპაში სარფიან პირობებს აღარ შესთავაზებენ. ამერიკელებს კი კვლავაც დიდ სამსახურს გაუწევს. გრეგორი სამომავლო გეგმების დაკონკრეტებისაგან თავს იკავებს, მაგრამ ამბობს: *"ვფიქრობ, ჩემი ოჯახი ამერიკაში თავს ძალიან კომფორტულად იგრძნობს."*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩების წინ

# ბენიტესმა ვენგერი გაშიფრა, ზიკოს არ ეშინია

**ლივერპული–არსენალი (1:1)**

საავარაუდო შემადგენლობები

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, შკრტელი, ჰიიპია, რიისე, ფაბიო აურელიო, ჯერარდი, მასკერანო, ჩაბი ალონსო, ბენაიუნი, ფერნანდო ტორესი.

**არსენალი:** ალმუნია, კოლო ტურე, გალასი, სენდეროსი, კლიში, ებუე, გლები, ფლამინი, ფაბრეგასი, უოლკოტი, ადებაიორი.

**არბიტრი:** პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

"ლივერპულსა" და "არსენალს" დიდი კვირა უდგათ. მოკლე პერიოდში დღეს ისინი მესამედ გაარკვევენ ურთიერთობას. 2 აპრილს, "ემირითსის" მატჩი 1:1 დასრულდა, რამაც მერსისაიდელთა სანახევარფინალო შანსი აშკარად გაზარდა. ეს ანგარიში აღინიშნა შაბათსაც, როცა პრინციპული მეტოქეები, იმავე მოედანზე, უკვე პრემიერლიგის ეგიდით შეიყარნენ. ამ ორმა შეხვედრამ გვიჩვენა, რომ "ლივერპული" და "არსენალი" თანაბარი ძალის გუნდები არიან, მიუხედავად შინაურ ფრონტზე მათი სადღეისო მდგომარეობისა.

ვგონებთ, **არსენ ვენგერი** დილემის წინაშე არ უნდა იდგეს. ამ სტადიაზე, როცა სასწორის ცალ მხარეს ჩემპიონთა ლიგაა, ხოლო მეორეზე საშინაო ტიტული, მწვრთნელი, თან იმ მასშტაბის, როგორიც ვენგერია, რომელიმე ერთის სასარგებლოდ არჩევანს ვერ გააკეთებს. ეს იქნებოდა გაუმართლებელი რისკი, რომ მთლად ხელცარიელი დარჩე. ამიტომ, ვენგერი და მისი "მეთოფეები" არაფერს დათმობენ. ამბიციური ახალგაზრდებისთვის ნებისმიერი ჯილდო ძვირფასია.

სხვა საქმეა "ლივერპული", რომელიც **რაფა ბენიტესის** ხელში ჭეშმარიტ საჩემპიონთალიგო მებრძოლად ჩამოყალიბდა. ბოლო სამ წელიწადში "წითლებმა" ორი ფინალი ითამაშეს და ახლა მესამეს უმიზნებენ. შესაბამისად, დათმობებზე ვერც ბენიტესი წავა. საკმარისია, წამით ყურადღება მოაკლოს პრემიერლიგას, რომ დიდია შანსი, კვარტეტში ადგილი თანაქალაქელ "ევერტონს" "გადაულოცოს". ესეც რისკია, რადგან თუ "ლივერპულმა" "არსენალის" ბარიერი ვერ დაძლია, ეგებ, მერე შინაურ ბატალიებშიც დაუცდეს ფეხი და სამომავლოდ სულაც ჩემპიონთა ლიგის გარეშე დარჩეს. ასე რომ, კომპრომისი არ იქნება. აქვე, ხაზი უნდა გაესვას იმ გამოცდილებასაც, რაც ბენიტესმა და მისმა ამქარმა ბოლო წლებში დააგროვეს. სწორედ ეს არის მისი უპირატესობა ლონდონურ კრებულზე, რომელსაც ყველაზე მეტად ახალგაზრდული ენთუზიაზმისა უნდა ეიმედებოდეს. რა თქმა უნდა, კლასსაც ვერ ავუვლით გვერდს.

ვენგერი დარწმუნებულია, რომ "არსენალის" სალიგო თავგადასავალს დასრულებამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია: *"ორივე გუნდისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი თამაშია. ვეცდებით, სამშაბათ საღამოს ქომაგებს ჩვენი ფეხბურთი ვაჩვენოთ, მოვიგოთ და ნახევარფინალში გავიდეთ. საამისოდ, ყველაფერს გავაკეთებთ. მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს, სეზონი ჩვენთვის ყველა ვარიანტში წარმატებული იქნება. პრემიერლიგის დაწყების წინ სადღაც ცხრილის შუა ადგილებს გვიწინასწარმეტყველებდნენ. ასე რომ, ჩვენ უკვე გადავაჭარბეთ მოლოდინს".*

თუ "არსენალის" საკლუბო ვებგვერდს ვენდობით, **ემანუელ ადებაიორი, გაელ კლიში** და **ალექსანდრ გლები** დაღლილები ყოფილან. ვენგერმა ადებაიორი რამდენჯერმე თადარიგშიც დასვა, თუმცა ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებზეც მწვრთნელი უარს ვერ იტყვის, მით უმეტეს, ამ სიტუაციაში. "მეთოფეთა" ნახევარმცველი **სესკ ფაბრეგასი** ასე მსჯელობს:

*"ყველამ იცის, თუ რაოდენ ძნელია "ლივერპულის" ქომაგთა წინაშე თამაში. "ენფილდზე", უბრალო სათასო მატჩის დროსაც კი, იქაური მაყურებელი მეთორმეტე მოთამაშის როლს ასრულებს, მაგრამ ეს შეიძლება ჩვენთვის უპირატესობადაც იქცეს. საკუთარი მაყურებლის წნეხისგან თავისუფლები ვიქნებით და უფრო ლაღად ვითამაშებთ".*



ლივერპულმა თავდაუზოგავად ივარჯიშა

ბენიტესი დარწმუნებულია, რომ ვენგერი სწორედ ჩემპიონთა ლიგაზე გაასწორებს ფოკუსს. აი, რაფას არგუმენტიც: "დარწმუნებული ვარ, შაბათის ფრის შემდეგ ვენგერმა პრემიერლიგის ტიტულზე ხელი ჩაიქნია. ამიტომ, "არსენალი" უკვე ჩემპიონთა ლიგაზეა კონცენტრირებული და შესაბამისად, ორმაგად საშიშია. მისი გუნდის სათამაშო სტილი ყველამ კარგად იცის. მათ შეუძლიათ ბურთის დაჭერაც, გრძელი გადაცემებით თამაშიც, სხვა ვარიანტებიც აქვთ... ასე რომ, მძიმე შრომა მოგვიწევს, აუცილებელია მკაცრი კონტროლი და სწრაფი კონტრშეტევა".

**არსენალი VS ინგლისი**
0 მოგება, 2 ფრე, 1 წაგება.
ბურთები: 3-4.

**ლივერპული VS ინგლისი**
3 მოგება, 5 ფრე, 5 წაგება.
ბურთები: 5-7.

**ჩელსი–ფენერბაჩე (1:2)**

საავარაუდო შემადგენლობები

**ჩელსი:** კუდიჩინი, პაულო ფერეირა, ტერი, რიკარდო კარვალიო, ე. კოული, ლემპარდი, მაკელელე, ბალაკი, ჯ. კოული, დროგბა, კალუ.

**ფენერბაჰჩე:** ვოლქანი, ონდერი, ლუგანო, ედუ, ვედერსონი, მეჰმეთ აურელიო, მალდონადო, უგური, დეივიდი, კეჟმანი, ალექსი.

**არბიტრი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

წესითა და რიგით, "ჩელსის" ნახევარფინალში გასვლა უნდა გაუჭირდეს. ერთი კვირის წინ, "ფენერბაჰჩემ" დაამტკიცა, რომ გრანდების არ ეშინია. სტამბოლმა "ჩელსის" დამარცხება უკვე იზეიმა და წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ **ზიკოს** ბიჭებმა "სტემფორდ ბრიჯზეც" გაისროლეს. მართალია, "არისტოკრატებს" შემდგომ სტადიაზე გასასვლელად კინკილა გოლიც ჰყოფნით, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ზიკო მკაცრად დაცვით ფეხბურთზე გააკეთებს აქცენტს, "ჩელსისთვის" ამ ბასტიონის დაძლევა იოლი არ იქნება. მით უმეტეს, ცნობილია, ლონდონელებს ამგვარი ფეხბურთის წინააღმდეგ არგუმენტების მოძიება ტრადიციულად უჭირთ. აქ მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ადრეული გოლის ფაქტორი, რაც "ფენერს" აიძულებს, თამაში გახსნას, მერე კი რა მოხდება, ღმერთმა უწყის. ამიტომ, ზიკოს მთავარი ამოცანაა, სწრაფი გოლი როგორმე თავიდან აიცილოს.

ბოლო უიქენდზე, "მანჩესტერ სიტისთან" გასვლით მატჩში, რომელიც "ჩელსიმ" 2:0 მოიგო, **ავრაამ გრანტმა** ძირითადი შემადგენლობის ნახევარი დაასვენა. ლონდონელთა დამრიგებელი პირველ მატჩს იხსენებს: *"თურქეთში კარგად ვითამაშეთ, პირველ ტაიმშიც და მეორის დიდ ნაწილშიც, ვიდრე მასპინძლები გაგვიტანდნენ. "ფენერბაჰჩე" კარგი გუნდია და კარგი მწვრთნელიც ჰყავს. თვალთმაქცობაში ნუ ჩამითვლით და, ფეხბურთელობის ჟამს ზიკო ყველაზე მეტად მომწონდა. არ იქნება ადვილი, მაგრამ ვიცი, რომ ნახევარფინალში გასვლა შეგვიძლია. "ჩელსის" აქვს ის კლასი, რის ხარჯზეც მას ნებისმიერი მეტოქის დამარცხება ძალუძს. ვიცი, რასაც ველოდები და ისიც ვიცი, რომ ყველაფერს გავაკეთებთ გამარჯვებისთვის".*

მაგრამ გრანტმა ისიც იცის, რომ ბევრი წამყვანი ფეხბურთელი შორს არის ფორმის პიკისგან. ამის მიზეზი დეკემბერ-იანვრის სატრავმო ეპიდემია: *"მაშინ, ჩვენ თითქმის ყველა წამყვანი მოთამაშე გამოგვაკლდა. ლემპარდი, ტერი, დროგბა, ესიენი... მათ მძიმე პერიოდი გამოიარეს, მაგრამ ეს ის ფეხბურთელები არიან, რომლებმაც პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში მოგვცეს ის პოზიცია, რომელზეც დღეს ვართ. ამიტომ, მათდამი ნდობა უდიდესია".*

პირველ მატჩში **მიკაელ ესიენმა** მარჯვენა ფლანგზე ითამაშა, მაგრამ დღეს ეს ადგილი, შეიძლება, **პაულო ფერეირას** დაუთმოს. სასტარტო შემადგენლობაში მოიაზრება **მიხაელ ბალაკიც**. გამომდინარე საჭიროებიდან, გრანტი უარს არ იტყვის იმაზე, რომ თავდასხმაში **დიდიე დროგბა, სალომონ კალუ** და ოდნავ უკან **ჯო კოული** დააყენოს.

ისევე, როგორც პირველი მატჩის წინ, "ფენერბაჰჩემ" შინაურ ფრონტზე ამჯერადაც იყოჩაღა, დაამარცხა (2:1) რა შაბათს "ქაისერისფორი" და პირველი ადგილი განიმტკიცა. გრანტის დარად, ამ შეხვედრაში წამყვანი ფიგურები ზიკომაც დაასვენა. მაგალითად, არ უთამაშია მეკარე **ვოლქან დემირელს**, ხოლო **ედუ დრასენას** დაყენება მწვრთნელმა ვერ გარისკა, რადგან "ჩელსისთან" პირველ მატჩში მიღებული ტრავმის შემდეგ ბრაზილიელი ბოლომდე გამოჯანმრთელებული არ იყო. შესაძლოა, ვერ ითამაშოს ფორვარდმა **სემიჰ სენთურქმაც**, რომელმაც "ქაისერთან" ხსენებულ შეხვედრაში გამარჯვების გოლი გაიტანა. რაც შეეხება **რობერტო კარლოსს**, "სევილიასთან" მატჩში მიღებული ტრავმის შემდეგ, შაბათს ისიც გამოჩნდა მოედანზე, მაგრამ როგორც მწვრთნელი აცხადებს, ესოდენ მნიშვნელოვანი დაპირისპირებისთვის ვეტერანი ფიზიკურად მზად არ არის. ასე რომ, ზიკოს დაცვის მარცხენა ფლანგზე გარკვეული პრობლემები ექნება.

*"ჩვენს მეტოქეს აქვს გამოცდილება და კლასი, მაგრამ ეს ვერ შეგვაშინებს. ლონდონში იმედებით ჩამოვედით და ვეცდებით, ევროპა კიდევ ერთხელ გავაკვირვოთ"*, - თქვა **არტურ ანტუნეშ კოიმბრამ** (გაგახსენდათ ზიკოს სრული გვარ-სახელი?) წინასამატჩო პრესკონფერენციაზე.



გრანტი და მისი ბიჭები ფენერბაჰჩემდე ბოლო ვარჯიშზე

**ფენერბაჰჩე VS ინგლისი**
4 მოგება, 2 ფრე, 6 წაგება.
ბურთები: 10-19.

**ჩელსი VS თურქეთი**
3 მოგება, 0 ფრე, 2 წაგება.
ბურთები: 9-4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

სერია A. ტურის გამოხმაურება

# იუვენტუსი და ნაპოლი მაფიის სამსხვერპლოზე

**რანიერიმ, გამარჯვებას ჩვენ ვიმსახურებდითო. გატეხილი თავები და ჩუმი პანიკა რენცო ბარბერაზე. მილანი და რონალდინიო ისევ ერთად ახსენეს**



ნედვედი და გუანა შეჯახების შემდეგ

ბოლო, იტალიური ტურის მთავარ მოულოდნელობად "იუვენტუსის" სიცილიური მარცხი იქცა. საერთოდ, ეს უიქენდი "მაფიოზებისა" იყო, რადგან გაიმარჯვა "კატანიამაც" და თან გაცილებით შთამბეჭდავად - 3:0 "ნაპოლისთან", მწვრთნელის პოსტზე **ვალტერ ძენგას** სადებიუტო მატჩში. მაგრამ დავუბრუნდეთ პალერმოს. ეს იყო **სტეფანო კოლანტუონოს** პირველი გამარჯვება "პალერმოს" ცხელ სკამზე დაბრუნების შემდეგ. საგულისხმო დეტალი: **მაურიციო ძამპარინიმ** ნოემბერში ის სწორედ "იუვესთან" წაგების (0:5) შემდეგ გაათავისუფლა...

"პალერმოში" წაგებამ ტურინული გრანდის სალიგო შანსებს სერიოზული დარტყმა მიაყენა. მართალია, "იუვეს" ერთი მატჩი ("პარმასთან") თადარიგში აქვს, მაგრამ მეშვიდეადგილოსან "უდინეზესთან" 7-ქულიანი დაშორება **კლაუდიო რანიერის**, წესით, მოსვენებას უნდა უკარგავდეს. მწვრთნელმა საკვირაო მარცხის გამო გაკვირვება გამოთქვა:

*"არ მესმის, როგორ წავაგეთ. თუ გონებაში კიდევ ერთხელ გადავხედავთ მატჩის პერიპეტიებს, აღმოჩნდება, რომ "პალერმომ" სამჯერ დაარტყა მიზანში და ბუფონმა ერთხელაც ვერ გვიხსნა. მადლობელი ვარ ბიჭების, და განსაკუთრებით დელ პიეროსი, რომელთა მეცადინეობის ხარჯზე მეორე ტაიმში ანგარიში გავათანაბრეთ. "იუვემ" თავისი ხასიათი აჩვენა და საქმე ისე მიდიოდა, 4:2 უნდა მოგვეგო. ბოლო-ბოლო, ჩვენ ფრეზეც ყაბულს ვიქნებოდით, მაგრამ მარცხი? დაუჯერებელია... რას ვიზამთ, ასეთია ფეხბურთი. ეს წაგება ვერ შეგვაჩერებს. დასახული მიზნისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ".*

ალესანდრო დელ პიეროს გარდა, რანიერიმ ნახევარდაცვაში **მოჰამედ სისოკო** გამოყო: *"ის ძალიან მალე შეეწყო გუნდს, უკვე "იუვენტუსის" ნაწილია და კვირასაც კარგად იმუშავა. მას აქვს ხასიათის სიმტკიცე, რაც პროფესიული ზრდისთვის მშვენიერი წინაპირობაა".*

"პალერმოს" მხრიდან, მატჩის გმირი **კარვალიო ამაური** იყო. მან ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გაიფორმა დუბლი და გამარჯვებისთვის სოლიდური საფუძველიც შექმნა. საინტერესოა, რომ "იუვენტუსის" პრეზიდენტმა **ჯოვანი კობოლი ჯილიმ,** მაინც და მაინც, ამ შეხვედრის წინ გაამხილა ამაურის შეძენის სურვილი. ბრაზილიელმა ფორვარდმა პოტენციურ მყიდველს დაუმტკიცა, რომ დიდი გუნდის ღირსია. ამაურის თაობაზე რანიერიმ ასე იხუმრა: *"მას შეეძლო, სხვანაირად დაემტკიცებინა თავისი ძალა".*

კოლანტუონომ კი აღიარა, რომ მის გუნდს ცოტათი გაუმართლა: *"დიდებულად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ, პოზიციები დავთმეთ. "იუვემ" სასტიკი წნეხის ქვეშ მოგვაქცია და მონაპოვარი კინაღამ გავანიავეთ. შეიძლება, თავი იმით გავიმართლოთ, რომ ტრავმების გამო გუანა და სიმპლისიუ გამოგვაკლდნენ. ამან ნახევარდაცვაში სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა, რადგან მათ შემცვლელებს განსხვავებული მახასიათებლები აქვთ. ასე იყო თუ ისე, გამარჯვებით ბედნიერები ვართ. იმედია, ნეგატიური ციკლი უკან დარჩა. ახლა "კატანიასთან" დერბისთვის უნდა მოვემზადოთ. პრინციპში, ფსიქოლოგიურად უკვე მზად ვართ კიდეც".*

იმ საღამოს, "რენცო ბარბერაზე" კინაღამ ტრაგედია დატრიალდა. 22-ე წუთზე **რობერტო გუანა** და **პაველ ნედვედი** ერთმანეთს თავებით შეასკდნენ და მოედანზე გათიშულები დაეცნენ. ბოლო ხანს ფეხბურთში გახშირებული სიკვდილიანობის ფაქტორმა იმოქმედა და სტადიონზე სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, ვიდრე გაირკვეოდა, რომ გუანაცა და ნედვედიც ცოცხლები იყვნენ. სასწრაფო დახმარებამ ორივე ჰოსპიტალში გააქანა. ჩეხი ნახევარმცველის მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო, არგენტინელი კი მცირე ხანს ისევ კომაში რჩებოდა. მოგვიანებით, ისიც გონს მოვიდა და შეიძლება, კიდევ რამდენიმე დღე მოუწიოს საავადმყოფოში მკურნალობა. რაც შეეხება ნედვედს, ის ტურინში გუშინ, დილით დაბრუნდა.

თავების მტვრევა ამით არ დასრულებულა. მეორე ტაიმში მძიმე დარტყმა მიიღო "იუვენტუსის" ნახევარმცველმა **ტიაგო მენდეშმაც,** თუმც იქვე უწამლეს და მატჩი თავშეხვეულმა ჩაამთავრა.

## ბერლუსკონი: ანჩელოტი რჩება, რონალდინიო მოდის?

რა ცოტაა საჭირო პრეზიდენტის გულის მოსაგებად. საკმარისი იყო, "მილანს" შაბათს "კალიარი" დაემარცხებინა, რომ **სილვიო ბერლუსკონი** უმალ მწვრთნელის ქება-დიდებას მიჰყვა. არადა, წინა ტურში "ატალანტას" საშინაო მარცხის (1:2) შემდეგ, ბოსი მეტად გაბრაზებული ყოფილა და ინფორმაციაც გავრცელდა, **კარლო ანჩელოტის** განაჩენი გამოუტანაო. ეტყობა, ამ ხმებმაც აიძულა ბერლუსკონი, კარლეტოს მომავალზე საჯაროდ ესაუბრა:

*"ანჩელოტი ჩვენი ოჯახის ნაწილია, ამ ოჯახს კი "მილანი" ჰქვია. დიდი იმედი მაქვს, რომ კარლო ჩვენთან კიდევ დიდხანს დარჩება. ისეთ დიდ გუნდს, როგორიც "მილანია", უფრო მეტი ჩემპიონი უნდა ჰყავდეს. ისინი არც ახლა გვაკლია, მიუხედავად იმისა, რომ ბერდებიან. პაოლო მალდინი, ალბათ, ფეხბურთს თავს დაანებებს. მიმაჩნია, რომ გუნდის რეკონსტრუქციის ბაზისად ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეები უნდა იქცნენ".*

ახალგაზრდებზე რა გითხრათ და, "გაძეტა დელლო სპორტმა" გუშინ კიდევ ერთხელ დაწერა, რომ "მილანს" **რონალდინიოსთვის** 4-წლიანი კონტრაქტი და ზღაპრული ხელფასი აქვს გამზადებული. ამ შეთავაზებას დღეს ან ხვალ რონალდინიოს ძმა და აგენტი **რობერტო ასისი** გაეცნობა...

## ვიეირას გოლი? ნაღდი ჯარიმა იყო!

"რომა" და "ინტერი" შანსს არ უშვებენ ხელიდან, ერთმანეთს რომ არ უკბინონ. ცხადია, ჩემპიონობის მაძიებელთა მიერ აპელირება მსაჯების მხრიდან კეთილგანწყობაზე კეთდება. "ჯალოროსის" უფროსობა (და არა მარტო მისი) მიიჩნევს, რომ სამსაჯო იალლიშების გამო, "ინტერმა" ბევრი დაუმსახურებელი ქულა აიღო. თავის მხრივ, **რობერტო მანჩინიმაც** რამდენჯერმე დაიჩივლა, არბიტრებმა "დაგვწვესო". ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე კი კონკრეტული მატჩის ეპიზოდიც გაიხსენა, როცა თემიდის მსახურმა, მისი აზრით, "ჯალოროსის" აშკარად ხელი გაუმართა.

ეტყობა, ახლა "რომას" ჯერია. გუშინ, კლუბის სპორტულმა დირექტორმა, მსოფლიოს 1982 წლის ჩემპიონმა **ბრუნო კონტიმ** პირდაპირ მიუთითა, რომ ბერგამოში **პატრიკ ვიეირას** მიერ გატანილი (პირველი) გოლი არ უნდა ჩათვლილიყო, აქაოდა, დარტყმის მომენტში "ინტერის" ნახევარმცველმა ბერგამოელი **მასიმილიანო პელეგრინოს** წინააღმდეგ უხეშად ითამაშაო. სხვათა შორის, ამ ეპიზოდის გამო ერთი ამბავი ატეხა "ატალანტის" მწვრთნელმა **ლუიჯი დელ ნერიმაც.**

*"ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის, ნათელია, რომ ვიეირამ წესი დაარღვია, შესაბამისად, არბიტრი ვალდებული იყო, თამაში შეეჩერებინა და გოლი გაეუქმებინა. მაგრამ ახლა არ გვინდა კამათში შესვლა, რადგან ამის დრო არ არის. "ინტერს" შეუძლია, მთელი კვირა მშვიდად იმუშაოს, განსხვავებით ჩვენგან. უბრალოდ, ჯარიმა აშკარა იყო და ეს უნდა გვეთქვა".*

## სპინელი აფეთქდა: გოლი მოგვპარეს!

"სამპდორიასთან" წაგების (0:2) შემდეგ, "ლივორნოს" პრეზიდენტი **ალდო სპინელი** ცეცხლებს ყრიდა. გასაგებიცაა, რადგან გავარდნის პირას მყოფი ტოსკანელებისთვის უკვე თითოეული მარცხი სიკვდილის ტოლფასია. ახლა კი იმის შესახებ, თუ რა მოხდა "მარასიზე". პირველ ტაიმში არბიტრმა "ლივორნოს" ფორვარდ **ფრანჩესკო ტავანოს** გოლი არ ჩაუთვალა. ბოლომდე გაუგებარი დარჩა მიზეზი: ტავანომ ან **დანიელე გასტალდელოს** წინააღმდეგ ითამაშა უხეშად, ან ბურთს ხელით შეეხო. აი, რას ამბობს სპინელი "რადიო ანკიო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში:

*"შემიძლია, დაგიდასტუროთ, რომ ნაღდი გოლი არ ჩაგვითვალეს, ამაში 100 პროცენტით ვარ დარწმუნებული. არბიტრი დაახლოებით 70 მეტრში იყო იმ ადგილიდან და მან დაუჯერა "სამპდორიის" მეკარე კასტელაცის, რომელმაც ხელით თამაშზე მიანიშნა. და ეს მაშინ, როცა ლაინსმენი გაცილებით უკეთ ხედავდა ყველაფერს და მას ჯარიმა არ დაუფიქსირებია. ამ სეზონში რამდენჯერმე მკაცრად დავისაჯეთ. ეს კონკრეტული შემთხვევაც არ იყო წმინდა ადამიანური შეცდომა. ვიღაცამ გადაწყვიტა, რომ რაკი პატარა კლუბი ვართ, შეუძლია, გადაგვიაროს. არ მაღელვებს არც სანქცია და არც დისკვალიფიკაცია, ყველამ ხმა უნდა ამოიღოს, როცა უსამართლობასთან აქვს საქმე. ამიტომ, გადავწყვიტე, გადავდგე პროფესიული ლიგის მრჩევლის პოსტიდან. იქნებ, ამის შემდეგ უფრო მეტად მცენ პატივი, მეც და "ლივორნოსაც". ადრე, ყველაფერი ლუჩანო მოჯის ბრალდებოდა. ახლა მოჯი აღარ არის ფეხბურთში. მაშინ მითხრან, ვისი ბრალია ამდენი უნამუსობა"?*

## ნოველინოს წყალი შეუდგა

"ტორინო" კვირას შინ "ემპოლისთან" დამარცხდა (0:1). "ბრინეულებმა" საკუთარ კედლებში ზედიზედ მესამე მატჩი წააგეს ისე, რომ ერთი გოლიც არ გაუტანიათ. ტურინულ კლუბს გასავარდნ ზონასთან სულ რაღაც 5 ქულა აშორებს. როგორც ამბობენ, "ტოროს" პრეზიდენტი **ურბანო კაირო** მწვრთნელ **ვალტერ ნოველინოს** აღარ ენდობა. ეტყობა, "ემპოლისთან" წაგებამ ბოსს მოთმინება დააკარგვინა. ესეც არ იყოს, პრეზიდენტს მოთამაშეთა სურვილის გათვალისწინებაც მართებს. იტალიური პრესის მტკიცებით, "ტორინოს" ზოგიერთი ფეხბურთელი უკმაყოფილოა ნოველინოს მუშაობის მეთოდებით და მწვრთნელის გათავისუფლებას ითხოვს. მაგალითად მოჰყავთ **ალვარო რეკობა** და **ალესანდრო როზინა,** რომლებმაც ნოველინოს ხელში ფორმა ვერა და ვერ აღიდგინეს და სეზონის ბოლოს კლუბის დატოვებით იმუქრებიან. კაირო არჩევანის წინაშეა: ან ფეხბურთელები, ან მწვრთნელი. როგორც წესი, ასეთ დროს ჯოხი უმადური პროფესიის წარმომადგენლებზე ტყდება.

"ტუტოსპორტის" ინფორმაციით, კაირო "ჯენოასთან" მომავალ მატჩს დაელოდება და თუ "ტორინო" კვლავ უქულოდ დარჩა, ნოველინოს კარისკენ მიუთითებს. მის სავარაუდო შემცვლელებად **ალბერტო ძაკერონისა** და კალჩოს პატრიარქ **კარლო მაცონეს** ასახელებენ. არადა, სეზონის ფინიშამდე სულ რაღაც 6 ტურია დარჩენილი და საინტერესოა, რა უნდა მოასწროს ახალმა მწვრთნელმა ესოდენ მოკლე პერიოდში...

**გიორგი ბელაშვილი**



ვიეირას გოლი, რომელსაც მითქმა-მოთქმა მოჰყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოძახილი

# ჭადრაკის ფედერაცია პარტიას აგებს

გუშინ, დილაადრიან ჩემს მობილურზე ზარი გაისმა, ჩემი "მომკითხავი" საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ქალბატონი **თამარ ხმიადაშვილი** იყო. აღელვებული გახლდათ. როგორც აღმოჩნდა, ქალბატონი თამარი ერთადერთია ვიცე-პრეზიდენტებიდან, რომელსაც გადადგომის თაობაზე განცხადება არ დაუწერია. (იხ. "ლელო" №81)

ზოგადად, უზუსტობა აშკარაა - ყველას პოსტი არ დაუტოვებია და აქედან გამომდინარე, საყვედური მართებულიც ჩანს, მაგრამ "დანაშაულის" შემამსუბუქებელი პირობები ნამდვილად არსებობდა და თანაც საკმაოდ დამაჯერებელიც. საქმე ის გახლავთ, რომ გამგეობის საგანგებო სხდომა, რომელზეც ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს, შაბათ დღეს, 5 აპრილს შედგა. თქვენი მონამორჩილი გამგეობას ვერ დაესწრო - დედაქალაქში არ გახლდით, მაგრამ რომც ვყოფილიყავი, ეჭვი მაქვს, სხდომაზე დასწრების უფლება მოეცათ, - როგორც წესი, ქართული საჭადრაკო თემი კეთროვანივით უფრთხის "უცხო" კაცის გამოჩენას თავის ტერიტორიაზე და ცდილობს, ყველა სადავო საკითხი და პრობლემა გარეშე თვალისგან მალულად მოაგვაროს. როგორ ახერხებენ ამას, ჭადრაკის გულშემატკივარი თვალნათლივ ხედავს - დღენიადაგ პრეზიდენტების და მათი გუნდების ცვლილებაა და საქმის კეთების ნაცვლად უკან და უკან მივექანებით... ამჯერად განსაკუთრებულ მდგომარეობასთან გვქონდა საქმე და ვიმედოვნებდი, რომ შესაბამის ინფორმაციას მეორე დღისთვის მაინც მივიღებდი. კვირა დღე უქმე კი არის, მაგრამ ჭადრაკის სასახლეში 10-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატი მიმდინარეობს და ფედერაციის ხელმძღვანელთა ხილვას ვიმედოვნებდი. სამწუხაროდ, ასეთი ვერავინ ვიხილე, ხოლო გამგეობის მიმდინარეობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია ვერაფრით მოვიძიე, - ვისაც ვკითხე, ყველამ თავი შორს დაიჭირა - მაპატიე, მაგრამ ვერანაირ ინფორმაციას ვერ მოგაწვდი, ერთი სიტყვაც რომ შემეშალოს, საშინელი სკანდალი ატყდება და უსიამოვნებაში გავეხვევიო... შიშის სინდრომი, მაამებლობა და თავის დაცვის ინსტინქტი ჭადრაკის ფედერაციის თანამშრომლებში დიდი დოზით ძევს, ამის გამო იყო, რომ გამგეობის ოქმიც კი ვერ თუ არ მაჩვენეს. ერთადერთი, რისი გაგებაც მოვახერხე, ის იყო, რომ ითქვა: ყველამ (მმართველთა ორგანო იგულისხმება) დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ, მათ შორის გენერალურმა მდივანმა **მიხეილ კეკელიძემაც**. ეს ინფორმაცია რამდენიმე წყარომაც დაადასტურა და, აქედან გამომდინარე, აღარ ჩამითვლია საჭიროდ, უფრო წვრილად ჩავძიებოდი საკითხს - მიღებული ფორმაა, როცა მმართველი ორგანო გადადგება, თანამდებობას ყველა წევრი ტოვებს და როცა საკითხს ნათელი მოეფინება, ახალი ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მავანის დამსახურებას, თუკი ის უბრალოა, პოსტზე აბრუნებს. ქალბატონი თამარისთვის ეს არგუმენტი მიუღებელი აღმოჩნდა.

რა საბაბით არ გადადგა ქალბატონი თამარ ხმიადაშვილი და რატომ გადადგნენ დანარჩენები. თქმა არ უნდა, მკითხველსაც ეს კითხვა დაებადებოდა და ჩვენც შევეცადეთ პასუხი მიგველო - თამარ ხმიადაშვილზე კარგად კი ამ საკითხს ნათელს ვერავინ მოჰფენდა.

**- ქალბატონო თამარ, ქართული ჭადრაკის ხელმძღვანელობაში ამ გუნდთან ერთად ერთი წლის წინათ თქვენც მოხვედით, - მათი მხარდამჭერი იყავით, ახლა კი უპირველესი მოწინაღმდეგე ხართ. რა შეიცვალა ამ მოკლე დროში?**

- ერთიანი გუნდით კი მოვედით, მაგრამ უკვე რამდენიმე თვის შემდეგ დავინახე საქმისადმი არაჯანსაღი დამოკიდებულება, რაზეც მყისვე გაკეთდა რეაქცია. საჯარო გახმოვანებისგან თავის ვიკავებდი - ერთი ოჯახი ვართ და ვფიქრობდი, რომ პრობლემას უხმაუროდ მოვაგვარებდით. სამწუხაროდ, ანგარიში არ გამიწიეს და დანაშაულებრივი საქმიანობა გააგრძელეს. ეტყობა, იფიქრეს, ხახვითით შეგვრჩება ყველაფერიო.

**- მაინც რაში ადანაშაულებთ ხელმძღვანელობას?**

- უამრავი დარღვევა აქვთ: ფსევდო ტურნირების ორგანიზება; საზღვარგარეთ უცხო პირთა გაგზავნა, თითქოს მოჭადრაკეები იყვნენ; ფიდეში გადასარიცხი თანხების მითვისება; შიდა ტურნირებიდან და ქირით შემოსული თანხების არამიზნობრივი ხარჯვა და სხვა. ყველაფერ ამაზე შესაბამისი დოკუმენტაცია მაქვს და მათი გადადგომის მიზეზიც სწორედ ეს გახლდათ - რომ არა უტყუარი მტკიცებულებები, ისინი ფეხსაც არ მოიცვლიდნენ აქედან.

**- როგორც ვიცი, შიდა საგამოძიებო კომისია შეიქმნა, სადაც თქვენც ირიცხებით. რა საკითხებზე უნდა იმუშაოთ?**

- რაც ზემოთ გითხარით, ამაზე საბოლოო დასკვნებს დავდებთ და კიდევ მრავალ საკითხს ჩავუღრმავდებით, - არაა გამორიცხული, რომ ისეთი დარღვევებიც აღმოვაჩინოთ, რომელზეც ინფორმაცია არ გაგვაჩნია. კომისია დასკვნებს უახლოესი შაბათისთვის დაწერს, - ერთ-ერთი წევრი, ზურაბ აზმაიფარაშვილი კერძო ვიზიტით სომხეთში, ერევანში იმყოფება, იგი ხვალ დაბრუნება საქართველოში და ამის შემდეგ შევუდგებით საფუძვლიან კვლევა-ძიებას.

**- ფედერაცია ხელმძღვანელის გარეშეა დარჩენილი. ამ საკითხსაც განიხილავთ შაბათის სხდომაზე?**

- რა თქმა უნდა. გამგეობის მთავარი საზრუნავი შაბათის სხდომაზე ის იქნება, თუ ვინ უხელმძღვანელებს ფედერაციას. წესდებით ყრილობა ამა წლის დეკემბერშია, მაგრამ შესაძლოა, რიგგარეშე ყრილობის ჩატარების საკითხიც დადგეს; ყოველ შემთხვევაში, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნა აუცილებელია და კომისია ამაზეც იფიქრებს.

**- შაბათს ითქვა, რომ ბატონი რომან სიჭინავა, რომელიც ამჟამად მოსკოვშია, ორშაბათისთვის წერილობით ან სიტყვიერ დასტურს გამოაგზავნიდა ფედერაციაში, გადადგომასთან დაკავშირებით. მიიღეთ თუ არა ასეთი შეტყობინება?**

- ამ წუთამდე მსგავსი არაფერი მომხდარა. დიდი ეჭვი მაქვს, რომ მსგავსი შინაარსის წერილი, საერთოდ, მივიღოთ. ბატონი რომანი რომ ცრუობს და მოსკოვში სამკურნალოდ არ არის წასული, იმითაც მტკიცდება, რომ ბატონმა გიგა ყაჭეიშვილმა, ვისაც თანამდებობა დანაშაულებრივად, კანონის დარღვევით გადასცა სიჭინავამ, გამგეობის სხდომის დაწყების წინ განაცხადა: მეგობრებო, ბატონი რომანი თბილისში არასდროს ჩამოვაო (?!). ჩვენ ვამტკიცებდით, რომ სიჭინავა პასუხისმგებლობას გაექცა და მისი მოქმედებაც ამის დასტურია.

**გვიან საღამოს** შევძელით და რომან სიჭინავას მოსკოვში დავუკავშირდით. კავშირის გაუმართაობის გამო საუბარი შეფერხებებით და ხანმოკლე გამოდგა, მაგრამ მთავარ კითხვაზე პასუხის მიღება მაინც მოვახერხეთ. ბატონმა რომანმა დაადასტურა, რომ ტოვებს ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობას. წერილობით ამ ინფორმაციას მალე, სავარაუდოდ დღესვე გამოგზავნის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში. მისი აზრით, მაშინ, როცა ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი უპირველესი მეტოქე და მოწინააღმდეგეა, არ ღირს კონფრონტაციაში შესვლა და გაცლა სჯობს. დააზუსტა, ბატონ რომანს თამარ ხმიადაშვილი ჰყავდა მხედველობაში.

ამბავს გაგრძელება რომ ექნება, ფაქტია. მკითხველს საქმის კურსში აუცილებლად ვამყოფებთ. გადამწყვეტი კი მომავალი შაბათია, - გამგეობა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას აპირებს.

**ზვიად შათირიშვილი**

კალათბურთი. ლეგიონი

# უილიამსი vs ელისი

გასულ ორშაბათს ლეგიონერთა მონაგარის განხილვა **ნიკა ცქიტიშვილის** ამბებით დავიწყეთ. გითხარით, რომ მწვრთნელმა ლეგიონერებზე დაწესებული ლიმიტის გამო სწორედ ქართველი გაწირა და განაცხადში არ შეიყვანა. ჰოდა, ამ შაბათსაც იგივე განმეორდა, ცქიტო "სკავოლინისთან" მატჩის განაცხადში ვერ მოხვდა. გაზეთი "ტუტოსპორტი" ამ ფაქტს ორიოდე სიტყვით ეხმაურება: *"ცქიტიშვილს მწვრთნელისადმი პრეტენზიები ვერ ექნება, რადგან ზედიზედ ორი შეხვედრაა, "ტერამო" მის გარეშე იგებს."* ტერამოელებმა ამჯერად შინ "სკავოლინის" 95:93 აჯობეს და სატურნირო ცხრილში მე-12 ადგილზე აინაცვლეს. მათსა და მეშვიდეადგილოსან "კანტუს" შორის განსხვავება მხოლოდ ერთი მოგებაა. პლეიოფში საუკეთესო რვეული გადის.



ათუაშვილმა მორიგი დუბლი მიითვალა

### ესტონეთი

ევროთასის ფინალური ოთხეულის წინ **გიორგი ცინცაძის** "ტარტუ როკმა" ესტონეთის ჩემპიონატში წაივარჯიშა - "პირატა" 82:72 დაამარცხა.

როგორც ჩანს, გიორგიმ ზურგის ტრავმა მოიშუშა და მატჩის სნაიპერობა არავის დაუთმო. მან 37 წუთში 5-დან 4 ორქულიანი, 2-დან 2 სამიანი და 10-დან 8 საჯარიმო ჩააგდო და 22 ქულა მიითვალა. გარდა ამისა "ბუს" ანგარიშზე 4 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემაა.

იყოჩაღა ესტონეთში მოთამაშე მეორე ქართველმა **სერგო ათუაშვილმაც**. მან ცინცაძის დარად 37 წუთი ითამაშა და მორიგი ორმაგი დუბლი შეასრულა - 17 ქულა, 13 მოხსნა. სერგოს სნაიპერობამ ტტუ-ს "ფაუსტოსთან" გასვლით შეხვედრაში ვერაფერი არგო, მასპინძლებმა 73:67 იმარჯვეს. ამ ნაგებით ტტუ ბოლო, მე-10 ადგილს დაუბრუნდა. მის ანგარიშზე 6 მოგება და 27 წაგებაა. ცინცაძის "ტარტუს" 30 მოგება, 3 მარცხი აქვს და მეორე ადგილზეა. "როკზე" ერთი მოგებით მეტი აქვს "კალევს". ამ გუნდების მატჩი 13 აპრილს გაიმართება. გამარჯვებული რეგულარულ ჩემპიონატს პირველ ადგილზე დაასრულებს. მანამდე, 11 აპრილს "როკი" ათუაშვილის ტტუ-ს ესტუმრება.

### უკრაინა

უკრაინაში გასულ უქმეებზე "ოლსტარი" გაიმართა. **მანუჩარ მარკოიშვილი** სამქულიანების კონკურსში უნდა გამოსულიყო, მაგრამ კოჭის ტრავმის გამო ეს ვერ შეძლო. მან ერთკვირიანი შესვენების შემდეგ მსუბუქი ვარჯიში დაიწყო. ამჟამად "კიევი" მწვრთნელ **ტომო მაჰორიჩის** მშობლიურ სლოვენიაში გადის შეკრებას. უკრაინაში დაბრუნების შემდეგ პლეიოფში ჩაერთვება. "კიევი"-"დნეპრის" პირველი მატჩი 17 აპრილს გაიმართება.

### საბერძნეთი

**ვლადიმერ ბოისას** "არისმა" როდოსის კუნძულელებს უმასპინძლა და შინ ხელმოცარული გაუშვა - 75:64. "კოლოსისთან" შეხვედრის ბომბარდირი ამერიკელი **ვაშინგტონი** გახდა (15 ქულა), ვოვა კი 5 ქულას დასჯერდა. "არისს" 15 მოგების წილ 8 წაგება აქვს და საბერძნეთის ჩემპიონატი სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილზეა.

### ესპანეთი

საინტერესო დუელი გაიმართა ესპანეთში, სადაც ერთმანეთს საქართველოს ნაკრების ყოფილი და ამჟამინდელი გამთამაშებლები დაუპირისპირდნენ. გუნდური ბრძოლა **შემონდ უილიამსის** "ვალენსიამ" მოიგო, მან **ტაირონ ელისის** "კახასოლს" სევილიაში 97:80 სძლია.

ვერც ელისმა მოიგო პირადი დუელი. მან 35 წუთში 17 ქულა და 4 მოხსნა მოაგროვა, ხოლო უილიამსმა 29 წუთში - 20 ქულა, 5 მოხსნა და 5 პასი.

"კახასოლს" 29 მატჩში 10 მოგება, 19 წაგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-16 ადგილზეა. შემონდის "ვალენსია" მეხუთეა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ხელბურთი. 16-წლამდელთა ნაკრები

# ჭაბუკები ნორვეგიაში

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები დღეს ნორვეგიაში გაემგზავრება, სადაც საქართველოსა ნორვეგიის ხელბურთის ფედერაციებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში, ერთკვირიან შეკრებას გაივლის. **ვახტანგ ბერიაშვილის** შეგირდები მასპინძელ თანატოლებთან ერთობლივ ვარჯიშებსა და ერთ ამხანაგურ მატჩს გამართავენ.

ბერიაშვილმა და მისმა ასისტენტებმა - **გიორგი ბარათაშვილმა** და **გია მამაცაშვილმა** სანორვეგიოდ 16-წლამდელთა საქართველოს პირველობაზე მოთამაშე თითქმის ყველა გუნდიდან აარჩიეს მოთამაშეები.

16-წლამდელებს 2009 წელს საკმაოდ მნიშვნელოვანი შეჯიბრებები აქვთ - შავი ზღვის აუზის ქვეყნების პირველობა და ევროპის ოლიმპიური ფესტივალი. ამას გარდა, გაისადვე პირველად ჩატარდება 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციას ამბიციური გეგმა აქვს - ამ გუნდით გაისად წარმატებების მიღწევას აპირებს. ამიტომაც აქედანვე იჭერს თადარიგს, რომ მომავალ სეზონს გუნდი მაქსიმალურად მობილიზებული შეხვდეს. ახლახან, რამდენიმე 18-წლამდელით გაჯერებულმა 16-წლამდელების გუნდმა სომეხ თანატოლებს უმასპინძლა და ორივე მატჩი მოუგო. სომხებთან საპასუხო სპარინგი მაისში შედგება, იქამდე კი, როგორც ზემოთ ვთქვით, ნორვეგიელებთან რანდევუ გვაქვს.

მაისის პირველ ნახევარში ხორვატიაში 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპია. აღნიშნულ შეჯიბრებაზე საქართველოს ნაკრების ძირითადი ბირთვი სწორედ 16-წლამდელებით იქნება წარმოდგენილი, რომლებიც ხორვატიაში დიდ გამოცდილებას მიიღებენ. მაისის ბოლოს, ქუთაისში დაგეგმილია ამავე ასაკში საქართველოს თასის ჩატარება, ივნისში იქნება კიდევ 1 შეკრება, ხოლო ივლისში ვახტანგ ბერიაშვილის გუნდი საკმაოდ სოლიდურ შვედურ ტურნირზე - "კარპილეს თასზე" წარდგება.

ვახტანგ ბერიაშვილმა ნორვეგიაში ასეთი შემადგენლობა წაიყვანა:

**ირაკლი თევზაძე, გიგა კიკნაძე** (სამტრედია), **გურამ დარსაველიძე** (ქუთაისი), **ირაკლი გეგეჭკორი, ირაკლი გოგიშვილი** (ფოთი), **შალვა მუქთიაშვილი, რამაზ ჯანგიძე, დავით მძელური** (რუსთავი), **ელგუჯა ხაბაზიშვილი, ნიკა ოქროპირიძე** (გორი), **ბექა ყაზაიშვილი** (თბილისი), **რობა ბეჟანიშვილი** (ყვარელი)

**კობა ხატისაშვილი**

ჭადრაკი

# ოთხნი დუბაიში

გაერთიანებული საემიროების ქალაქ დუბაიში ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი დაიწყო. წლეულს იქ ოთხი ქართველი თამაშობს - **თამაზ გელაშვილი, დავით არუთინიანი, მერაბ გაგუნაშვილი** და შარშანდელი ტურნირის გამარჯვებული **ლევან ფანცულაია**.

2600 და მეტი რეიტინგის მქონე წლევანდელ ტურნირზე მხოლოდ ხუთია, აქედან ორი ქართველი - გელაშვილი და ფანცულაია. სულ 23 დიდოსტატი ასპარეზობს; ქალ დიდოსტატთა რაოდენობა ექვსს უდრის, 19 საერთაშორისო ოსტატია, ამ წოდების მქონე ქალთა რაოდენობა კი სამი. საპრიზო ფონდიართუისე დიდია - 45 000 დოლარი, პირველადგილოსანი 6000 დოლარს მიიღებს. შეჯიბრი შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდება. გამარჯვებულის ვინაობას 15 აპრილისთვის შევიტყობთ.

**ზვიად შათირიშვილი**

თავისუფალი ჭიდაობა. ინტერვიუ დავით მოძმანაშვილთან

# ასე გააგრძელე, დავით!



ტყუილის დღედ აღიარებულ 1 აპრილს 21 წლის დავით მოძმანაშვილს (120) ყველაზე სასურველი რეალობა აუსრულდა - ფინურ ტამპერეში თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ჩემპიონი გახდა. წარმატებებს იგი კვლავაც მოიპოვებს, მაგრამ ეს გამარჯვება მაინც გამორჩეულად დაამახსოვრდება, როგორც პირველი სერიოზული წარმატება. არადა, ეს ყველაფერი მართლაც ზღაპარს ჰგავდა - მოძმანაშვილს ძალიან გაუჭირდა უფროსებში ფეხის მოკიდება და მისგან განსაკუთრებულს არც ფინეთში ელოდნენ. ეგ კი არა, თურმე მისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა და თავიდან ჩემპიონობაზე არც ფიქრობდა. იგი ჭიდაობაზე მამამ მიიყვანა ლერი ძაგანიასთან "ლოკომოტივის" დარბაზში, მწვრთნელმა კი მერე თავად გადაიყვანა ვაკეში, ფალავანთა კლუბში და დავით ხურციას ჩააბარა. მოძმანაშვილი ამ წარმატებას სწორედ ხურციას უმადლის და ამბობს, ის მთელი ეს წლები მშობელივით უვლიდა და მის გარეშე იქნებ ამდენისთვისაც ვერ მიეღწია. ახალგაზრდა ჩემპიონსაც სწორედ დარბაზში, მორიგ ვარჯიშზე შევხვდით სასაუბროდ.

**- დავით, უპირველესად, ჩემპიონობას გილოცავთ. საინტერესოა, რა გეგმებით გაემგზავრეთ ფინეთში, გეგმავდით ჩემპიონობას?**

- არა, ჩემპიონობას ნამდვილად არ ვგეგმავდით - მსგავსი არაფერი ყოფილა. სამეულსა და მედალზე კი ვფიქრობდით, მაგრამ მთლად უმაღლეს შედეგზე - არა. აქამდე მსოფლიო ჩემპიონატი კი მქონდა ნაჭიდავები, მაგრამ ევროპაზე პირველად ვიყავი და ამხელა წარმატებაზე ამიტომაც ვერ ვოცნებობდი. ჩემპიონობა მართლაც მოულოდნელი იყო, თუმცა საამისოდ ყველაფერი გავილე, რაც შემეძლო. ლიდერებიდან ყველა ჭიდაობდა და იოლი ტურნირი არ ყოფილა. შესაბამისად, არც გამარჯვება იყო იოლი, მაგრამ ღმერთმა გადმოგვხედა და მოვიგე. წილისყრაშიც გაგვიმართლა და პირველი სერიოზული იმედიც მაშინ გაგვიჩნდა. მერე, როცა ნახევარფინალიც მოვიგე, უკვე ვირწმუნე, რომ ჩემპიონობა შემეძლო.

**- რატომ? ფინალში ხომ ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის რამდენიმეგზის ჩემპიონი დავით მუსულბესი გელოდათ, რომელიც ამჯერად სლოვაკეთის სახელით გამოდიოდა. რამდენიმეწლიანი პაუზის მიუხედავად, იგი განა ასე იოლად დასამარცხებელია?**

- იოლად დასამარცხებელი იქნებამეთქი, არც მიფიქრია. ის მართლაც ძალიან ძლიერი სპორტსმენია იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე წელიწადი არ ჭიდაობდა, მაგრამ იმდენად კარგად განვეწყვე ფინალისთვის, წაგება ვერც წარმომედგინა. მჯეროდა, რომ მოვიგებდი. უკან დახევასა და რამეს დათმობაზე არ ვფიქრობდი და მართლაც არაფერი დამითმია. მუსულბესი ძლიერი მოჭიდავეა, სერიოზული მეტოქე, მაგრამ, ვფიქრობ, დამაჯერებლად მოვუგე.

**- ფიზიკური მომზადებით ადრეც გამოირჩეოდით და მუსულბესსაც ძირითადად მაგით აჯობეთ. შეიძლება ითქვას, ეს თაობათა ბრძოლა იყო - იგი 14 წლით უფროსია თქვენზე.**

- მოგების ერთ-ერთი ფაქტორი ასაკიც იყო - მე ბევრად ახალგაზრდა ვარ მასზე. თანაც, მას მთელი ოთხი წელიწადი არ უვარჯიშია - ჭიდაობას თავი დაანება და მწვრთნელად მუშაობდა. ცხადია, რომ მეტი ენერგია მქონდა და ამით ვაჯობე.

**- მუსულბესი წარმოშობით ქართველია და ჩვენებთან მუდამ ახლო ურთიერთობით გამოირჩეოდა, ახალგაზრდა ქართველებს ტურნირებზე არასოდეს აკლებდა რჩევა-დარიგებებს. ახლა რა ხდებოდა თქვენს ურთიერთობაში - მოგილოცათ გამარჯვება?**

- მუსულბესი ქართველია და მართლაც ძალიან კარგი ადამიანი. თბილი პიროვნება და უყვარს ქართველები. ჩემთანაც ახლოს იყო - ფინალამდე, როცა ვხურდებოდი საჭიდაოდ გასვლამდე, მოვიდოდა, მეგობრულად დამიტყაპუნებდა ხელს და მამხნევებდა. ფინალის მერე მოვიდა, სათითაოდ ჩამოგვიარა ყველას, ხელი ჩამოგვართვა და მოგვილოცა. მეც გადამკოცნა, მომილოცა და ასე გააგრძელეო, მითხრა. მუსულბესი მართლა კარგი ადამიანია.

**- სავარაუდოდ, მას ოლიმპიადაზეც შეხვდებით - არა მგონია, ლიცენზიის მოპოვება გაუჭირდეს.**

- ალბათ. ყოველ შემთხვევაში, სალიცენზიო ტურნირებში აუცილებლად გამოვა და საგზურის მოპოვებას შეეცდება. ოლიმპიადაზე მასთან შეხვედრა თუ მომიწევს, შევხვდები - არაა პრობლემა. იქ ყველა სერიოზული მეტოქეა და ყველას უნდა მოუგო.

**- მაგრამ ოლიმპიადა ევროპაზე ბევრად ძლიერი ტურნირი იქნება და იქ ასე იოლად ვერ მოიგებთ. პეკინში რამდენიმე უსერიოზულესი კონკურენტი დაგემატებათ.**

- ცხადია, რომ ის ბევრად ძლიერი ტურნირი იქნება, მაგრამ მეც ყველანაირად ვეცდები და ყველაფერს გავაკეთებ წარმატების მისაღწევად. აქ ხომ კარგად მომზადებული მივედი, ოლიმპიადისთვის ორმაგად მოვემზადები. საამისოდ ამ ოქრომ ძალიან დიდი სტიმული მომცა. ოლიმპიადაზე განწყობას, ფსიქოლოგიურ მომზადებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ეს ბევრ რამეს გადაწყვიტავს.

**- მაინც სად, რაში გჭირდებათ მომატება, თქვენ როგორ მიიჩნევთ?**

- უპირველესად, ტექნიკაში. ხალიჩაზე ვარჯიშს უნდა მოვუმატო. ამასთან, ფსიქოლოგიურადაც კარგად უნდა მოვემზადო. კიდევ ერთხელ ვიმეორებ - ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ჭიდაობაში მთავარი ფსიქოლოგიაა. შეიძლება, ფიზიკურად კარგად არ იყო მომზადებული, მაგრამ ფსიქოლოგიური მომზადება ყველაფერს წყვეტს. ამ დროს ხალიჩაზე უფრო ჟინიანად იბრძვი.

**- თქვენ 96-დან გადაგიყვანეს მძიმეში. წონის ნაკლებობა ხომ არ გაწუხებთ, მიაღწიეთ საჭირო დონეს? უკვე სტაბილური წონა გაქვთ?**

- სტაბილური არა - ჯერ კიდევ ცვალებადია, მაგრამ საჭირო მასას კი მივაღწიე. ახალ წონაში გადმოსვლით არაფერი დამკლებია - არც მოძრაობა, არც - სისწრაფე. პირიქით, ვცდილობ, ზემოთ არ გამექცეს წონა, რადგან დაკარგვით სწორედ ამ შემთხვევაში დავკარგავ.

**- ჩემპიონობის მოპოვებიდან ერთი კვირაც არ გასულა და დღეს უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობთ. თქვენ უკვე აღარ გჭირდებათ სალიცენზიო ტურნირებში გამოსვლა და საინტერესოა, როგორი გეგმით მოემზადებით ოლიმპიადისთვის?**

- ალბათ, ხასავიურტში ვიჭიდავებ, თუმცა ამას მაინც მწვრთნელები გადაწყვეტენ.

**ირაკლი თავაძე**

რაგბი. რუსეთი-საქართველო, 12 აპრილი

# ჩვენი 22 და რუსების 26

საქართველოს ნაკრების ერთი ნაწილი გუშინ გამთენიისას რუსეთის დედაქალაქში გაემგზავრა. აქ ისინი ჩვენი ნაკრების ფრანგულ ლეგიონს შეუერთდებიან და გეზს კრასნოიარსკისკენ აიღებენ. სამწუხაროდ, აქამდე გაცხადებულ დანაკლისს კიდევ ერთი დაემატა. საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩში ხელი იტკინა მეორეხაზელმა **ლევან დათუნაშვილმა**, რომელსაც, მწვრთნელების გადაწყვეტილებით, "დომონის" მოთამაშე **გიორგი ნემსაძე** შეცვლის. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ტრავმის გამო არ იქნება პირველხაზელი ანტონ ფეიქრიშვილი. მის ადგილს გუნდში 23-ე წევრად გამოცხადებული **სიმონ მაისურაძე** დაიკავებს.

**საქართველო**

პირველი ხაზი: **გოდერძი შველიძე** (კლერმონი), **ირაკლი ნატრიაშვილი** (ფარული), **დავით ქუბრიაშვილი** (მონპელიე), **დავით დადუნაშვილი** (მასი), **სიმონ მაისურაძე** (კლერმონი);

მეორე ხაზი: **მამუკა გორგოძე** (მონპელიე), **კახა უჩავა** (ფარული), **გიორგი ნემსაძე** (დომონი);

მესამე ხაზი: **რატი ურუშაძე** (ენისეი), **გიორგი ჩხაიძე** (მასი), **დიმიტრი ბასილაია** (კლერმონი), **შალვა სუთიაშვილი** (ბობინი);

9: **ირაკლი აბუსერიძე** (ორლეანი), **ბიძინა სამხარაძე** (ფარული);

10: **ლაშა მალაღურაძე** (ყოჩები), **მერაბ კვირიკაშვილი** (პო);

12-13: **რეზო გიგაური** (მონლუსონი), **დავით კაჭარავა** (ენისეი), **ალექსანდრე თოდუა** (ლელო);

11-14: **ირაკლი ჩხიკვაძე** (აია), **გიორგი შკინინი** (ხულიგანა);

15: **ოთარ ბარკალაია** (ანდორა).

რუსების მწვრთნელმა **კლოდ სორელმა** ნაკრებში 26 მორაგბე იხმო. მათ შორისაა სამი ლეგიონერი - **ვიაჩესლავ გრაჩოვი** (პო), **ანდრეი ოსტრიკოვი** და **კირილ კულემინი** (ორივე აჟენი).

**რუსეთი**

პირველი ხაზი: **ალექსანდრ ხროკინი** (ვვა), **ვლადიმირ მარჩენკო** (ვვა), **ვლადისლავ კორშუნოვი** (ვვა), **ივან პრიშეპენკო** (ენისეი), **ვლადიმირ ბოტვინიკოვი** (ენისეი), **ალექსეი ჩერნიშოვი** (სლავა);

მეორე ხაზი: **კირილ კულემინი** (აჟენი), **ანდრეი ოსტრიკოვი** (აჟენი), **ვალერი ფედჩენკო** (ენისეი), **ოლეგ აზარენკო** (კრასნი იარი);

მესამე ხაზი: **ევგენი მატვეევი** (ვვა), **ვიქტორ გრესევი** (ვვა), **ალექსეი პანასენკო** (ვვა), **ანდრეი გარბუზოვი** (კრასნი იარი), **ვიაჩესლავ გრაჩოვი** (პო);

9: **ალექსანდრ იანუშკინი** (სლავა), **ალექსანდრ შაკიროვი** (ვვა), **ვიქტორ მოტორინი** (ვვა);

10: **იური კუშნარიოვი** (ვვა), **ალექსეი კორობეინიკოვი** (ენისეი);

12-13: **სერგეი ტრიშინი** (ვვა), **იგორ გალინოვსკი** (კრასნი იარი);

11-14: **ანდრეი კუზინი** (ვვა), **ოლეგ კობზევი** (ვვა), **ალექსანდრ გვოზდოვსკი** (კრასნი იარი);

15: **იგორ კლუჩნიკოვი** (ვვა).

მშვილდოსნობა. დიდი პრიზი

# მესამე ადგილი სანტო დომინგოში

სანტო დომინგოში დამთავრდა მშვილდოსანთა სეზონის პირველი დიდი პრიზის ტურნირი, რომელშიც ჩვენგან მხოლოდ ქალთა ნაკრები გამოდიოდა - **ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე და ასმათ დიასამიძე**. ისინი პირად ტურნირში წარუმატებლად გამოვიდნენ, მაგრამ ამის კომპენსაცია გუნდურში გააკეთეს, სადაც ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

ქალთა ტურნირში 64 მონაწილე შეიკრიბა. საკვალიფიკაციოში ჩვენებურთაგან ყველაზე უკეთ ქრისტინე ესებუა გამოვიდა, რომელიც 632 ქულით მე-10-ზე გავიდა. დიასამიძე 618-ით 26-ე იყო, ხოლო ნარიმანიძე - 615-ით - 31-ე. პლეი ოფში დიასამიძე პირველი წრიდან გავარდა - პოლონელ ვიოლეტა მიზცოპთან 89:99 წააგო. ესებუამ მექსიკელ ჯანეტ გარსიას 106:91 აჯობა, ნარიმანიძემ კი რუს სანჯი ობოდოევათ 104:99 მოუგო.

მეორე წრიდან უკვე ესებუა გამოვარდა - ინდოელ ჩეკროვოლუ სვიროსთან 101:106 დამარცხდა. ნარიმანიძემ ძლიერ იტალიელ ელენა ტონეტას 105:101 კი აჯობა, მაგრამ ეულად დარჩენილმა მერვედფინალში გერმანელ ლისა უნრუსთან დაძაბულ ბრძოლაში დაყარა ფარ-ხმალი - 96:97.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენები 1865 ქულით მეხუთეზე გავიდნენ და პლეი ოფის პირველ წრეში კოლუმბიელებს შეხვდნენ. ორთაბრძოლა ფრედ დამთავრდა - 200:200 და ჩვენებს მომდევნო წრეში გასასვლელად დამატებით სერიაში გარჯა დასჭირდათ. იგი 26:24 მოიგეს და მეორეში კოლუმბიელებს პოლონელებიც ზედ მიაყოლეს - 206:201. აი, მომდევნო წრეში სერიოზული ბარიერი ელოდათ - საკვალიფიკაციოს გამარჯვებული იტალიის ნაკრები. სამწუხაროდ, ჩვენმა ქალებმა მათი დამარცხება ვერ შეძლეს და ორად ორი ქულით წააგეს - 208:210. ეს უკვე ნახევარფინალი გახლდათ და ჩვენებმა ბრინჯაოსთვის ისროლეს, სადაც ფრანგებს 192:186 აჯობეს და მესამეზე გავიდნენ.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

# შაფათავას კვირეული

გუშინ, ATP-იმ და WTA-მ ორკვირიანი შესვენების შემდეგ ახალი რეიტინგები გამოაქვეყნეს. ვაჟთა შორის ჩვენი პირველი ჩოგანი **ლადო ჩიხლაძე** 63 ქულით მსოფლიოს 453-ე ჩოგანია (+7). **ნოდარ ითონიშვილს**, რომელიც ნაკრების შემადგენლობაში „დევისის თასის" მატჩისთვის ემზადება 4 სარეიტინგო ქულა აქვს და მსოფლიოში 1233-ე პოზიციაზეა (+7). რეიტინგში კიდევ ორი ჩვენებურია: 1573 (+15) **გიორგი ჭანტურია** – 1 ქულა და 1768 (+17) **გიორგი ხრიკაძე** – 1.

ქალთა რეიტინგში, როგორც ვივარაუდეთ, **მაკა ჩახნაშვილმა** 15 საფეხურით წაიწია წინ და ახლა მსოფლიოს 186-ე ჩოგანია. მაკას 163 სარეიტინგო ქულა აქვს. ოდნავი წინსვლა **ანა ტატიშვილსაც** აქვს, რომელიც 82 ქულით მსოფლიოს 293-ე ჩოგანია (+3). კარიერის საუკეთესო მიღწევა აჩვენა 19 წლის **სოფიო შაფათავამ**. სოფიომ 32 საფეხურით წაიწია წინ და ის 59 ქულით მსოფლიოს 356-ე ჩოგანია.

სხვები: 513 (+1) **თინათინ ყავლაშვილი** – 31 ქულა, 593 (+28) **ოქსანა კალაშნიკოვა** – 22, 600 (+8) **მანანა შაფაქიძე** – 22, 608 (-17) **სალომე დევიძე** – 21, 716 (-7) **სოფიო ქვაცაბაია** – 15, 809 (+6) **ეკა გორგოძე** – 10, 915 (-30) **სოფიო მელიქიშვილი** – 7. ოქსანა კალაშნიკოვას ახალი რეიტინგი მისთვის კარიერაში საუკეთესოა, ისევე როგორც – მანანა შაფაქიძისთვის. წლის რბოლაში მაკა ჩახნაშვილი 198-ე პოზიციაზეა, ხოლო ანა ტატიშვილი – 220-ეზე.

წყვილთა თანრიგში მაკა ჩახნაშვილი 212-ე ჩოგანია, ოქსანა კალაშნიკოვა კი 365-ე (+17, კარიერის მიღწევა). მაგრამ ყველაზე დიდი ნახტომი სოფიო შაფათავამ გააკეთა, რომელიც ახლა 435-ე პოზიციაზეა. ორ კვირაში მან 241 ადგილით წაიწია წინ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მძლეოსნობა

# მარიამ ქევხიშვილმა ამერიკელთა №1 ოლიმპიელს აჯობა



მძლეოსნობაში ოლიმპიურ თამაშებში და მსოფლიო ჩემპიონატებში აშშ-ის მძლეოსანთა წარმატებები საყოველთაოდაა ცნობილი. როგორც იცით, 1960 წელს, რომის ოლიმპიურ თამაშებში, სამხტომში, ამერიკელთა მრავალწლიანი ჰეგემონია ქართველმა **რობერტ შავლაყაძემ** დაამხო. ეს კარგი ნიშანი იყო, ფსიქოლოგიური ბარიერი გადაილახა. კარგი იქნება თუ კიდევ ერთი ქართველი, ამჯერად ქალი, გასულ კვირას მოპოვებულ თავის უპირატესობას ბირთვის კვრაში ამერიკელთა №1 სპორტსმენთან, სხვა კონკურენტებთან პაექრობაშიც განამტკიცებს.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, მარიამ ქევხიშვილი აშშ-ში სწავლობს და სტუდენტურ კლუბში იმაღლებს ოსტატობას. ვიცით ისიც, რომ მარიამი თანდათან ზრდის შედეგს, შეასრულა პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო ნორმატივი. და აი, გასულ კვირას, ფლორიდის შტატის სტუდენტთა პირველობაზე, ჩვენი ეროვნული ნაკრები გუნდის წევრმა ბირთვი 17,60 მ-ზე გადააგდო, შტატის ჩემპიონობა მოიპოვა და, რაც ყველაზე მთავარია, ბირთვის კვრაში ქალთა შორის ამერიკელთა ოლიმპიური ნაკრების №1 ათლეტს აჯობა, რომელიც მეორე ადგილს დასჯერდა.

ეს ინფორმაცია გუშინ, ტელეფონით გვაცნობა საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, მ. ქევხიშვილის პირადმა მწვრთნელმა საქართველოში **ყარამან საბანაშვილმა.**

ცხენოსნობა

# ჟოკეი-კლუბი სიახლეს ამკვიდრებს



გიორგი სამხარაძე

თბილისის იპოდრომზე "ჟოკეი-კლუბმა" გახსნა საცხენოსნო სეზონი კლუბის თასის გათამაშებით დაბრკოლებათა გადალახვაში. ეს ახალი ასპარეზობა დიდ ინტერესს იწვევს იმითაც, რომ იგი კომერციულია - 1200 ლარი ნაწილდება დაკავებული ადგილების შესაბამისად. საერთო ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. **გიორგი სამხარაძე** - **450 ლარი**, 2. **გიორგი თოხაძე** - 350, 3. **ივანე ნორაკიძე** - 250, 4. **გიორგი დათუნაშვილი** - 100, 5. **გიორგი თოხაძე** - 50.

ციტატა

# უეფას პრეზიდენტს მიშელ პლატინის ჟურნალისტმა ჰკითხა:

**- თქვენი პრეზიდეტის მსგავსად, ოლიმპიური თამაშებისთვის ბოიკოტის გამოცხადების მომხრე თქვენც ხართ?**

- რომელი პრეზიდენტის? აჰ, სარკოზის გულისხმობთ? მას ბოიკოტი სულაც არ უგულისხმია. პოლიტიკურ პრობლემებზე მაშინ უნდა გვეფიქრა, როდესაც ჩინეთს ოლიმპიადის გამართვის უფლებას ვაძლევდით. ახლა უკვე გვიანია და სწორი არაა საზღაური მხოლოდ სპორტსმენებმა გაიღონ. კარგად მახსოვს, 1978 წელს, როდესაც არგენტინის მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა გავმგზავრებულიყავით, პოლიტიკოსები გვიკიჟინებდნენ, სახლში დარჩით, იქ დიქტატორული რეჟიმიაო. მაშინ მხოლოდ 22 წლის ვიყავი და რა უნდა მექნა? ახლა ვნახოთ, ჩინეთში მოვლენები როგორ განვითარდება. ერთი რამ ცხადია - გაჩუმება არაფრის დიდებით არ შეიძლება

*11X11, №74, 2008.*

რას წერდნენ ჩვენზე

სვანების შესახებ: "სვანები... სჭარბობენ, თითქმის პირველნი არიან (ადგილობრივ ხალხთა შორის) თავისი სიძლიერითა და შეძლებით. ყოველ შემთხვევაში, ისინი ბატონობდნენ მეზობელ ხალხებზე... მათ ჰყავდათ მეფე და სამასთა საბჭო, ხოლო ომიანობის დროს, როგორც ამბობენ, 200 000-მდე კაცი გამოჰყავდათ."

*სტრაბონი (ძვ.წ.ა. 61 წ-ახ. წ. ა. 24 წ)*

***

"ფარსმანს ჰყავდა ვაჟიშვილი რადამისტი, მშვენიერი ტანადი, არაჩვეულებრივი ძალის მქონე, ყოველგვარ საერთო ვარჯიშობაში დახელოვნებული და ყველა მეზობელ ერებში სახელგანთქმული."

*ტაციტუსი*

***

აგათია სქოლასტიკოსი (ბიზანტიელი პოეტი, ისტორიკოსი): "ძლიერსა და მამაც ტომს წარმოადგენდნენ ლაზები და სხვა ძლიერ ტომებსაც მრძანებლობდნენ; ამაყობდნენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობდნენ, შესაძლებელია არცთუ ისე უსაფუძვლოდ. იმ ტომებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს ექვემდებარებიან, მე არ მეგულება არც ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორჭმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწაწყლისა სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზისა და სიცქვიტით."

*აგათია სქოლასტიკოსი*
*(ბიზანტიელი პოეტი და ისტორიკოსი)*

120 წლის წინათ "ივერია" წერდა

"მომავალ კვირას "იტალიის" ბაღში გაიმართება ჭიდაობა საქველმოქმედო აზრით. იჭიდავებენ პროვინციის ცნობილი მოჭიდავენი. ეჭვი არ არის, რომ ტფილისის საზოგადოება, რომელიც ასეთის გულმოდგინებით ესწრება ჭიდაობას, გინდაც რომ შემოსავალი მოჭიდავეთა სასარგებლოდ მიდიოდეს, უყურადღებოდ არ დასტოვებს მომავალს ჭიდაობას, რომლის შემოსავალმაც უნდა ხელი მოუმართოს ერთს ახალგაზრდა მოსწავლე ქართველს. ეს ქართველი დღეს ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ამთავრებს სწავლას და სწორედ ეხლა დასდგომია გაჭირვება სილარიბისა. მით უმეტეს მოსალოდნელია, რომ თავის წვლილს არავინ დაჰზოგავს ამ კეთილის საქმისთვის."

*"ივერია", 1888 წ. №253*

იყო ასეთი შემთხვევა

# რას მიქვია რეკორდები

გასული საუკუნის 20-იან წლებში, როცა სსრ კავშირში და მათ შორის საქართველოში სპორტული მოძრაობა მტკიცდებოდა, ვილაც იდეოლოგმა, ზემოთ, აღმოაჩინა, რომ საბჭოთა სპორტი ვითარდებოდა გადახრით, ანუ მიდრეკილი იყო რეკორდებისკენ. და, აი პარტიის საკავშირო ცეკა 1929 წლის 23 სექტემბერს იღებს საგანგებო დადგენილებას, რამაც აღკვეთა ე.წ. "რეკორდსმენული გადახრა" სპორტულ მოძრაობაში. იმავე დადგენილების საფუძველზე მალე, კერძოდ, 1930 წლის დასაწყისშივე, შეიქმნა ფიზკულტურული მოძრაობის ახალი ხელმძღვანელი ორგანო "ფიზიკური კულტურის საკავშირო საბჭო", რესპუბლიკებში კი შესაბამისი დაქვემდებარებული ორგანო.

სამშაბათიდან-სამშაბათამდე

**1 აპრილი** - დაიბეჭდა გაზეთ "ლელოს" პირველი ფერადი ნომერი.

**2 აპრილი** - თანამდებობიდან გადადგა ფეხბურთში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **კლაუს ტოპმიოლერი.**

**2 აპრილი** - ფეხბურთში საქართველოს ნაკრების ახალი მთავარი წვრთნელის ძიებაში ჩაება **შოთა არველაძე.** მანვე სურვილი გამოთქვა, გახდეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი.

**3 აპრილი** - ცნობილმა ველომრბოლმა **ჯუმბერ ლეჟავამ** ირანის საზღვარი გადალახა და გეზი თურქმენეთისკენ აიღო. როგორც ადრე ვიუწყებოდით, ამჟამად ჯ. ლეჟავა თავის მოგზაურობას პეკინის ოლიმპიურ თამაშებს უძღვნის, საქართველოდან იგი ჯერ თურქეთში ჩავიდა, შემდეგ ირანში.

**5 აპრილი** - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თაოსნობით. კუს ტბაზე მოეწყო პირველი ანტინარკოტიკული სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიება.

**7 აპრილი** - თბილისის შემდეგ **კახი**



**კალაძემ** იტალიაში, მილანში გამართა "კალა კაპიტალის" პრეზენტაცია. პროექტი მოიცავს საქველმოქმედო და საინვესტიციო პროგრამას.



# პირველი, პირველმა, პირველად...



**პირველი** ქართული სპორტსმენი ვისაც დღემდე მსოფლიო ჩემპიონატებში ყველაზე მეტი - ოქროს 7 მედალი აქვს მოპოვებული, არის ტყვიის მსროლელი **ნინო სალუქვაძე**. 5-5-მედლის მფლობელები არიან მოჭადრაკეები ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე, მოჭიდავეები ლევან თედიაშვილი, ლერი ხაბელოვი და გიორგი კოლუაშვილი. პროფესორ ჯემალ ძაგანიას გამოთვლით, საქართველოს ჰყავს მსოფლიოს 84 ჩემპიონი, რომელთა წილად მოდის ოქროს 144 მედალი.



**პირველმა** საქართველოს სპორტსმენ ქალთაგან ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა **მედეა (მზია) ჯუღელმა** ჰელსინკის 1952 წლის ოლიმპიურ თამაშებში სსრკ ტანმოვარჯიშეთა ნაკრებ გუნდთან ერთად.



**პირველად** ყველაზე მეტი ოლიმპიური ოქროს მედალი - 6, საქართველოს სპორტსმენებმა დაიმსახურეს მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებში 1972 წელს. ეს ჯილდო წილად ხვდათ: **ზურაბ საკანდელიძესა და მიხეილ ქორქიას** (ორივე-კალათბურთი), **შოთა ჩოჩიშვილს** (ძიუდო), **ლევან თედიაშვილს** (თავისუფალი ჭიდაობა), **ვიქტორ კრატასიუკს** (ნიჩბოსნობა), **ვიქტორ სანეევს** (მძლეოსნობა).

ვიქტორინა

**1. რომელ წელს გახდა მოფარიკავე ნუგზარ ასათიანი ოლიმპიური ჩემპიონი?**
ა-1960 წელს
ბ-1964 წელს
გ-1968 წელს

**2. რომელ წელს და სად ჩატარდა საქართველოს პირველი ჩემპიონატი კალათბურთში?**
ა-1924 წელს თბილისში
ბ-1926 წელს ბათუმში
გ-1927 წელს, ქუთაისში

**3. ვინ იყო პირველი ევროპის ჩემპიონი კრივში საქართველოდან?**
ა-დავით კვაჭაძე
ბ-ამირან ხიზანიშვილი
გ-რამაზ ფალიანი

**4. რომელი წლიდან დაიწყო საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვა 10 საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად?**
ა-1962 წლიდან
ბ-1964 წლიდან
გ-1965 წლიდან

**5. რომელ წელს ჩატარდა სსრკ ხალხთა II სპარტაკიადა?**
ა-1957 წელს
ბ-1958 წელს
გ-1959 წელს

**პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-გ**

ლელოს ფოტომატიანე

"ლელოს" ფოტოარქივმა, საბედნიეროდ, უამრავი ისტორიული ფოტო შემოგვინახა, რომლის მნიშვნელობა რაც დრო გადის, უფრო ძვირფასი ხდება. სამწუხაროდ, ათეული წლების წინათ გადაღებულ ზოგიერთ სურათზე ასახული პიროვნებების დადგენა დღეს გვიხდება, თუმცა ეს ყოველთვის ვერ ხერხდება. ამჟამად კიდევ ერთ ფოტოს ვაქვეყნებთ იმ იმედით, რომ იქნებ ვინმე გამოგვეხმაუროს და დაგვეხმაროს ფოტოზე ასახულ სპორტსმენთა გვარების დადგენაში. არც ის ვიცით, სპორტის ერთი რომელიმე სახეობის წარმომადგენლები არიან ისინი თუ საერთო დელეგაციის წევრები. ცნობილია, რომ სურათი 84 წლის წინათ 1924 წელსაა გადაღებული სურამში, საქართველოს არმიელთა ოლიმპიადაზე.

გამოგვეხმაურეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი. პეკინი 2008

# ოლიმპიური არეულობები

## პარიზში ჩირაღდანი ჩააქვრეს

თითქმის ორი კვირაა, ოლიმპიურმა ჩირაღდანმა მსოფლიოს გარშემო დაიწყო მოგზაურობა. გასულ უიქ ენდზე, ესტაფეტა ლონდონმა მიიღო და როგორც ბრიტანელი სამართალდამცავები ვარაუდობდნენ, ლონისძიებას სერიოზული ექსცესების გარეშე არ ჩაუვლია. კვლავ იაქტიურეს ტიბეტის მხარდამჭერმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც სერიოზული პრობლემები შეუქმნეს ჩირაღდნის ლონდონის ქუჩებში ჩატარებას.

პირველი შეხლა-შემოხლა უემბლის სტადიონის სიახლოვეს მოხდა, სადაც დაიწყო კიდეც ესტაფეტის ლონდონური ნაწილი. იქ სამი მანიფესტანტი დააკავეს, სულ კი, პოლიციის ხელში იმ დღეს 10 ადამიანი აღმოჩნდა.

ოლიმპიურ ცეცხლს მუდმივად გარს ეხვია სპეციალურად გაწვრთნილი 30 ჩინელი აგენტი წარმომადგენელი, აგრეთვე ველოსიპედებსა და მოტოციკლებზე ამხედრებული პოლიციელები. მიუხედავად უსაფრთხოების ასეთი მასშტაბური ზომებისა, ერთ-ერთმა მანიფესტანტმა, ზედ ლონდონის ცენტრში ჩირაღდანთან მიახლოება და მისი ხელის ჩავლება მოახერხა. ოღონდ სულ ცოტა ხნით - სკოტლენდ-იარდის წარმომადგენლებმა თავდამსხმელი ასფალტზე წააქციეს და ხელები გადაუგრიხეს.

სულ ლონდონური ესტაფეტის უსაფრთხოებას 2 ათასი პოლიციელი იცავდა.

გუშინ კი, ოლიმპიური ჩირაღდანი პარიზში ჩაიტანეს, საფრანგეთის დედაქალაქში მოვლენები საინტერესოდ განვითარდა. მანიფესტანტებმა აქაც იაქტიურეს და ოლიმპიური ცეცხლის დასაცავად, ჩირაღდანი სპეციალურ ავტობუსში მოათავსეს.

დაპატიმრებები პარიზშიც იყო. სხვებთან ერთად დააკავეს საფრანგეთის "მწვანეთა" პარტიის წარმომადგენელი **მირეი ფერი**, რომელსაც ხელში ცეცხლსაქრობი ეკავა.

გუშინ ყველაზე საინტერესო კი, ადგილობრივი დროით 13 საათსა 30 წუთზე მოხდა. პარიზის პოლიციის ინფორმაციით, ოლიმპიური ცეცხლი ტექნიკური მიზეზების გამო ჩააქვრეს.

**გია თვალაბეიშვილი**



ჩირაღდანი ჩინელი აგენტებისა და პოლიციელების გარემოცვაში

კრივი. მეცნიერული კვლევა

# რინგი საშიში არ ყოფილა



ვითომ ეს საშიში არ არის?

სამოყვარულო კრივი ადამიანის ტვინისთვის იმაზე სახიფათო არ არის, ვიდრე დილის ჩვეულებრივი ძუნძული - ხერხემლისთვის. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ექიმები მას შემდეგ, რაც 42 მოკრივის ტვინის სკანირება ჩაატარეს და იქ მნიშვნელოვანი სისხლჩაქცევები ვერ აღმოაჩინეს.

მიუხედავად სპორტის საყოველთაო პოპულარიზაციისა, ექიმები მუდმივად გვახსენებენ, რომ ყველა სახეობა ერთნაირად სასარგებლო ვერ იქნება. ისინი ხშირად აცხადებდნენ ხერხემალზე მძლეოსნობის დამღუპველი გავლენის შესახებ - განსაკუთრებით მაშინ, როცა სირბილს არაპროფესიონალი და თანაც მსუქანი ადამიანი იწყებს.

როგორც აღმოჩნდა, რინგზე სირბილი და ხტუნვა უფრო უხიფათოა, ვიდრე პარკში სირბილი. რა თქმა უნდა, მუშტების ქნევა არც ისე სასიკეთოდ აისახება საკრივო ორთაბრძოლის ორივე მონაწილეზე. მაგრამ ფართოდ გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ კრივი თავის ტვინის სერიოზული დაავადებების გამომწვევი მიზეზია - მცდარი სტერეოტიპი ყოფილა.

პროფესიული კრივი უამრავ ნერვულ აშლილობას იწვევს, პირველ რიგში, ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევის გამო. როგორც ადრე ითვლებოდა, თავის არეში უძლიერესი დარტყმები უკვალოდ არ ჩაივლის: სკდება კაპილარები, წარმოიქმნება თრომბები... ამან კი, შეიძლება პარკინსონის დაავადება გამოიწვიოს. მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით, კრივს და კერძოდ, **მუჰამედ ალის** არ უნდა დაბრალდეს პარკინსონიზმის წარმოქმნა.

ალი დიდი ხანი იყო სერიოზული მიზეზი იმისა, რომ ბევრმა ბიჭმა სპორტის ამ უხეშ სახეობაში მომავალ კარიერაზე თქვა უარი. გერმანელმა ექიმებმა სამეცნიერო გამოკვლევების დახმარებით გადაწყვიტეს, კრივს კეთილი სახელი აღუდგინონ.

ექიმები სიამაყით აღნიშნავენ, რომ სამუშაო გეიდელბერგის თანამედროვე ტომოგრაფიულ სამედიცინო ცენტრში ჩაატარეს. აქ უთანამედროვესი აპარატურა გააჩნიათ, რომელიც სისხლჩაქცევების უმცირეს შემთხვევებსაც კი აფიქსირებს. ამას აცხადებს კვლევის ხელმძღვანელი **სტეფან ჰიონელი**.

სისხლჩაქცევა - ეს ერთგვარი მიკრო-ინსულტია, რომელიც არღვევს ნერვული უჯრედების კვებას - ისინი ძალიან მგრძნობიარენი არიან ჟანგბადისა და გლუკოზის დეფიციტთან. რამდენიმე საათის შემდეგ, ეს უჯრედები ილუპებიან და თავიანთ მეზობლებს ნერვულ ბადეში წარმოქმნილი დეფექტის ჩანაცვლების შესაძლებლობას აძლევენ.

ექიმებმა 79 კაცი შეამოწმეს- 42 მოყვარული მოკრივე და 37 ადამიანი, რომლებიც არასოდეს ყოფილან დაკავებულნი ხელჩართული ჩხუბის არცერთი სახეობით. საკონტროლო ჯგუფში არაფერი აღმოუჩენიათ, იმ დროს, როცა სამ მოკრივეს მაინც დაუდგინეს სისხლჩაქცევები. ამასთან, ის აღმოაჩინეს საფეთქლებისა და შუბლის არეში, სადაც მუშტის დარტყმის შემდეგ, ქსოვილის დაზიანება მაქსიმუმს აღწევს.

მიუხედავად ამ აღმოჩენებისა, სწავლულებმა აღნიშნეს, რომ სტატისტიკურად ეს უმნიშვნელო მაჩვენებელია.

ნაწილობრივ, ასეთი შედეგი შემოწმებული მოყვარული მოკრივეების ჯგუფის ნაირგვარობით არის გამოწვეული - მათი სამოყვარულო კარიერის ხანგრძლივობა ერთიდან 25 წლამდე ვარირებდა, ჩატარებული ბრძოლების რაოდენობა - ერთიდან 375-მდე, ხოლო ნოკაუტების რიცხვი - 0-დან 12-მდე.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ შედეგების პროფესიულ კრივთან მისადაგება: ადრე ჩატარებულმა გამოკვლევებმა სპორტული კარიერის ხანგრძლივობასა და ნერვული სისტემის აშლილობას შორის კავშირი დაამტკიცეს, მაგრამ დღემდე გაურკვეველია ამ პროცესში სისხლჩაქცევები გადამწყვეტ როლს თამაშობს თუ არა. მეცნიერები თავიანთი გამოკვლევის გამეორებას აპირებენ. ამჯერად ისინი ამ პროცესში პროფესიონალ მოკრივეებსაც ჩართავენ და დაკვირვების პერიოდსაც გაახანგრძლივებენ, რათა ნერვულ სისტემაში სტრუქტურული ცვლილებები უფრო კარგად შეისწავლონ.

მაგრამ მშობლებს უკვე შეუძლიათ თავიანთი შვილებისთვის სპორტული სექციის შერჩევისას, კრივის წინააღმდეგ საწინააღმდეგო არგუმენტები მოიშორონ, თუ რა თქმა უნდა, საუბარი არ ეხება პროფესიულ კარიერას. ხოლო მათი არგუმენტები, ვისაც კრივში ვარჯიში სურს, არ შეცვლილა: ჯერერთი, ეს სპორტია და ის არამარტო სხეულს, არამედ მებრძოლ სულს ანვითარებს, გარდა ამისა, კრივში შეძენილი ილეთები ყოველდღიურ ცხოვრებაშიც სასარგებლოა.

**გია თვალაბეიშვილი**

ველოსპორტი. პრო ტური

# ფლანდრიული გარღვევა

ბელგიელი **სტიინ დეფოლდერის** სოლო რეიდითა და გამარჯვებით დასრულდა პრესტიჟული კლასიკური ერთდღიანი ფლანდრიის ტური, რომელიც ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციისა და ფრანგული ტურის ორგანიზატორთა შორის დაუსრულებელ დავაში გაუფასურებული, პრო ტურის სერიის კალენდარში შედის.

გამარჯვებულმა ფინიშთან 15 წამით მიასწრო თანამემამულე **ნიკ ნუიენსს**, რომელმაც დაძაბულ პაექრობაში უკან მოიტოვა ესპანელი **ხუან ანტონიო ფლეშა**.

დეფოლდერმა გადამწყვეტი შეტევა ფინიშამდე 20 კილომეტრით ადრე წამოიწყო, როცა პელოტონი ბოლოსწინა აღმართს შეუდგა. ფლეშამ სცადა გამოდევნება, თუმცა დროზე რბოლის სპეციალისტ ბელგიელს ველარ დაეწია. სამაგიეროდ, მას კვალში ნუიენსი ჩაუდგა, რომელმაც საფინიშო სპურტში აჯობა კიდეც გამოცდილ ესპანელს.

არანაკლებ საინტერესო პაექრობა გაჩაღდა მეოთხე ადგილისთვის. აქ მოგების შანსი ვეტერან ამერიკელ **ჯორჯ ჰინკეიპის** ჰქონდა, მაგრამ საფინიშო სპურტში ის იტალიელმა **ალესანდრო ბალანმა** ჩამოიტოვა.

ამჯერად ვერაფერს მიაღწია სეზონის პირველი კლასიკური რბოლის, მილანი-სან რემოს შვეიცარიელმა გამარჯვებულმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა **ფაბიან კანჩელარამ**. ვერც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, ესპანელმა **ოსკარ ფრეირემ** მიაღწია მიზანს. ფრეირემ ფინიშამდე 32 კილომეტრით ადრე სცადა შეტევა, მაგრამ პელოტონმა დაწინაურების საშუალება არ მისცა.

*"შუა რბოლაში ვიგრძენი, რომ მოგება შემეძლო. ხელსაყრელ მომენტს დაველოდე და როცა შეტევა დავიწყე, არავინ გამომდევნებია. აქედან მოყოლებული, ჩემთვის დროზე რბოლა დაიწყო. საშინელი ამინდი იყო, ქარი სახეში მიბერავდა. მგონი, ასეთ ძნელ პირობებში არასოდეს მიასპარეზია. მთავარი კი ისაა, რომ იდეალურად ვირბოლე. ყველა ოცნებობს რბოლის ეულად მოგებაზე და დღეს ეს ოცნება ავისრულე. მეგონა, რომ ბოლო აღმართზე მდევრები დამეწეოდნენ, მაგრამ თავი არ დავზოგე და მაღალი ტემპი ბოლომდე შევინარჩუნე. ეს გამარჯვება ჩემთვის მით უფრო სასიამოვნოა, რომ ფინიშის ხაზი ბელგიის ჩემპიონის მაისურით გადავკვეთე"*, - ნარბოლევს განაცხადა გამარჯვებულმა, ვისაც ამ სეზონში, ალგარვეს ტური და მისი ერთი ეტაპი – დროზე ინდივიდუალური რბოლა აქვს მოგებული.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

| როնდე ვან ფლაანდერენი. 264 კმ | |
|---|---|
| 1. დეფოლდერი (ბელგია, ქვიკსტეპი) | 6:24.02 |
| 2. ნუიენსი (ბელგია, კოფიდისი) | +0.15 |
| 3. ფლეშა (ესპანეთი, რაბობანკი) | +0.15 |
| 4. ბალანი (იტალია, ლამპრე-ფონდიტალი) | +0.21 |
| 5. ჰინკეიპი (აშშ, ჰაი როუდი) | +0.21 |
| 6. ფილიპო პოცატო (იტალია, ლიკიგაზი) | +0.21 |
| 7. არვესენი (ნორვეგია, CSC) | +0.21 |
| 8. ვან ავერმაეტი (ბელ., სილენს-ლოტო) | +0.21 |
| 9. საილაკი (სლოვე, ლამპრე-ფონდიტალი) | +0.21 |
| 10. ლაბე (საფრანგეთი, ბუიგ ტელეკომი) | +0.21 |

კალათბურთი

# კობი: ყველა ენაზე ვიგინები

"ლოს ანჯელეს ლეიკერსს" რეგულარული ჩემპიონატის დამთავრებამდე ხუთი მატჩი დარჩა ჩასატარებელი, კალიფორნიული კლუბის ლიდერს, **კობი ბრაიანტს** კი, სეზონში უკვე 15 ტექნიკური ჯარიმა დაუგროვდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი მომდევნო ტექნიკური ფოლისთვის, ბრაიანტი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისჯება. არადა, "ლეიკერსი" პლეი ოფში საკუთარი მოედნის უპირატესობის მოსაპოვებლად იბრძვის და შეიძლება ისე მოხდეს, რომ კობიმ გუნდი დაალალატოს.

ცოტათი გასაკვირია, როგორ მოასწრო ამდენი ტექნიკური პერსონალურის დაგროვება ბრაიანტმა. მას ხომ თურმე შენიღბვის მეტად ორიგინალური ხერხისთვის მიუგნია.

*"იმისთვის, რომ მსაჯების შენიშვნა ავიცილო თავიდან, მათ სერბულ ენაზე ვლანძღავ და ვავცინი. სერბული გინება საშა ვუიაჩიჩმა და ვლადიმერ რადმანოვიჩმა მასწავლეს. ესპანური გინებაც ვიცი. ეს პაუ გასოლის დამსახურებაა. ფრანგულად ამ დარგში რონი ტურიაფმა გამანათლა. იცით ფრანგულად ეს სიტყვები რა ლამაზად გამოითქმის?!"* - ამბობს კობი.

**გია თვალაბეიშვილი**

**მაიამი-დეტროიტი 75:91**

16:19, 11:20, 27:29, 21:23

მ: ბარონი (20), ქუინი (14+7 მოხსნა), დევისი (11+9 მოხსნა), ბლაუნტი (10).

დ: სტაკი (19+3 ჩაჭრა), პრინსი (14), დიქსონი (10), ჰეიესი (10).

**პორტლენდი-სან ანტონიო 65:72**

13:17, 21:22, 18:22, 13:11

პ: როი (18), აუთლო (14), ოლდრიჯი (12+11 მოხსნა).

სა: დანკანი (27+11 მოხსნა), ბოუენი (10), ჯინობილი (10+6 პასი).

**მინესოტა-მემფისი 101:113**

19:27, 36:27, 26:27, 20:32

მინ: გომესი (19+8 მოხსნა), ჯეფერსონი (18+8 მოხსნა), ფოიე (17), მაკენტსი (16), სნაიდერი (11).

მემ: მილერი (34+10 მოხსნა+6 პასი), გეი (23+9 მოხსნა+6 პასი), უორიკი (20), მილიჩიჩი (12).

**ნ. ორლეანი-გ. სტეიტი 107:94**

22:31, 37:20, 29:27, 20:18

ნ-ო: უესტი (25+9 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (25), პოლი (16+10 მოხსნა+13 პასი+5 ჩაჭრა), პარგო (15+7 პასი), ჩენდლერი (11+12 მოხსნა+4 ჩაჭრა).

გ-ს: ელისი (35+10 მოხსნა), ბიედრინსი (17+15 მოხსნა), ბ. დევისი (17+8 პასი+4 ჩაჭრა). ჰარინგტონი (16+8 მოხსნა).

**სიეტლი-დენვერი 151:147 (2ო)**

31:36, 39:28, 29:31, 27:31, 9:9, 16:12

ს: დიურანი (37+9 პასი), გრინი (35+10 მოხსნა), რიდნური (19+8 პასი), კოლისონი (19+14 მოხსნა), უოტსონი (16+11 პასი), უილკინსი (11).

დ: ენტონი (38+11 მოხსნა), აივერსონი (26+13 პასი+4 ჩაჭრა), მარტინი (22), კლეიზა (17), კემბი (12+13 მოხსნა), კარტერი (11), სმიტი (11), ნახერა (10).

**ფინიქსი-დალასი 98:105**

28:26, 29:26, 32:26, 9:27

ფ: სტაუდმაიერი (31), დიაო (15), ნეში (14+10 პასი), ო'ნილი (13+13 მოხსნა), ბელი (10).

დ: ნოვიცკი (32+12 მოხსნა), ჰოვარდი (24+9 მოხსნა), ბასი (19), ტერი (12), კიდი (8+7 პასი+4 ჩაჭრა+4 დაფარება).

**ინდიანა-მილუოკი 105:97**

26:25, 23:27, 18:25, 38:20

ი: გრეინჯერი (27+7 მოხსნა), დინერი (18), დანლივი (17+7 პასი), ფოსტერი (16+15 მოხსნა), მერფი (13).

მ: რედი (24+7 მოხსნა), ვილანუევა (22+13 მოხსნა), ბოგუტი (16+14 მოხსნა), მეისონი (16), სიმონსი (11).

**ნიუ იორკი-ორლანდო 100:90**

26:12, 15:28, 24:21, 35:29

ნ-ო: ჩენდლერი (23+8 მოხსნა), რენდოლფი (20+11 მოხსნა), ლი (13+9 მოხსნა), ჯონსი (13), რობინსონი (12+8 მოხსნა), კროუფორდი (11).

ო: თურქოგლუ (22+6 პასი), ნელსონი (19), ევანსი (16+7 მოხსნა), ჰოვარდი (13+15 მოხსნა).

**საკრამენტო-ლეიკერსი 92:114**

27:23, 18:28, 24:36, 23:27

ს: მარტინი (22), არტესტი (19), უილიამსი (12), მური (10), ჰოვსი (10+11 მოხსნა).

ლ: ბრაიანტი (29), რადმანოვიჩი (21+14 მოხსნა), გასოლი (20), ოდომი (16+7 პასი), ვუიაჩიჩი (14).

**კლიპერსი-ჰიუსტონი 79:105**

22:30, 20:32, 25:18, 12:25

კ: პაუელი (22+10 მოხსნა), ბრენდი (19+4 დაფარება), მობლი (11+4 ჩაჭრა), ნაითი (1+9 პასი).

ჰ: ბრუკსი (18), სკოლა (16), ჰედი (15), მაკგრეიდი (13+9 პასი), ჯექსონი (12), ბატიე (11).

# უცხოური სპორტი

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

### კოლორადო-მინესოტა 4:3 (ბ)

0:1, 1:1, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 პერიში-16 (დემიტრა-38, მ. კოივუ-31), 1:1 შჩასტნი-24 (ფორსბერგი-11, ჰეიდუკი-25), 1:2 კარნი-1 (ბუშარი-50, ვეილო-7), 2:2 საკიკი-13 (ფორსბერგი-12, შჩასტნი-47), 3:2 ჰეიდუკი-29 (ფორსბერგი-13, საკიკი-27), 3:3 როლსტონი-31 (ნუმელინი-7, დემიტრა-39).

**ბულიტები გაიტანეს:** ვოლსკი (კოლორადო), ნუმელინი (მინესოტა), საკიკი (კოლორადო).

### დალასი-სან ხოსე 4:2

0:1, 3:1, 1:0

**გოლები:** 0:1 მარლო-19 (ბ. კემპბელი-54, პაველსკი-21), 0:2 ჩიჩუ-23 (მარლო-29, მ. მიხალეკი-31), 1:2 მიეტინენი-15 (მოდანო-36, მოროუ-41), 2:2 ბარნსი-12 (მოროუ-42, ნისკანენი-19), 3:2 ნორსტრიომი-2 (პეტერსენი-3, ჰაგმანი-14), 4:2 ოტი-11 (ლუნდკვისტი-11).

### ნიუ ჯერსი-რეინჯერსი 3:2 (ბ)

2:0, 0:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 მადენი-20 (ჯონტა-31, მარტინი-27), 2:0 რუპი-3 (ზუბრუსი-25), 2:1 დრური-25 (დეივსი-15, კელეჰანი-5), 2:2 იაგრი-25 (ეივერი-18, ბეკმენი-15).

**ბულიტები გაიტანეს:** გომესი (რეინჯერსი), პარიზე (ნიუ ჯერსი), ელიაში (ნიუ ჯერსი).

### ფილადელფია-პიტსბურგი 2:0

0:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 აპშოლი-14 (ნუბლი-26, ჯ. კარტერი-23), 2:0 ნუბლი-29 (ჯ. კარტერი-24).

### დეტროიტი-ჩიკაგო 4:1

1:0, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ჰუდლერი-13 (მაკარტი-1, ლებდა-11), 2:0 ლიდსტრიომი-9 (ჰუდლერი-29, კრონვალი-28), 3:0 ჰოლმსტრიომი... 

### კოლამბუსი-სენტ ლუისი 1:4

1:1, 0:1, 0:2

**გოლები:** 1:0 პეკა-8 (ნეში-31, ჰეინსი-24), 1:1 ბეკსი-13 (პერონი-14, ვოივიტკა-6), 1:2 ბოიესი-43 (ტკაჩუკი-31, კარია-49), 1:3 პერონი-13 (ბრიუერი-21, სტემპნიაკი-25), 1:4 ტკაჩუკი-27 (რ. ჯონსონი-13, ჯეკმენი-14).



ფორსბერგმა სამი პასით დაასრულა

### ანაჰაიმი-ფინიქსი 3:2 (ბ)

0:0, 0:1, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 კარჩილო-12 (ტარისი-1, მიულერი-32), 0:2 კარჩილო-13 (ვრბატა-29, მორისი-17), 1:2 კუნიტცი-21 (სელიანე-11, ს. ნიდერმაიერი-17), 2:2 რაიანი-5 (გეტცლაფი-58, ბერტუცი-26).

**ბულიტები გაიტანეს:** კუნიტცი (ანაჰაიმი), სელიანე (ანაჰაიმი), ტარისი (ფინიქსი), ვრბატა (ფინიქსი), გეტცლაფი (ანაჰაიმი).

### საბოლოო მდგომარეობა

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. z-მონრეალი | 82 | 47 | 25 | 10 | 104 |
| 2. y-პიტსბურგი | 82 | 47 | 27 | 8 | 102 |
| 3. y-ვაშინგტონი | 82 | 43 | 31 | 8 | 94 |
| 4. x-ნიუ ჯერსი | 82 | 46 | 29 | 7 | 99 |
| 5. x-რეინჯერსი | 82 | 42 | 27 | 13 | 97 |
| 6. x-ფილადელფია | 82 | 42 | 29 | 11 | 95 |
| 7. x-ოტავა | 82 | 43 | 31 | 8 | 94 |
| 8. x-ბოსტონი | 82 | 41 | 29 | 12 | 94 |
| 9. კაროლინა | 82 | 43 | 33 | 6 | 92 |
| 10. ბაფალო | 82 | 39 | 31 | 12 | 90 |
| 11. ფლორიდა | 82 | 38 | 35 | 9 | 85 |
| 12. ტორონტო | 82 | 36 | 35 | 11 | 83 |
| 13. აილენდერსი | 82 | 35 | 38 | 9 | 79 |
| 14. ატლანტა | 82 | 34 | 40 | 8 | 76 |
| 15. ტამპა ბეი | 82 | 31 | 42 | 9 | 71 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. z-დეტროიტი | 82 | 54 | 21 | 7 | 115 |
| 2. y-სან ხოსე | 82 | 49 | 23 | 10 | 108 |
| 3. y-მინესოტა | 82 | 44 | 28 | 10 | 98 |
| 4. x-ანაჰაიმი | 82 | 47 | 27 | 8 | 102 |
| 5. x-დალასი | 82 | 45 | 30 | 7 | 97 |
| 6. x-კოლორადო | 82 | 44 | 31 | 7 | 95 |
| 7. x-კალგარი | 82 | 42 | 30 | 10 | 94 |
| 8. x-ნეშვილი | 82 | 41 | 32 | 9 | 91 |
| 9. ედმონტონი | 82 | 41 | 35 | 6 | 88 |
| 10. ჩიკაგო | 82 | 40 | 34 | 8 | 88 |
| 11. ვანკუვერი | 82 | 39 | 33 | 10 | 88 |
| 12. ფინიქსი | 82 | 38 | 37 | 7 | 83 |
| 13. კოლამბუსი | 82 | 34 | 36 | 12 | 80 |
| 14. სტ. ლუისი | 82 | 33 | 36 | 13 | 79 |
| 15. ლოს ანჯელესი | 82 | 32 | 43 | 7 | 71 |

*z - კონფერენციის ჩემპიონი; y - დივიზიონის ჩემპიონი; x - გავიდა პლეიოფში*

**ბომბარდირები (გოლი+პასი)**

| | |
|---|---|
| ოვეჩკინი (ვაშ) | 112 (65+47) |
| მალკინი (პიტ) | 106 (47+59) |
| იგინლა (კალ) | 98 (50+48) |
| დაციუკი (დეტ) | 97 (31+66) |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 96 (29+67) |
| ზეტერბერგი (დეტ) | 92 (43+49) |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 92 (40+52) |
| სპეცა (ოტა) | 92 (34+58) |
| ალფრედსონი (ოტა) | 89 (40+49) |
| კოვალჩუკი (ატლ) | 87 (52+35) |

**გოლეადორები**

| | |
|---|---|
| ოვეჩკინი (ვაშ) | 65 |
| კოვალჩუკი (ატლ) | 52 |
| იგინლა (კალ) | 50 |
| მალკინი (პიტ) | 47 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 43 |
| ბოიესი (ს-ლუი) | 43 |
| გაბორიკი (მინ) | 42 |
| ჰიტლი (ოტა) | 41 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 40 |

**ასისტენტები**

| | |
|---|---|
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 67 |
| დაციუკი (დეტ) | 66 |
| სავარი (ბოს) | 63 |
| ჰ. სედინი (ვან) | 61 |
| ლიდსტრიომი (დეტ) | 60 |
| მალკინი (პიტ) | 59 |
| სპეცა (ოტა) | 58 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 58 |
| გეტცლაფი (ანა) | 58 |
| რიბეირო (დალ) | 56 |

## პლეიოფი. 1/8 ფინალი. კალენდარი

**აღმოსავლეთი**

**მონრეალი (1)-ბოსტონი (8)**

10 აპრილი. მონრეალი-ბოსტონი
12 აპრილი. მონრეალი-ბოსტონი
13 აპრილი. ბოსტონი-მონრეალი
15 აპრილი. ბოსტონი-მონრეალი
17 აპრილი. მონრეალი-ბოსტონი*
19 აპრილი. ბოსტონი-მონრეალი*
21 აპრილი. მონრეალი-ბოსტონი*

**პიტსბურგი (2)-ოტავა (7)**

9 აპრილი. პიტსბურგი-ოტავა
11 აპრილი. პიტსბურგი-ოტავა
14 აპრილი. ოტავა-პიტსბურგი
16 აპრილი. ოტავა-პიტსბურგი
19 აპრილი. პიტსბურგი-ოტავა*
20 აპრილი. ოტავა-პიტსბურგი*
22 აპრილი. პიტსბურგი-ოტავა*

**ვაშინგტონ (3)-ფილადელფ (6)**

11 აპრილი. ვაშინგტონი-ფილადელფია
13 აპრილი. ვაშინგტონი-ფილადელფია
15 აპრილი. ფილადელფია-ვაშინგტონი
17 აპრილი. ფილადელფია-ვაშინგტონი
19 აპრილი. ვაშინგტონი-ფილადელფია*
21 აპრილი. ფილადელფია-ვაშინგტონი*
22 აპრილი. ვაშინგტონი-ფილადელფია*

**ნიუ ჯერსი (4)-რეინჯერსი (5)**

9 აპრილი. ნიუ ჯერსი-რეინჯერსი
11 აპრილი. ნიუ ჯერსი-რეინჯერსი
13 აპრილი. რეინჯერსი-ნიუ ჯერსი
16 აპრილი. რეინჯერსი-ნიუ ჯერსი
18 აპრილი. ნიუ ჯერსი-რეინჯერსი*
20 აპრილი. რეინჯერსი-ნიუ ჯერსი*
22 აპრილი. ნიუ ჯერსი-რეინჯერსი*

**დასავლეთი**

**დეტროიტი (1)-ნეშვილი (8)**

10 აპრილი. დეტროიტი-ნეშვილი
12 აპრილი. დეტროიტი-ნეშვილი
14 აპრილი. ნეშვილი-დეტროიტი
16 აპრილი. ნეშვილი-დეტროიტი
18 აპრილი. დეტროიტი-ნეშვილი*
20 აპრილი. ნეშვილი-დეტროიტი*
22 აპრილი. დეტროიტი-ნეშვილი*

**სან ხოსე (2)-კალგარი (7)**

9 აპრილი. სან ხოსე-კალგარი
10 აპრილი. სან ხოსე-კალგარი
13 აპრილი. კალგარი-სან ხოსე
15 აპრილი. კალგარი-სან ხოსე
17 აპრილი. სან ხოსე-კალგარი*
20 აპრილი. კალგარი-სან ხოსე*
22 აპრილი. სან ხოსე-კალგარი*

**მინესოტა (3)-კოლორადო (6)**

9 აპრილი. მინესოტა-კოლორადო
11 აპრილი. მინესოტა-კოლორადო
14 აპრილი. კოლორადო-მინესოტა
15 აპრილი. კოლორადო-მინესოტა
17 აპრილი. მინესოტა-კოლორადო*
19 აპრილი. კოლორადო-მინესოტა*
22 აპრილი. მინესოტა-კოლორადო*

**ანაჰაიმი (4)-დალასი (5)**

10 აპრილი. ანაჰაიმი-დალასი
12 აპრილი. ანაჰაიმი-დალასი
15 აპრილი. დალასი-ანაჰაიმი
17 აპრილი. დალასი-ანაჰაიმი
18 აპრილი. ანაჰაიმი-დალასი*
20 აპრილი. დალასი-ანაჰაიმი*
22 აპრილი. ანაჰაიმი-დალასი*

## ავტოსპორტი. ფორმულა 1. ბაჰრეინის გრან-პრის შემდეგ

# ჰემილტონმა მაკლარენი დაალალატა

რუბრიკას წარმოგიდგენთ
Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

ბაჰრეინის დიდი პრიზის შემდეგ, "მაკლარენის" ბრიტანელმა პილოტმა **ლუის ჰემილტონმა** აღიარა, რომ თავისი თანაგუნდელები დაალალატა და რომ ესპანელ **ფერნანდო ალონსოსთან** შეჯახება მისი ბრალია. მთელი ეს ორომტრიალი კი მას და მის გუნდს ჩემპიონატში ლიდერობის დაკარგვის ფასად დაუჯდათ.

*"ეს ნამდვილი კატასტროფა იყო. სანამ სასტარტო პოზიციას მივუახლოვდებოდი, თითი სხვა ღილაკს დავაჭირე და ძრავი შეცდომით სხვა რეჟიმში გადავიყვანე, რომელიც მას გათიშვისგან იცავს. შეცდომა რომ დავაფიქსირე, უკვე გვიანი იყო. ყველა მანქანა სასტარტო რეჟიმში მუშაობდა, ჩემი კი – არა. მოკლედ, ყველაფერი ჩემი ბრალია. ბაჰრეინში თავიდანვე მოვლენები ჩემთვის არასასურველად განვითარდა. კარგია, რომ ყველაფერი უკან დარჩა. ახლა ევროპაში ვბრუნდებით და ვეცდები, ჩემი შეცდომა ბარსელონაში გამოვასწორო"*, - განაცხადა ბრიტანელმა, ვისაც ბაჰრეინამდე ჩემპიონატში ლიდერის პოზიცია ეკავა, ამ რბოლის შემდეგ კი ერთბაშად მესამეზე გადაინაცვლა.

ჰემილტონის 20-რბოლიან კარიერაში, ბაჰრეინში დაკავებული მე-13 ადგილი ყველაზე უარესია. შეგახსენებთ, რომ ის მხოლოდ ერთხელ გამოეთიშა რბოლას, გასული, მისთვის სადებიუტო სეზონის პირველი ცხრა ეტაპი კი კვარცხლბეკზე დაასრულა, რაც უპრეცენდენტო შედეგია.

ბაჰრეინის რბოლა ჰემილტონმა მესამე სასტარტო ადგილიდან დაიწყო, მაგრამ სტარტზე ჩარჩა და რამდენიმე პილოტმა გაუარა. როცა სიჩქარე აკრიფა, ის ალონსოს უკან აღმოჩნდა. მეორე წრის დასაწყისში, ჰემილტონმა გასწრება სცადა, მაგრამ იჩქარა და შეცდომა დაუშვა, რის შედეგადაც, ესპანელის ბოლიდს ცხვირით მარჯვენა უკანა ბორბალზე დაეჯახა. ალონსოს მანქანა არ დაზიანებულა, ჰემილტონის "მაკლარენს" კი ცხვირი მოსტყდა, რის გამოც, ბრიტანელს ბოქსებში დაუგეგმავი ვიზიტი მოუხდა. ალონსომ კი ორი წრის შემდეგ თავადაც დაუშვა შეცდომა და დატრიალდა, თუმცა გზა მაინც განაგრძო.

*"როცა პროფესიონალ მრბოლს სტარტი არ გამოსდის, მან თავადვე უნდა სცადოს სიტუაციის გამოსწორება და ქულებისთვის იბრძოლოს. მე ესეც არ გამომივიდა. ფერნანდოსთან შეჯახება კი მხოლოდ ჩემი ბრალია. მნიშვნელობა არ აქვს, მან ჩვეულებრივზე ადრე დაამუხრუჭა, თუ არა. მე მარჯვნიდან ვუტევდი, მანაც მარჯვნივ აილო საჭე და ჩვენ შევეჯახეთ. ასეთი რამ რბოლების დროს ხდება ხოლმე, მაგრამ ეს შეჯახება ჩემი ბრალი იყო, რისთვისაც ბოდიშს ვუხდი"*, - დასძენს ჰემილტონი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



სტარტზე ჰემილტონმა ცხვირი დაკარგა

# კუბიცას ზეთმა უმუხთლა

ბაჰრეინის დიდ პრიზს ორი გმირი ჰყავდა – ერთია მისი გამარჯვებული, ბრაზილიელი **ფელიპე მასა**, მეორე კი პოულ პოზიციის მომპოვებელი, პოლონელი **რობერტ კუბიცა**. მასამ მთელი სარბოლი უიკ ენდი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და შესაბამისად, გამარჯვებითაც დაჯილდოვდა. კუბიცამ კი კვალიფიკაციაში გაბრწყინების შემდეგ, რბოლის დასაწყისი ჩააგდო, რის გამოც, საბოლოოდ, კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ასვლას დასჯერდა. არადა, რეალური შანსი ჰქონდა, ისევე როგორც მალაიზიაში, ბაჰრეინშიც მეორე ადგილზე გასულიყო.

**ლუის ჰემილტონის** მსგავსად, კუბიცამაც რბოლის დასაწყისშივე დაუშვა შეცდომა, რაც ჯერ პოულის დაკარგვად, შემდეგ კი მეორე ადგილის დათმობის ფასად დაუჯდა. მწვანე სასტარტო შუქნიშანზე, პოლონელი პილოტი ოდნავ შეყოვნდა, რითაც მასამ კარგად ისარგებლა და დაწინაურდა.

ორი წრის შემდეგ კი კუბიცა კიდევ ერთხელ შეცდა, რის გამოც, მეორე პოზიცია მასას თანაგუნდელს, მსოფლიოს ფინელ ჩემპიონ **კიმი რაიკონენს** დაუთმო. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, "ბეემვე ზაუბერის" პილოტს შეცდომა არ დაუშვია.

კუბიცა ამბობს, რომ სანამ რაიკონენი გაასწრებდა, მისი საბურავების გზასთან ჩაჭიდება მოულოდნელად გაუარესდა. მან იფიქრა, რომ ეს საბურავის დაზიანების ბრალი იყო და ტემპი დააგდო, რითაც მეტოქემ უმალ ისარგებლა. მაგრამ როგორც გაირკვა, კუბიცას სტარტ-ფინიშის სწორზე დალვრილ ზეთზე გაუვლია, რამაც მისი რეზინის ხარისხი მცირე ხნით გააუარესა. მერე კი, როცა ზეთიანი ადგილი გაცვდა, საბურავმაც ჩვეულებრივად განაახლა მუშაობა.

*"ზეთი არც დამინახავს. ერთ მოსახვევში მანქანის ნამტვრევზე გადავიარე და ვიფიქრე, ალბათ, საბურავი დაზიანდა-მეთქი. ბოქსში შესვლასაც კი ვფიქრობდი და ტემპი დავაგდე. სწორედ ამ მომენტში გამიარა კიმიმ. მერე კი, მომდევნო მოსახვევებში, საბურავი კვლავ კარგად ამუშავდა და მეც ბოქსში შესვლა გადავიფიქრე. ყველაფრის მიუხედავად, რბოლის შედეგით კმაყოფილი ვარ. ხუმრობა ხომ არ არის - კონსტრუქტორთა პირველობაზე ჩვენი გუნდი ლიდერი გახდა"*, - ნარბოლევს განაცხადა კუბიცამ.

მართალია, რბოლის მიწურულს პოლონელმა "ფერარის" დუეტთან ჩამორჩენა შეამცირა და საბოლოოდ, გამარჯვებულ მასასთან ოთხი წამი წააგო, მაგრამ რეალურად, ეს მხოლოდ იმის შედეგი იყო, რომ ლიდერებმა ტემპი დააგდეს. სამაგიეროდ, როცა მათ მეორე პიტ სტოპი შეასრულეს, რამდენიმე წრე კუბიცამ და მისმა გერმანელმა თანაგუნდელმა **ნიკ ჰაიდფელდმა** მცირე ხნით ლიდერობასაც გამოჰკრეს ხელი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

# 20 ეტაპი იქნება

ბაჰრეინის გრან-პრიზე შეკრებილი გუნდების შეფებმა ახალი წინადადება წამოაყენეს. არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში, ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის კალენდარი 20 ეტაპამდე გაიზარდოს.

დღესთვის, კალენდარში 18 რბოლაა. გაისად საემიროების გრან-პრის დებიუტი იგეგმება, რიგში კი, სამხრეთ კორეა დგას.

ამავდროულად, გუნდების ხელმძღვანელთა აზრით, ჯერჯერობით, უნდა შეიზღუდოს ფორმულას გაფართოება ინდოეთის, ამერიკის, რუსეთისა და კატარის მიმართულებით.

*"დარწმუნებული ვარ, რომ სეზონში 20 ეტაპზე მეტი არ უნდა იყოს"*, - აცხადებს "მაკლარენის" ბოსი **რონ დენისი**.

*"20 რბოლა სეზონში - ეს ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია"*, - ეთანხმება დენისს "ჰონდას" ალმასრულებელი დირექტორი **ნიკ ფრაი**. თავის მხრივ, "რედ ბულის" შეფი **კრისტიან ჰორნერი** ამბობს: *"20 ეტაპი საკმაოდ ბევრია, მაგრამ სწორედ ეს იქნება ყველაზე გონიერი გადაწყვეტილება".*

ამასთან, ფრაიმ დაამატა: *"ფორმულამ იმ რეგიონებს უნდა შეუტიოს, სადაც რბოლების ჩატარება კომერციულად არის მომგებიანი. ვფიქრობ, ამ ეტაპისთვის ტრადიციულ ტრასებსა და ახალ ავტოდრომებს შორის ბალანსი ოპტიმალურად არის დაცული".*

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# დავიდენკოს მაიამური გაელვება



ნიკოლაი დავიდენკო

რუსი **ნიკოლაი დავიდენკოს** გამარჯვებით დასრულდა მაიამის მასტერსის ტურნირი, რომლის ფინალშიც მან ორ სეტში, 6:4, 6:2 დაამარცხა მსოფლიოს მეორე ჩოგანი, ესპანელი **რაფაელ ნადალი**. დავიდენკო პირველი რუსი ჩოგბურთელია, ვინც კი ბისკეინის ტურნირის 24-წლიან ისტორიაში, მისი მოგება შეძლო.

*"მასტერსის სერიის ტურნირი მეორედ მოვიგე. აქ ყოველ შეხვედრაში დიდი ბრძოლა მიწევდა და ბედნიერი ვარ, რომ ყველა მათგანი ჩემი გამარჯვებით დასრულდა. აქ გამარჯვებას ნამდვილად არ ველოდი. ვფიქრობდი, რომ კარგი იქნებოდა, თუ ნახევარფინალს მივაღწევდი. მე კი ტურნირი მოვიგე, ეს წარმოუდგენელია"*, - განაცხადა ჩემპიონმა, ვინც ნახევარფინალში ამერიკელთა ფავორიტი **ენდი როდიკი** დაამარცხა.

ალსანიშნავია, რომ დავიდენკომ კი ბისკეინში ახალი მოდელის ჩოგნით ითამაშა, რომელიც ტურნირის დაწყებიდან ბოლომდე, შეუცვლელად ემსახურა. *"ეს ერთადერთი ახალი ჩოგანია. მას მოთელვაზეც ვიყენებდი, მატჩებზეც და ერთი სიმიც არ გაწყვეტია. ალბათ ამ ჩოგანს ჩემს მიღწევათა გალერეაში სამუდამოდ მივუჩენ საპატიო ადგილს"*, - განაცხადა რუსმა, ვინც ამ სეზონში პირველი ტიტული მოიპოვა.

უნდა ითქვას, რომ დავიდენკო აქამდე არასოდეს გასცდენია მაიამის ტურნირის მეოთხე წრეს. თანაც, ნადალს მასთან წინა ორივე თამაში მოგებული ჰქონდა. შეხვედრა მისი უპირატესობით დაიწყო. მესამე გეიმში რუსმა ბრეიკს მიაღწია და 2:1 დაწინაურდა, თუმცა მომდევნო გეიმშივე, საფრანგეთის ღიას სამგზის ჩემპიონმა ბრეიკითვე უპასუხა. მეოთხე გეიმი ესპანელმა მშრალად მოიგო და თითქოს, თამაშშიც გარდატეხა შეიტანა, მაგრამ ასე არ მოხდა. რუსს მისთვის მეტი ბრეიკის შანსიც კი არ მიუცია.

მეშვიდე გეიმში დავიდენკომ კიდევ ერთხელ გატეხა ნადალი მისსავე სერვისზე და ეს უპირატესობა ხელიდან აღარც გაუშვია. პირველ სეტში თუ მეტოქისგან მეტ-ნაკლებ წინააღმდეგობას წააწყდა, მეორეში კორტზე ბატონ-პატრონი რუსი იყო. მეორე სეტი მის მიერ აღებული ბრეიკით დაიწყო, რასაც მან მეხუთეში კიდევ ერთი მოაყოლა. შეხვედრას წერტილი კი მეორე მატჩ პოინტის ქულად გარდასახვით დაუსვა.

*"მან შესანიშნავად ითამაშა და ხელის განძრევის საშუალება არ მომცა. საკუთარი რიტმი ვერაფრით მოვძებნე. ჰოდა, არც თამაში გამომივიდა. ის გაცილებით აგრესიული და რაც მთავარია, ზუსტი იყო, შეცდომებსაც თითქმის არ უშვებდა"*, - განაცხადა ნადალმა, ვისაც ამ სეზონში ჯერ ერთი ტურნირიც კი არ აქვს მოგებული.

ალსანიშნავია, რომ ნადალმა კი ბისკეინის (მაიამის გარეუბანია) ტურნირის ფინალში სულ მეორედ ითამაშა და მეორედაც კორტი წაგებულმა დატოვა. პირველად მან ფინალს 2005 წელს მიაღწია და მაშინ ხუთსეტიან დაძაბულ პაექრობაში შვეიცარიელ **როჯერ ფედერერთან** წააგო. ამ სეზონში კი ფინალში სულ მეორედ გავიდა.

დავიდენკოს დიდი უპირატესობა სტატისტიკაშიც გამოიხატა. მან ხუთივე ბრეიკი მშრალი ანგარიშით მოიპოვა, მხოლოდ 12 უნებლიე შეცდომა დაუშვა, 19 ქულა კი საკუთარი გარჯის შედეგად აიღო. ის ხშირად გადიოდა ბადესთან და ამ გასვლებით სულ 17 ქულას მოუყარა თავი.

მაიამის ტურნირის შემდეგ, ჩოგბურთელებს სათიხნარო სეზონი ეწყება და ნადალი იმედოვნებს, რომ მალე შეძლებს სეზონში პირველი გამარჯვების მოპოვებას.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 6600 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 5930 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 4785 |
| 4(5). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3175 |
| 5(4). დავიდ ფერერი (ესპ) | 2570 |
| 6(6). ენდი როდიკი (აშშ) | 2260 |
| 7(7). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 2070 |
| 8(9). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1920 |
| 9(10). ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 1875 |
| 10(8). რიშარ გასკე (საფ) | 1855 |
| 11(11). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1585 |
| 12(16). პოლ-ანრი მატიე (საფ) | 1495 |
| 13(12). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 1490 |
| 14(17). მარკოს ბაღდატისი (კვიპ) | 1480 |
| 15(18). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 1445 |
| 16(21). კარლოს მოია (ესპ) | 1440 |
| 17(19). ხუან მონაკო (არგ) | 1440 |
| 18(20). ივო კარლოვიჩი (ხორ) | 1420 |
| 19(14). ტომი რობრედო (ესპ) | 1400 |
| 20(23). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 1390 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 331 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 249 |
| 3(13). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 191 |
| 4(3). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 177 |
| 5(5). ენდი როდიკი (აშშ) | 168 |
| 6(4). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 160 |
| 7(9). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 132 |
| 8(6). ენდი მარეი (ბრიტ) | 122 |
| 9(11). მიხაილ იუჟნი (რუს) | 117 |
| 10(7). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 111 |
| 11(8). მიხაელ ლოდრა (საფ) | 109 |
| 12(10). მარდი ფიში (აშშ) | 107 |
| 13(12). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 105 |
| 14(13). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 98 |
| 15(37). ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 94 |
| 16(15). დავიდ ფერერი (ესპ) | 86 |
| 17(16). ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 85 |
| 18(21). რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 84 |
| 19(22). პოლ-ანრი მატიე (საფ) | 83 |
| 20(17). სემ კუერი (აშშ) | 81 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1 876 806 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპ) | 841 397 |
| 3. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 837 273 |
| 4. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 733 981 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 592 515 |
| 6. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 527 010 |
| 7. მიხაელ ლოდრა (საფ) | 507 918 |
| 8. ენდი მარეი (ბრიტ) | 411 249 |
| 9. მარდი ფიში (აშშ) | 371 980 |
| 10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 353 275 |
| 11. მიხაილ იუჟნი (რუს) | 352 075 |
| 12. ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 323 503 |
| 13. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 321 972 |
| 14. ჯონათან ელრიხი (ისრ) | 314 570 |
| 14. ენდი რამი (ისრ) | 314 570 |
| 16. დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 288 645 |
| 17. ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 282 746 |
| 18. იარკო ნიემინენი (ფინ) | 259 326 |
| 19. რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 256 449 |
| 20. ფელისიანო ლოპესი (ესპ) | 254 300 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 6105 |
| 2(2). ანა ივანოვიჩი (სერ) | 4216 |
| 3(3). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 4095 |
| 4(4). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 3905 |
| 5(5). მარია შარაპოვა (რუს) | 3601 |
| 6(7). ვენუს უილიამსი (აშშ) | 2781 |
| 7(6). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 2665 |
| 8(11). ელენა დემენტიევა (რუს) | 2305 |
| 9(8). სერენა უილიამსი (აშშ) | 2297 |
| 10(9). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 2257 |
| 11(10). მარიონ ბარტოლი (საფ) | 2198 |
| 12(12). პატი შნიდერი (შვეიც) | 1915 |
| 13(13). დინარა საფინა (რუს) | 1652 |
| 14(20). ვერა ზვონარევა (რუს) | 1522 |
| 15(18). აგნეს შავაი (უნგ) | 1489 |
| 16(16). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 1458 |
| 17(15). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1434 |
| 18(14). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1260 |
| 19(19). შაარ პეერი (ისრ) | 1245 |
| 20(17). ნადია პეტროვა (რუს) | 1192 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუს) | 1675 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1475 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1405 |
| 4. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 1110 |
| 5. სერენა უილიამსი (აშშ) | 1025 |
| 6. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 1000 |
| 7. ვერა ზვონარევა (რუს) | 847 |
| 8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 785 |
| 9. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 707 |
| 10. ელენა დემენტიევა (რუს) | 691 |
| 11. ვენუს უილიამსი (აშშ) | 566 |
| 12. ნა ლი (ჩინ) | 565 |
| 13. ლინდსი დავენპორტი (აშშ) | 500 |
| 14. ფლავია პენეტა (იტა) | 496 |
| 15. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 488 |
| 16. პატი შნიდერი (შვეიც) | 471 |
| 17. შაარ პეერი (ისრ) | 430 |
| 18. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 425 |
| 19. ამელი მორესმო (საფ) | 395 |
| 20. ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 387 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. მარია შარაპოვა (რუს) | 1 639 076 |
| 2. ანა ივანოვიჩი (სერ) | 1 017 090 |
| 3. სერენა უილიამსი (აშშ) | 828 635 |
| 4. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 814 540 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 560 691 |
| 6. ვერა ზვონარევა (რუს) | 442 908 |
| 7. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 445 185 |
| 8. ელენა დემენტიევა (რუს) | 426 318 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 418 273 |
| 10. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 361 910 |
| 11. ალიონა ბონდარენკო (უკრ) | 303 264 |
| 12. ვენუს უილიამსი (აშშ) | 302 778 |
| 13. აი სუგიამა (იაპ) | 296 200 |
| 14. კატერინა ბონდარენკო (უკრ) | 272 366 |
| 15. შაარ პეერი (ისრ) | 266 265 |
| 16. კატ. სრებოტნიკი (სლოვენ) | 258 275 |
| 15. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 225 237 |
| 18. დინარა საფინა (რუს) | 223 322 |
| 19. ნა ლი (ჩინ) | 208 597 |
| 20. კაროლინ ვოზნიაცკი (დან) | 205 622 |

## TV სპორტი

**8 აპრილი. სამშაბათი**

**I არხი**

**11:05** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**რუსთავი 2**

**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ლივერპული-არსენალი (LIVE).
**01:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ჩელსი-ფენერბაჰჩე.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
**14:10** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**15:10** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:30** გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
**18:20** საფეხბურთო პროგრამა.
**19:20** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:40** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**20:10** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:10** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**22:30** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ფენერბაჰჩე (LIVE).
**00:40** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-არსენალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ბაიერნი-ხეტაფე.
**09:00** სპორტკლუბი.
**10:03** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. მაიამი. აშშ.
**14:08** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**14:35** სპორტდოსიე. კრიკეტი.
**15:03** სპორტული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. II დღე. საფრანგეთი.
**17:06** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ხეტაფე.
**18:51** ფეხბურთი. Barca TV.
**18:58** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**19:28** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**19:58** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:03** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლივერპული-არსენალი (LIVE).
**01:05** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/2 ფინალი. მაიამი. აშშ.
**05:08** სპორტდოსიე. კრიკეტი.
**05:35** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-ხეტაფე.

**EUROSPORT**

**10:30** ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-ნორვეგია. აშშ.
**12:30** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი.
**13:30** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**14:15** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. რომა-მანჩესტერი.
**15:15** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**16:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. შალკე-ბარსელონა.
**16:30** მულტისპორტი.
**17:15** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. არსენალი-ლივერპული.
**18:15** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**19:00** ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-შოტლანდია. აშშ (LIVE).
**20:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:15** ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-შოტლანდია. აშშ (LIVE).
**21:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:45** მულტისპორტი.
**22:15** პროფესიული კრივი. IBF-ის ვერსია. მჩატე წონა. ნიუ იორკი. აშშ.
**23:00** პროფესიული კრივი. გიურნბერგი. გერმანია.
**01:00** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში.
**01:30** რალი. IRC-ის სერია. II დღე. სტამბოლი. თურქეთი.
**02:00** ავტოსპორტი.
**02:30** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**13:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. კილი (გერმანია)-ბარსელონა (ესპანეთი).
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** კალათბურთი. ULEB-ის თასი. 1/8 ფინალი. ხირონა (ესპანეთი)-ჰემოფარმი (სერბეთი).
**17:00** ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგულარული ლიგა. კოლორადო-როჩესტერი.
**18:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. 1/2 ფინალი. კილი (გერმანია)-ბარსელონა (ესპანეთი).
**19:00** ავტოსპორტი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** სნოუბორდი. მსოფლიო ტური. აშშ.
**21:00** ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. ესპანეთი.
**23:00** სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. ესპანეთი.
**00:00** არენა ფეხბურთი. რეგულარული სეზონი. ორლანდო-ჩიკაგო.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**02:15** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი. ჩემპიონატი** | |
| სტოკი-კრ. პალასი | 1:2 |
| **გერმანია. II ბუნდესლიგა** | |
| კიოლნი-ბორუსია (მ) | 1:1 |
| **საფრანგეთი. II დივიზიონი** | |
| გრენობლი-ტრუა | 2:0 |
| **პორტუგალია** | |
| ლეიქსოეში-ბელენენსეში | 1:2 |
| **შოტლანდია** | |
| აბერდინი-ფალკირკი | 2:1 |
| **დანია** | |
| აგფ ორჰუსი-ვიბორგი | 0:0 |
| **ნორვეგია** | |
| სტრომსგოდსეტი-რუსენბორგი | 3:2 |
| **შვედეთი** | |
| ელფსბორგი-აიკ | 3:0 |
| ჰამარბიუ-სუნდსვალი | 5:3 |
| კალმარი-ლიუნგსკილე | 3:1 |
| **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | |
| ვოლენი-კრინსი | 2:2 |
| **თურქეთი. II დივიზიონი** | |
| საქარია-ალთაი | 1:0 |
| **ჩეხეთი** | |
| პლზენი-სლავია | 0:0 |
| **უნგრეთი** | |
| უიპეშტი-ნირეძიაზა | 1:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| დუბნიცა-რუჟომბეროკი | 1:1 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **რუსეთი** | |
| ლოკომოტივი-ს. იულიაევი | 1:4 |
| **სლოვაკეთი** | |
| სლოვანი-კოშიცე | 1:5 |
| **ფინეთი** | |
| კიეკო-კერპეტი | 1:1 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-ჰ371 | 6:4 |

**ჩოგბურთი**

| WTA. ამელია აილენდი | |
|---|---|
| კრეიბასი-ამანმურადოვა | 7:6, 7:6 |
| დელაკუა-ჩინკი | 5:7, 2:6 |
| რეზაი-მაკაროვა | 2:6, 6:2, 5:7 |
| დომახოვსკა-შონესი | 6:2, 6:2 |
| ბამერი-ორლიკი | 6:3, 7:6 |
| გოვორცოვა-რუანო პასკუალი | 6:3, 6:3 |
| მედინა გარიგესი-სალერნი | 6:4, 6:3 |
| ბაშჩინსკი-ზახვალოვა | 2:6, 4:6 |
| დეში-მორიტა | 4:6, 3:6 |
| პენგი-პერებიინისი | 4:6, 5:7 |
| რაზანო-ფედაკი | 6:2, 6:1 |
| საფაროვა-ტანასუგარნი | 6:1, 6:3 |
| კორნე-კრაიჩეკი | 6:2, 6:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალა კაპიტალი მილანში, მეგობრებთან ერთად





ნესტა, ნოლაიდელი, კალაძე, პირლო, ამბროზინი, კოსტაკურტა



კალაძე მილანის ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანისთან ერთად

ისე როგორ იქნებოდა, ბიზნეს-პროექტ "კალა კაპიტალის" პრეზენტაცია მილანშიც არ გამართულიყო. და აი, გუშინ, თბილისური პრეზენტაციიდან ერთი კვირის თავზე, **კახა კალაძემ** საკუთარი "კაპიტალ-შოუ" მილანშიც წარმოადგინა. წესით, ეს 3 აპრილს უნდა მომხდარიყო, მაგრამ "მილანის" გადატვირთული კალენდრის გამო, პრეზენტაციამ ოთხი დღით გადაიწია.

აქამდე, კალაძე იტალიაში, უკრაინასა და ყაზახეთში ანარმოებდა საქმიანობას, ცოტა ხნის წინათ კი ამ ქვეყნებს მისი მშობლიური საქართველოც დაემატა. *"კარგად იცით, რა ვითარება იყო საქართველოში. იცით ჩემი ოჯახის პრობლემების თაობაზეც. ამდენად, არაა გასაკვირი, რომ საქართველოში ბიზნესსაქმიანობა აქამდე არ დავიწყე. დღეს კი მდგომარეობა მნიშვნელოვნადაა შეცვლილი, საინვესტიციო გარემოც მიმზიდველია. უმთავრესი კი ისაა, რომ საქართველო ჩემი სამშობლოა და მინდა, ყველაზე მეტი ამ ქვეყნისთვის, ამ ხალხისთვის გავაკეთო. თითოეული ქართველის კეთილდღეობა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს"*, - აღნიშნა კალაძემ თბილისში ყოფნისას.

მილანურ პრეზენტაციაზე, კალაძესთან ერთად, კომპანიის მიერ განსახორციელებელ პროექტებზე "კალა კაპიტალის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ზურაბ ნოლაიდელმაც** ისაუბრა. მსმენელები კი იცოცხლეთ, სანაქებონი იყვნენ - იტალიელი ბიზნესმენები, მთავრობის წევრები, "მილანის" ხელმძღვანელობა და ფეხბურთელები: **ადრიანო გალიანი, არიედო ბრაიდა, კაკა, მალდინი, ნესტა, ზეედორფი, კოსტაკურტა, გატუზო, ამბროზინი, პირლო.** მათი დაინტერესება, წმინდა მეგობრული ფაქტორის გარდა, იმითიც იყო განპირობებული, რომ თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი საქმე და მართალია, ნაკლებია შანსი, მაგრამ ეგებ, მეგობრის ინიციატივისთვის მხარდაჭერაც არ გამორიცხონ. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, საქმეში ფული ჩადონ. სხვათა შორის, თავის დროზე, საქართველოში კაპიტალის დაბანდება **ანდრეი შევჩენკოსაც** სურდა, თუმცა საქმე ლაპარაკს არ გასცილებია.

ბარემ აქვე შეგახსენებთ, რომ "კალა კაპიტალი" საქართველოში რამდენიმე მიმართულებით აპირებს საქმიანობას. თავიდან, ინვესტიციები განხორციელდება ენერგოსექტორში, უძრავ ქონებასა და ბუნებრივია, საბანკო სფეროშიც. გარდა ამისა, დაარსდება საქველმოქმედო ფონდი, რომელიც უპატრონო ბავშვებს დაეხმარება, ამასთან, ქვეყნის მასშტაბით მოეწყობა საფეხბურთო მოედნები და ბავშვებს ვარჯიშისა თუ თამაშისთვის სათანადო პირობები ექნებათ.

კომპანიის ყველაზე მასშტაბური პროექტი კი "არსენალია", ასე ვთქვათ, ქალაქი ქალაქში, რომელიც თბილისში, ეგრეთწოდებულ არსენალის მთაზე გაშენდება. 10 წლის განმავლობაში, 80 ჰექტარ ტერიტორიაზე, 1.5 მილიარდი დოლარი დაიხარჯება და სამთავრობო და საცხოვრებელი კომპლექსები, სასტუმროები, ვილები, ოფისები, სკოლები და საავადმყოფოები აშენდება. ეს კი, თავის მხრივ, 25 000 ადამიანის დასაქმებასა და ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ერთპროცენტიან ზრდას გამოიწვევს.

**პაატა თოთაძე**